

უღმრთეს  
სიძინეს

საქართველოს  
საბავშვო


K 230-402  
3

სიკანონო  
სიკანონო  
სიკანონო

«საბავშვო»

ე ჯ ე მ ნ  
ს მ ს ტ ა ნ ი

ს ი კ ა ნ თ ლ ე  
ს ი მ ს ნ თ ლ ე  
ქ ე კ ე ქ ე კ ა ვ ი  
ბ მ მ მ მ მ მ მ მ მ



„ნაკადული“  
თბილისი 1970





4-2

И (ФР)  
84-2  
რ 848

7-4-2

გამოჩენილი ფრანგი პოეტისა და დრამატურგის  
ჟედმონ როსტანის (1868—1918) ჰეროიკული კომედია  
„სირანო დე ბერჟერაკი“ — მსოფლიოს პროგრესული  
ახალგაზრდობის საყვარელ ნაწარმოებთა რიცხვს  
მიეკუთვნება.

ეს პიესა არა მარტო დრამატურგის შედევრია,  
იგი ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებიცაა. სწორედ  
ამიტომ ითარგმნა ცივილიზებული სამყაროს თითქმის  
ყველა ენაზე.

პიესის მთავარი გმირი სირანო დე ბერჟერაკი —  
რომანტიკოსი და მეამბოხე, ფილოსოფოსი და პოეტი,  
უშიშარი მეომარი და კეთილშობილი ადამიანია. იგი  
ვერ შეუთრგდა უსამართლობას, გაილაშქრა მის წინა-  
აღმდეგ და დაიღუპა კიდევ ამ ბრძოლაში.

სირანოს სახე კეთილშობილების და ვაჟკაცობის  
სიმბოლოა.

ფრანგულიდან თარგმნა  
მ. ი. ხ. ე. ი. ლ. მ. ვ. ლ. ი. მ. მ. მ.

სპეგ-2000  
შეგორვესულია

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## მოქმედი პირები:

- სირანო დე ბერშერაკი — პოეტი  
კრისტინა დე ნევილები — გვარდიელი  
გრაფი დე გიში, იგივე  
ჰერცოგ დე-ბრამონი — დიდებული  
ლე-ბრე — სირანოს მეგობარი  
რაბნო — მიციტანი  
ლინერი — პოეტი  
დე ვალვიერი — დიდებული  
კუიში }  
ბრისალი } ოფიცრები  
კარბონ კასტილი დე შალუ — კაპიტანი  
კაპუცინი  
მონფლერი — მსახიობი  
ბელროზი — თეატრის დირექტორი



დარბაისელი კაცი

ახალგაზრდა კაცი

ჯიბზირი

მუშაპიბერი

როქსანა, მადლენ დე როზენი

ლიზა — რაგნოს ცოლი

აბატი — მონასტრის წინამძღვარი

ბეატა — მონაზონი

ბამყიდველი ძალი

გვარდიელები, მუშკეტერები, მარკიზები, მოქალაქენი,  
მაყურებლები, მსახიობები, პოეტები.

ამბავი ხდება საფრანგეთში.

პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მოქმედების დრო —  
1640 წელი, მესხეთე მოქმედების დრო — 1655 წელი.

სცენა წარმოადგენს იმპროვიზებულ თეატრალურ დარბაზს ბურ-გუნდის ოტელში. სიღრმეში მოჩანს ფარდა, რომელზედაც სამეფო ღერბია გამოსახული. დარბაზის ერთ მხარეს დადგმულია ლოჯები. ფარდის გახსნისთანავე მაყურებლები იყრიან თავს და მოუთმენლად ელიან სპექტაკლის დაწყებას.

კულისებიდან გამოდის თეატრის დირექტორი — ბელროზი.

ბ ე ლ რ ო ზ ი:

ბატონებო და ქალბატონებო!

დღეს ჩვენს თეატრში პრემიერაა...

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

დაიწყეთ! დროა! რას ელოდებით?!

ბ ე ლ რ ო ზ ი: (ხელს ასწევს)

გაჩვენებთ ჩვენი ცნობილი მწერლის,

სასიქადულო მამულიშვილის

ანტუან ბაროს ახალ პიესას —

„ქლორიზას“... (თავს უკრავს ვილაცას

ლოჯაში)

ჩუმად! ათ წუთში ვიწყებთ!

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

ბაროს უცდიდნენ! დიდი კაცია!

თვით კარდინალის მეგობარია!

მაშ... უმაგისოდ ჩვენი მოძღვარი

პურის საჭმელად არ ჯდება თურმე!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:

ოჰო, მინისტრიც მობრძანებულა

თავისი ცოლით და ქალიშვილით!

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი:

მთელი პარიზი აქ არის...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:

ჰოდა,

იღას ვამბობდი: კარდინალს ძალზე

მოსწონებია ჩემი გამოსვლა!



შეორე მარკიზი:

შომილოცია!

პირველი მარკიზი:

ორშაბათისთვის

სასახლეში ვარ დაბარებული!

ღარბაზში შემოდინ ლინერი და კრისტიან დე ნევილეტი.

შეორე მარკიზი:

ეგ ვინლა არის?

პირველი მარკიზი:

რა ვიცი, ვილაც

გეუპოვება...

ლინერი:

«კრისტიანს) არ შემეძლია

ამათ სახეებს ვუყურო! წაეალ,

დავთვრები სადმე...

კრისტიანი:

მტოვებ?

ლინერი:

რა გიყო,

ამ სამხეცეში ვერ გავჩერდები!

კრისტიანი:

გრცხვენოდეს, ლინერი!..

იქ, ჩვენს მხარეში

არ ექცევიან ასე მეგობარს,

გაჭირვებაში არა სტოვებენ!

იქ, ჩვენში...

ლინერი:

თქვენში — პროვინციაა,

სოფელი! აქ კი — პარიზი გახლავს!

არ მოგწონს? მაინც, რაზე ემდური:

ერთი კვირაა, რაც ჩამოხვედი

და რამდენი რამ მოასწარ უკვე:  
გვარდიელების პოლკში ჩაგრიცხეს,  
მე გამიცანი! რაც მთავარია, ---  
გულის ტრფიალიც კი გაიჩინე!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(მღელვარებით) ჩემი ვარსკვლავი ყოველთვის აგერ-  
იმ ლოჯიაშია...

ლ ი ნ ე რ ი:

ამჟამად არ ჩანს!

წავედი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ლინერ! თუ ძმა ხარ, დარჩი!

ლ ი ნ ე რ ი:

კარგი, ბატონო, დავრჩები... მაგრამ  
რა ჭირად გინდა?! წყურვილისაგან  
ისე გამიშრა ყელი, რომ ვიდრე  
დარჩენისათვის მადლობას მეტყვი,  
აქვე, შენს თვალწინ გავჭიმავ ფეხებს...

გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი:

(უახლოვდება მათ კალათით ხელში)

გსურთ ლიმონათი?

ნამცხვარი?.. (ლინერი იღრიჯება)

ღვინო?

ლ ი ნ ე რ ი:

მოიცა, რა თქვი?

გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი:

მაქვს პორტვეინი...

კაგორი... თეთრი...:

ლ ი ნ ე რ ი:

კრისტოიან, ვრჩები! (ქალს)

დაასხი, ქალო, რაც გაქვს. ჯანდაბას,



დავლევ! ცარიელ ლოჯაში ცქერას,  
საესე ჭიქაში ცქერა სჯობია!

დარბაზში შემოდის დაბალი ტანის მსუქანი მამაკაცი, მის დანა-  
ხვაზე გაისმის შეძახილები: რაგნოს ვახლავართ! სალამი რაგნოს!

ლინერი:

(კრისტიანს)

რაგნო ცნობილი მიკიტანია

და მზარეული შესანიშნავი!

თეატრის დიდი მოტრფიალეა!..

რაგნო:

(შეწუხებული სახით უახლოვდება მათ)

პატივცემულნო! ხომ არ გინახავთ

დე ბერჟერაკი?

ლინერი:

(აცნობს კრისტიანს)

რაგნოს დუქანი

მსახიობთათვის და პოეტთათვის

მუდამ ღიაა!.. დვინო თუ ლუდი

არ დაეღვეა!.. რაც მთავარია,

მელპომენის და მუზის მსახურნი

მხოლოდ რაგნოსთან თუ სარგებლობენ

გახსნილ კრედიტით...

რაგნო:

(კმაყოფილებით) ბატონო ჩემო,

ღირსი არა ვარ ამდენი ქების...

ლინერი:

თვითონ წერს ლექსებს...

რაგნო:

(დარცხვენით, კრისტიანს)

ვცოდვილობ, დიახ...

ლინერი:

იცო, კრისტიან, რაგნო ბილეთის  
საფასურს მუდამ ნატურით იხდის!  
არ გჯერა? (რაგნოს) რაგნო, თქვით,  
რა დაგიჯდათ  
ამ ჩვენს დღევანდელ პრემიერაზე  
ბილეთი?

რაგნო:

კმარა... არ ღირს ამაზე..

ლინერი:

არა, გეთაყვა, ჩვენ ველით პასუხს!

რაგნო:

რა სათქმელია!.. სულ რაღაც ექვსი  
შამპანიური თავისი მწვადით...

ლინერი:

ვინ დაპატიუეთ?

რაგნო:

პატივცემული  
ბელროზი იყო... სტუმრებიც ახლდნენ...

ლინერი:

(კრისტიანს)

დირექტორია თეატრის... (რაგნოს) კიდეც?

რაგნო:

კარისკაცებსაც პატივი ვეცი...

ლინერი:

(იციინის) გადასარევი კაცი ხართ, რაგნო!

რაგნო:

(აქეთ-იქით იხედება) სირანო არ ჩანს...  
რად იგვიანებს?



ლინერი:  
რისთვის დაგჭირდათ სირანო?

რაგნო:  
როგორ?  
დღეს ხომ მონფლერი თამაშობს?

ლინერი:  
მერე?  
რა კავშირი აქვს ჩემს სათაყვანო  
პოეტს და ვაუკაცს იმ მასხარასთან?

რაგნო!  
აღბათ არ იცით თქვენ, რომ სირანომ  
მას აუკრძალა მსახიობობა...

ლინერი:  
ყოჩაღ, სირანო!

რაგნო:  
ბრძანებას მისას  
მსახიობი არ დაემორჩილა  
და დღეს აპირებს გამოსვლას...

მათ უახლოვდებიან კუიეი, ბრისალი და მარკიზები.

კუიეი:  
ვფიქრობ,  
არაფერიც არ მოხდება.

რაგნო:  
ვნახოთ...  
კარგად არ იცნობთ სირანოს...

პირველი მარკიზი:  
მაინც,  
რა ფრინველია?

კუიეი:  
რა გითხრათ, მარკიზ,

თავისებური კაცია მეტად:  
შფოთის ამტეხი და ჩხუბისთავი,  
თანაც — პოეტი შესანიშნავი... (მიუთითებს  
კაცზე, რომელიც ვიღაცას ეძებს)  
აგერ, სირანოს ძმაკაცი — ლე-ბრე!  
იგი ყველაფერს გვიამბობს... ლე-ბრე!  
თქვენ, რა თქმა უნდა, სირანოს ეძებთ?  
ლ ე-ბ რ ე:  
ღიან, და მიკვირს, აქ რომ ვერ ვხედავ.

კ უ ი უ ი:  
რას იტყვით, ლე-ბრე: ხომ საოცარი  
პიროვნებაა თქვენი ძმობილი?

ლ ე-ბ რ ე:  
(გრძნობით) მე უკეთესი არ შემხვედრია!

ლ ი ნ ე რ ი:  
რა მწერალია!

ლ ე-ბ რ ე:  
რა მეცნიერი!

რ ა გ ნ ო:  
რა მსახიობი და მეომარი!

ლ ი ნ ე რ ი:  
მისი გონება ისე ბასრია,  
ვით მისი დაშნა დაუნდობელი!

კ უ ი უ ი:  
ჰო!.. ნიჭიერი კაცია, მაგრამ  
რაც შეეხება მის გარეგნობას...  
ამ მხრივ... ნუ იტყვით... იცვამს სირანო,  
ეშმაკმა იცის, როგორ! საერთოდ  
უჩვეულოა მისი იერი!

რ ა გ ნ ო:  
მართალსა ბრძანებთ, პატივცემულნი!  
თავის მგზნებარე ტემპერამენტით



და მოსწრებული სიტყვა-პასუხით,  
ყოვლად უცნაურ ტანისამოსში  
გამოწყობილი

სირანო მართლაც

ახდენს საოცარ შთაბეჭდილებას!  
რა შეედრება მის ფარფლებიან  
ქუდს, — დამშვენებულს მამლის კუდივით  
გაშლილი ფორჩით? ან ფერად ჯუბას?!  
ან ღრუბელივით გაშლილ ლაბადას,  
ან გახამებულ მაღალ საყელოს,  
რომელსაც მსგავსად კვარცხლბეკისა,  
ამშვენებს თითქოს გრანტიისაგან  
გამოკვეთილი სირანოს თავი?  
რაც შეეხება ცხვირს... ო, ასეთი  
ვეება ცხვირი მთელს საფრანგეთში  
ძნელად თუ სადმე მოიძებნება!..  
ღმერთმანი, იგი სრულებით არ ჰგავს  
იმას, რაც ცხვირის სახელწოდებით  
არის ცნობილი!.. მაგრამ თქვენ იცით,  
რა გასკონური თავმოწონებით  
იცავს თავისი თავის ღირსებას  
დე ბერჟერაკი!

ლ ე - ბ რ ე :

ასეა, დიახ...

და ვაი იმას, ვინც უდიერად  
მოიხსენიებს ან უნებლიეთ  
შეხედავს მის ცხვირს...

რ ა გ ნ ო :

სირანოს დაშნა

შემზარავია, ვით ბედისწერა!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი :

ო, კმარა, კმარა! მაღალფარდოვან  
სიტყვებს მოეშვით!.. თქვენი სირანო

ჯერ არსად არ ჩანს და როგორც ვატყობ,  
არც გამოჩნდება!

რ ა გ ნ ო:

სანაძლეოს ვდებ,  
რომ დღეს მონღღერის შავი დღე ელის!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
მენიძლავებით? სიამოვნებით!  
რაზე?

რ ა გ ნ ო:

წიწილზე!.. შეგიწვავთ წიწილს,  
თუ დღეს სირანო არ გამოცხადდა!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
მე თანახმა ვარ!

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი:  
დაჰკარით ხელი!

ყველანი იცინიან... ამ დროს ლოყაში გამოჩნდება  
როქსანა, კრისტიანი მას ვერ ხედავს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
(აღტაცებული უცქერის როქსანას)  
ო, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია!  
რა სრულყოფილი! რა ღვთაებრივი!  
მისი მშვენება შიშისმგვრელია!..

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი:  
ვით ყოველივე ზებუნებრივი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
რა უმანკოა!

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი:

უმანკო, დიახ...

მაგრამ ამ ქალის უმანკობამ  
ჩვენ გულის მანკით დაგვასნეულა!



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(შეამჩნევს როქსანას)

ლინერ!.. ის ქალი!.. ვინ არის? ჩქარა,  
ღვთის გულისათვის...

ლ ი ნ ე რ ი :

(მშვიდად ღვინოს წრუპავს) პარიზის თვალი!..

მადლენ რობენი... როქსანა ჰქვია...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ჰქვიანიაო, ამბობენ... მართლა?

ლ ი ნ ე რ ი :

ქალის ჰქუაზე რა მოგახსენო,

მაგრამ პარიზის ლამაზებს შორის

სწორედ რომ მაგით გამოირჩევა...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(სასოწარკვეთით) მაშ, ჰქვიანია?.

ლ ი ნ ე რ ი :

გულს ნუ გაიტეხს!..

რაც უნდა იყოს — ქალია მაინც:

კაცივით ჭადრაკს ვერ ითამაშებს!..

შეტი რა გითხრა? დედ-მამა არ ჰყავს

და გათხოვილი ჯერაც არ არი...

წარმოსადები მამაკაცი, რომელსაც მკერდზე ცისფერი ბაფთა აქვს  
მიმაგრებული, შედის როქსანას ლოყაში და ესაუბრება მას.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ის ვინლა არის ლოყაში, მასთან?

ლ ი ნ ე რ ი :

გრაფი დე გიში... მასზე უსაზღვროდ

შეყვარებული!.. საწყალი გრაფი —

ცოლიანია! თვით კარდინალის

სიძე ბრძანდება! ამიტომ ახლა

ზრუნავს როქსანას გათხოვებაზე...

სურს გააყოლოს ერთ უნიათო  
ნაბიჭვარს, ვინმე ვიკონტ დე ვალვერს,  
რომ ამით ქალი ჩაიგდოს ხელში!..  
როქსანა, როგორც უკვე გითხარი,  
ობოლია და პატრონი არ ჰყავს,  
გრაფი კი მართლაც ყოვლისშემძლეა!..  
ასე რომ... მოკლედ, მე ეს ამბავი  
ლექსად გამოვთქვი და ჩემს სიმღერას  
ამუამად მთელი პარიზი მღერის...

ჭიჭა ხელში უჭირავს. ბარბაცით დგება და მღერის:

საგონებელში ჩავარდა გრაფი, —  
ცოლიანია ბებერი ვაცი, —  
არ იცის, რა ჰქნას: სხვა ქალი უყვარს  
და ლამის ორად გაიყოს კაცი!  
გრაფი დე გიში,  
არ არის გიჟი,  
იგიჟიანებს თავს:  
როქსანას ზვერავს,  
ვით კურდღელს — ძერა,  
ან როგორც მგელი — კრავს!..

დაამთავრებს სიმღერას და ღვინოს გადაჰკრავს.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
კმარა!.. მივდივარ...

ლ ი ნ ე რ ი:  
სად?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
დე ვალვერთან!

ლ ი ნ ე რ ი:  
ფრთხილად იყავი! ვიკონტის წყენას  
არ გაპატიებს გრაფი... მოიცა!  
რამ გადაგრია! (როქსანაზე მიუთითებს)  
შენი ვარსკვლავი გიცქერის...



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
ვ რ ჩ ე ბ ი!

ლ ი ნ ე რ ი:  
მ ე კ ი მოფუსვამ...  
მოვკვდი ამ ტკბილი კომპოტის წრუპვით!  
(ბარბაცით გადის).

ლ ე - ბ რ ე:  
(რავნოს) სირანო არ ჩანს... რაშია საქმე?  
სად არის, ერთი გამაგებინა?!

რ ა გ ნ ო:  
(თავისთვის) ეჰ, რა წიწილი წამაგებინა!  
დარბაზში შემოდიან გრაფი დე გიში, ვიკონტი დე  
ვალვერი და გრაფის ამალა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
(გრაფის დანახვაზე) ამას ვის ვხედავ! შეხედეთ,  
მარკიზ, გრაფი დე გიში მობრძანებულა!

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი:  
(ხმადაბლა) ეგ ვაჟბატონიც გასკონელია!  
პროვინციელი მეტიჩარების  
დრო დადგა... სწორედ მაგათ ხელშია  
მთელი პარიზი...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი:  
ნუ იტყვით, მარკიზ!  
გრაფი არა ჰგავს სხვა გასკონელებს,  
იგი სიძეა კარდინალის და...  
მიუხედავად წარჩინებისა, —  
სულ არ ყოყორობს... დიახ, ასეა...  
როგორც გენებოთ, მე კი მივალ და  
მივესალმები... თქვენც გირჩევთ...  
(გრაფისკენ წავა).

მ ე ო რ ე მ ა რ კ ი ზ ი :

(გრაფს წინ დახვდება)

ღმერთო!

რა ბაფთებია და რა მაქმანი!

სასწაულია! გრაფ, დამერწმუნეთ,  
თქვენებრ ლამაზად და გემოვნებით  
დღეს ამ დარბაზში არვის აცვია!..

აი, ნამდვილად თანამედროვე  
სტილი!.. გეთაყვათ, რა ეწოდება  
ამ ფერს?

ღ ე გ ი შ ი :

„სნეული ესპანელი“ და  
იგი ამჟამად მოდაში გახლავთ!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი :

როგორ გიხდებათ! ჩვენ არც ერთს ეჭვი  
არ გვეპარება, რომ თქვენი დაშნა  
დაასწავლებს ესპანეთს!..

ღ ე გ ი შ ი :

(ღე ვალვერს) გმადლობთ!

ვიკონტი, გეთაყვა! (ამალას) თქვენ, ბატონებო,  
სანამ გახსნიან ფარდას, წავიდეთ,  
მსახიობ ქალებს გამოვეცხადოთ!  
(კულისებისაკენ მიემართება).

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ვიკონტი? სწორედ მაგას ვეძებდი!

ოჰ, არამზადავ! გათავხედებულ  
ხელისუფალის ლაქიავ, ახლა  
გაგისწორდები! ნამუსგარეცხილ  
სახეში გთხლიშავ ამ ჩემს ხელთათმანს...

ჯიბიდან ხელთათმანის ამოღება სურს და ჯიბგირს წასწვდება მაჯაში.  
ეს რაღა არი?



ჯიბგირი:  
ხელია!

კრისტიანი:  
ვხედავ!  
აქ როგორ მოხვდა?

ჯიბგირი:  
როგორ და ისე!  
ნუთუ არ იცით, ჩემო ბატონო,  
ხელის ადგილი ჯიბეა!

კრისტიანი:  
(ხელს უგრეხს) სხვისი?

ჯიბგირი  
ვაიმე, მტკივა!.. ოღონდ გამიშვით  
და საიდუმლოს გაგანდობთ...

კრისტიანი:  
მაინც,  
რა საიდუმლოს?

ჯიბგირი:  
თქვენი ნაცნობი...  
ახლახან აქ რომ იყო...

კრისტიანი:  
ლინერი?  
რა გესაქმება მასთან?

ჯიბგირი:  
ამაღამ...  
გაასაღებენ!..

კრისტიანი:  
რაებს მიჰქარავ!  
ვინ მოჰკლავს ლინერს?!

ჯიბგირი:

ამ წუთში გეტყვით...

გამიშვით ხელი, არ გავიქცევი!..

ლინერს მოჰკლავენ... დიახ, მოჰკლავენ

ერთი ცნობილი სიმღერის გამო...

დიდი კაცია აქ ჩარეული,

რომლის სახელსაც ვერ გეტყვით... მოკლედ,

ამაღამ, ზუსტად თორმეტ საათზე,

ნელის ციხესთან ასი მხედარი

დაელოდება ლინერს... იჩქარეთ!

კრისტიანი:

სად ვნახო ახლა ის უბედური?

ჯიბგირი:

სამიკიტნოში სადმე! რას დგახართ?

ნულარ აყოვნებთ. შემოიარეთ

ყველა სარდაფი: „ყანწი“, „სალხინო“,

„გემო“, „ნუგეში“, „სამი საყურე“...

ყველგან დასტოვეთ თითო ბარათი,

ან იქნებ ლინერს მიუსწროთ სადმე!..

კრისტიანი:

რალა ვქნა! ბეჩავს უნდა ვუშველო!..

მაგრამ, ეს ქალი (როქსანას უყურებს)

როგორ დავტოვო?

ან ამ ვაჟბატონს (დე ვალვერს შეხედავს)

არ გავუსწორდე?

თუმცა რას ვამბობ, რა დროს ეგ არი, —

ლინერი უნდა გადავარჩინო! (გარბის).

ხმები დარბაზში:

— ჰო, კმარა ახლა, რად აგვიანებთ?!

უეცრად დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება.



— რა სიჩუმეა! რა მოხდა ნეტა?!

დარბაისელი კაცი:  
კარდინალია დარბაზში!

ახალგაზრდა კაცი:  
ნუთუ?  
სად არი?

დარბაისელი კაცი:  
აგერ... წითელ ლოჯაში...  
ხელი მოუჩანს... ხედავ?

ახალგაზრდა კაცი:  
კი, ვხედავ...

დარბაისელი კაცი:  
წარმოიდგინე... თვით კარდინალი!  
რა თავდაბალი კაცი ყოფილა  
ჩვენი მოძღვარი! ამხელა კაცმა  
წარმოდგენაზე მოსვლა იკადრა,  
როგორც უბრალო მაყურებელმა!

ლე-ბრე:  
(რაგნოს) თუ წაგიკითხავთ პიესა?

რაგნო:  
ღიას...  
ჰეროიკული დრამაა ლექსად,  
წუხელ ჰქონიათ გენერალური  
რეპეტიცია...

ლე-ბრე:  
მეფემ თუ ნახა?

რაგნო:  
არა. ლუვრიდან დაესწრო ხალხი...  
კარგად მიიღეს...

ლ ე - ბ რ ე :

ვის როლს თამაშობს

მონფლერი? ალბათ დადებით გმირის?

რ ა გ ნ ო :

დიახ, მონფლერი მთავარ როლშია!

ლ ე - ბ რ ე :

სირანო არ ჩანს...

რ ა გ ნ ო :

რა მეშველება!

მომკლავს წაგებულ წიწილის ჯავრი!

ისმის ზარის ხმა. იხსნება ფარდა. სანთლებით განათებულ სცენაზე მსუქან, ლოყებდაყლაყა, რკინის პერანგით შემოსილ მონფლერის მუხლი მოუყრია და ლოცულობს.

მ ო ნ ფ ლ ე რ ი :

„ჰოი, სამშობლოვ! მშობელო დედავ!

არ მომეშალოს შენი წყალობა!

უცხო მხარეში გადახვეწილი

ღამეებს შენზე ფიქრებში ვათევ!“...

ხ მ ა დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ნ :

შენ ეი! მორჩი ალილუიას!

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი :

რაშია საქმე? ვინ არის? ჩუმად!

ლ ე - ბ რ ე :

(შემკრთალი) სირანოს ხმაა!

ხ მ ა პ ა რ ტ ე რ ი დ ა ნ :

სულელო! იქნებ

ადარც კი გახსოვს, რომ აგიკრძალე

მსახიობობა?! გასწი აქედან!

მ ო ნ ფ ლ ე რ ი :

(აღელვებული განაგრძობს) „ჰოი, მამულო!“...



ხ მ ა პ ა რ ტ ე რ ი დ ა ნ :  
მამულს გაჩვენებ!..  
აღარ გაბედო ამ უწმინდესი  
სიტყვის ხსენება! ვის ატყუილებ?!  
შენი მამული — კუჭია! დიახ!  
კუჭზე ილოცე, შე უბედურო,  
არ მოგეშალოს... მისი წყალობა!

მ ო ნ ფ ლ ე რ ი :  
(გაუბედავად განაგრძობს) „ჰოი, მამულო“...

ხ მ ა პ ა რ ტ ე რ ი დ ა ნ :  
ქვეყნის მახარავ!  
არ იშლი შენსას?! მაშ კარგი, ვნახოთ,  
რა ვაუკაცი ხარ?!

მაყურებლებს შორის გამოჩნდება სირანო და  
სწრაფად ახტება სცენაზე.

მ ო ნ ფ ლ ე რ ი :  
(მაყურებლებს) მიშველეთ, მომკლავს!

ს ი რ ა ნ ო :  
არ გაეთრევი?!

მ ო ნ ფ ლ ე რ ი :  
(შესაბრალისად) რა გინდათ ჩემგან?!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა რ კ ი ზ ი :  
(მონფლერს) განაგრძეთ! რატომ გაჩუმდით!

ს ი რ ა ნ ო :  
აბა,  
ერთი გაბედოს ხმის ამოღება! (მარკიზს)  
ბოდიში, მარკიზ... თქვენ მგონი რაღაც  
ბრძანეთ? ო, ფრთხილად... თორემ ეგ კაბა  
დაგეჭმუჭნებათ... როცა ვბრაზდები,  
მეტად ტლანქი და უხეში ვხდები!

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

ვინა ყოფილა? სად გაქვთ კულტურა!

— ინებეთ, ჩვენი თანამედროვე  
ახალგაზრდობა! ველური! მხეცი!

მ ო ნ ფ ლ ე რ ი:

(სირანოს) კმარა, ბატონო! თქვენ ჩემი სახით  
შეურაცხყოფას აყენებთ მუზას.

ს ი რ ა ნ ო:

ოჰ, რასა ბრძანებთ?.. საბრალო მუზა!

შენისთანებმა დაღუპეს სწორედ!

სულწაწყმედილო! სთქვი, რა ხანია  
მისი სახელით ვაჭრობ?!

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

სიჩუმე!

ს ი რ ა ნ ო:

(მაცურებლებს) როგორ? მაშ მუზა არ გეცოდებათ?!

უგუნურებო! ჩემს დაშნას მაინც

პატივი ეციოთ და მოასვენეთ

თავის ქარქაშში...

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

გაჩუმდით!

ს ი რ ა ნ ო:

...თორემ,

თუ გამოვედი მოთმინებიდან,

ჩემი მახვილიც უმალ ამოვა

თავის ბუდიდან და მაშინ... ვაი

იმას, ვინც გზაზე გადამიდგება!

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

რა თავხედია?! გავიდეს გარეთ!

ს ი რ ა ნ ო:

(დაშნას იშიშვლებს) გაბედოს ვინმემ და მომეკაროს!



ვინ ხართ მამაცი, მე ყველას ვიწვევ,  
ვის გინდათ ჩხუბი? თქვენ? არა! არც თქვენ?  
თქვენც უარზე ხართ? თქვენ? თავს იკავებთ?..  
ჩემი მახვილი ცხარეა მეტად,  
თქვენი კუჭი კი ალბათ ვერ იტანს  
ცხარე საჭმელებს! რა გაეწყობა...

დაჯდება სცენაზე და ფეხს ფეხზე გადაიდებს.

მაშ ასე! ამ კაცს (მონფლერზე მიუთითებს)  
როგორც თქვენ ხედავთ,  
მღელვარებისგან ყბა მოეღრიცა!  
რა ეშველება? მე ვფიქრობ, ისევ  
ჩემსავით მარჯვე და გამოცდილი  
დასტაქრის ხელი მოარჩენს!..

მონფლერი:

(აღელვებულს პარიკი მოსძვრება)  
მე გთხოვთ...

სირანო:

რაო? ხმა! კრინტი! მელოტო მთვარევ!  
ვითვლი სამამდე: მესამე თვლაზე  
დაუყოვნებლივ უნდა დაბნელდე!

მონფლერი:

კი, მაგრამ...

სირანო:

ერთი!

მონფლერი:

მაცალეთ...

სირანო:

ორი!

მონფლერი:

რადაცას ვიტყვი... მე მინდა...

ს ი რ ა ნ ო :

სამი!

მონღლური გარბის, ფეხს წამოკრავს და  
მაყურებლები ყვირიან, ხარხარებენ.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ა ც ი :

(სირანოს) გაგვაგებინეთ... რა დააშავა  
მონღლურში? რატომ დასაჯეთ ასე?

ს ი რ ა ნ ო :

ამ წლთში გეტყვი, ბელურის ბარტყო!  
ორი მიზეზი არსებობს ჩემი  
რისხვის: პირველი ის, რომ მონღლური  
ყოვლად უნიჭო მსახიობია...  
რაც შეეხება მეორე მიზეზს,  
ჯერ ვერ გავამხელ...

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :

მაგრამ, ბატონო,  
თქვენ ბაროს ლექსი შეურაცხყავით!  
ამას თქვენ ხალხი არ გაპატიებთ!

ს ი რ ა ნ ო :

ბარო... რომელი? აჰ, ის ცნობილი  
მამულიშვილი? მეცნიერების  
ბურჯი და ჩვენი ერის მშვენება?  
უფლებააყრილ ფრანგებს რომ გვამცნო  
ძალა-უფლებით გამძღარი კაცის  
კმაყოფილება?!

ქ ა ლ ე ბ ი :

(ლოყებიდან) რას ამბობს! ღმერთო!  
ბაროს აგინებს! დიდებულ პოეტს!

ს ი რ ა ნ ო :

(მიუბრუნდება ქალებს) მზეთუნახავნო,  
თქვენს გახარებას!



გემუდარებით, მოეშვით იმას,  
რაც თქვენი ჭკუის საქმე არ არის!

ბ ე ლ რ ო ზ ი:

(შემოდის დარბაზში და უახლოვდება  
სირანოს)

ხალხს რაღა ვუყოთ? მაყურებლები  
ფულს მოითხოვენ...

ს ი რ ა ნ ო:

თქვენი შენიშვნა

საქმიანია, ბელროზ, ამიტომ

ჩემი პასუხიც არ დააყოვნებს...

აჰა, დაიჭით! (გადაუგდებს საფულეს).

მ ა ყ უ რ ე ბ ლ ე ბ ი:

უყურეთ მაგას!

!

ბ ე ლ რ ო ზ ი:

(საფულეს ხელში შეათამაშებს)

გმადლობთ ამ მეტად დამაჭერებელ  
და მოსწრებულ პასუხისათვის...

\*ხელს ასწევს და გააჩუმებს მაყურებლებს

პატივცემულნო! ბატონ მონფლერის

გული გაუხდა ცუდად... ამიტომ

დღეს წარმოდგენა აღარ შედგება...

გთხოვთ დაიშალოთ...

ბელროზი გადის. მაყურებლები აყოვნებენ  
წასვლას, სირანოს შესცქერაინ.

ლ ე - ბ რ ე:

(სირანოს) რამ გადაგრია?!

დ ა რ ბ ა ის ე ლ ი კ ა ც ი:

(წინ გადაუდგება სირანოს)

იციით თუ არა თქვენ, რომ მონფლერი

ჰერცოგ კანტალის პირადი მდივნის  
ბიძაშვილია... რომ თვით ჰერცოგი  
წყალობს მონღლერის... თქვენ ვინ გმფარველობთ?

ს ი რ ა ნ ო:  
არავინ.

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი:  
როგორ? არ გყავთ მფარველი?  
მაშ, ვის იმედით, ან რის იმედით  
იჩენთ ესოდენ გამბედაობას?

ს ი რ ა ნ ო:  
(დაშინაზე მიუთითებს) ამის იმედით.

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი:  
მე მაინც გირჩევთ...  
ნუ ეხუმრებით ჰერცოგს! იცოდეთ:  
მისი მსახვრალი მარჯვენა ყველგან  
მოგწვდებათ... გრძელი ხელი აქვს ჰერცოგს!

ს ი რ ა ნ ო:  
არც მე მაქვს მოკლე, თუ ხელის სიგრძეს  
ამ დაშნის სიგრძე წაემატება!

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი:  
იცი, რას გეტყვით...

ს ი რ ა ნ ო:  
(მშვიდად) გასწი აქედან!

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი:  
კი, მაგრამ...

ს ი რ ა ნ ო:  
აბა, მოუსვი ჩქარა!  
გაუჩინარდი! არ დაგინახოს  
ჩემმა თვალებმა! გაიქეც ისე,



სულ უკანაღზე ირტყამდე ქუსლებს!..  
თუმც, არა... ერთ წუთს მოიცა... იქნებ  
მე მომეჩვენა?.. შენ მგონი ჩემს ცხვირს  
შეხედე?

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
(შეშინებული) ვფიცავ!

ს ი რ ა ნ ო :  
მოგეწონა თუ?

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
რას ბრძანებთ?

ს ი რ ა ნ ო :  
როგორ? არ მოგეწონა?  
იქნებ სიდიდე გაკვირვებს მისი?  
რა თქვი? არ მესმის...

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
(ცახცახებს) სიტყვაც არ მითქვამს...

ს ი რ ა ნ ო :  
ხორთუმს გაგონებს?

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
ო, არა!

ს ი რ ა ნ ო :  
გმადლობთ  
გულწრფელობისთვის... გამოტყდი: ჯერაც  
არსად გინახავს ასეთი ცხვირი?  
შენ ალბათ მასზე მეჭექსაც ხედავ?

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
არა, ბატონო, არ შემიხედავს  
თქვენი ცხვირისთვის...

ს ი რ ა ნ ო :  
ჰმ... ესე იგი,  
შენ გინდა თქვა, რომ ზიზღსა გგვრის ჩემი

ცხვირის დანახვა? რომ იგი თავად  
სიმახინჯეა... რომ უსაშველოდ  
დიდია, არა?

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
ო, ღმერთო ჩემო!  
ერთი ციციქნა...

ს ი რ ა ნ ო :  
რაებს მიბედავ!  
ყბედო! სულელო! უყურეთ ამას!  
მაშ, ერთი ციციქნა ცხვირი მქონია  
მე, დე ბერუერაკს?! ასეთი დიდი  
შეურაცხყოფა კაციშვილს ჩემთვის  
ჯერ არასოდეს უკადრებია!

დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი კ ა ც ი :  
რა ვქნა, ამას ვის გადავეკიდე!

ს ი რ ა ნ ო :  
შენ ეი, ბრიყვო! კარგად ისმინე  
და დაიხსომე ჩემი სიტყვები:  
დიდი კი არა, უზარმაზარი  
ცხვირი მაქვს, გესმის, უზარმაზარი!..  
იცი, რას ნიშნავს ასეთი ცხვირი?  
იგი კაცობის ნიშანი არის  
და უტყუარი მოწმეა ჩემი  
გონიერების, სულის სიღვხვის,  
ვაჟკაცობის და პატიოსნების!..  
თუმცა, რა უნდა გელაპარაკო:  
შენ ვერ გაიგებ ამას, პაჭუა  
და აპრეხილი ცხვირის პატრონი!  
შენს სახეს ცხვირი სულ არ სჭირდება  
და თუ გაქვს რაღაც ცხვირისმაგვარი,  
მხოლოდ იმისთვის, რომ გამოიცნო,  
რომელი მხრიდან უბერავს ქარი



წარმატებისა... გასწი აქედან!  
ხომ ხედავ, შენი ფლუგერი შეცდა...  
შეცდომას ახლავ გამოვასწორებ, —  
გაგიშვებ სწორი მიმართულებით!

შემოაბრუნებს და წიხლის კვრით გააგდებს, მერე  
გადახედავს ირგვლივ შეკრებილთ.

გაფრთხილებთ! ვისაც მოგესურვებათ,  
იმსჯელოთ ჩემი ცხვირის შესახებ,  
სლყველას ასე გაგისწორდებით!

დარბაზში კვლავ გამოჩნდება დე გიში და დე ვალვერი.

დე გიში:

(ვალვერს) მართალი ვითხრათ, ამ ჩხუბისთავმა  
დამლალა ერთობ...

ვალვერი:

ო, ამ ბოლო ხანს  
მთლად გათავებდდა!

დე გიში:

კი, მაგრამ მისი  
გადაკიდება არავის არ სურს...

ვალვერი:

ამ წუთში ვეტყვი ორიოდ სიტყვას  
და სამუდამოდ დავაკარგვინებ  
ყბედობის ხალისს...

მიუახლოვდება სირანოს და გამომწვევ პოზაში წინ დაუდგება.

ეგ თქვენი ცხვირი...

ეგ ცხვირი... ერთობ... გრძელია! ღიახ!  
გრძელია-მეთქი!

სირანო:

(მშვიდად) მართალი ბრძანეთ.

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
 (გაოცებული) ო!

ს ი რ ა ნ ო:

როგორც ხედავთ, თქვენმა დაცინვამ  
 არ იმოქმედა ჩემზე სრულებით...  
 ნება მომეცით, ერთი რამ გკითხოთ:  
 რას მივაწერო თქვენი სიძუნწე  
 ამ ჩემი ცხვირის შეფასებაში?  
 თემა დიდია და უფრო მეტი  
 მჭევრმეტყველების და ოხუნჯობის  
 საბაბს იძლევა... თუ გაგიჭირდათ,  
 გეთხოვათ ჩემთვის, ერთ-ორ ხუმრობას  
 სიამოვნებით მოგაშვებდით!  
 განა არ სჯობდა, ზრდილობიანად  
 გეთქვათ... ვთქვათ, ასე: „გასწიეთ ცხვირი  
 და გამატარეთ!“ ან თანაგრძნობით  
 გამოგეკითხათ: „ნუთუ ეგ ცხვირი  
 არ გეყინებათ ზამთარში? იქნებ  
 შალითას ხმარობთ, ან საგანგებოდ  
 ცხვირისთვის ნაქსოვ ცხვირთათმანს იცვამთ?!“  
 ამ ცხვირის გამო შეიძლებოდა  
 მეცნიერული კამათიც: რაა —  
 კონცხია იგი? უცნობი მთაა?  
 თუ აისბერგი ზღვაში მცურავი?  
 შეიძლებოდა, აგრეთვე, წმინდა  
 თეორიული საკითხის დასმაც:  
 რას წარმოადგენს ცხვირი? სხეულის  
 ნაწილს, თუ თვითონ ადამიანი  
 საკუთარ ცხვირის დანამატია?  
 ან მაგალითად, რამდენად უფრო  
 ამაღლდებოდით მსმენელთა თვალში,  
 რომ წუთით მაინც გადაგევიწყათ  
 თქვენი ბრწყინვალე გვარიშვილობა



და გლახკაცივით წამოგეყვირათ:  
— ცხვირს დამიხედეთ! ხალხო, ეს კაცი  
მე უნაყოფო პანტა მეგონა  
და რა ჯიშინ გულაბებს ისხამს!  
თქვენ უამრავი შესაძლებლობა  
გქონდათ, შეგემკოთ ეს ჩემი ცხვირი  
ნაირნაირი ეპითეტებით...

იგი თავისი მოყვანილობით  
ჰგავს მეხანძრეთა ტუმბოს, კარადას,  
ან გამარჯვების აღსანიშნავად  
საომარ ველზე დადგმულ ობელისკს!  
იგი შუბივით წამახულია  
და როცა სატრფოს ვეაღერსები,  
მე ერთი ფიქრი მაწუხებს მხოლოდ:  
საით წავიღო ეს ჩემი ცხვირი,  
რომ არ ვატაკო ქალიშვილს თვალში!  
ამისთანების და უფრო მეტის  
თქმას ალბათ თვითონ მოახერხებდით,  
ოდნავ რომ მაინც გიჭრიდეთ ენა,  
მაგრამ თქვენ ენაც ვერას გიშველით  
ასეთი ბლაგვი გონების პატრონს...

დ ე გ ი შ ი:  
წავიდეთ, ვალვერ...

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
(გაცოფებული) ჰმ... დამიხედეთ  
აზნაურს... რას ჰგავს! უხელთათმანოდ  
და უბაბთებოდ!..

ს ი რ ა ნ ო:  
— მართალი ბრძანეთ:  
ტანისამოსით ვერ დავიკვებნი!  
ის, რაც მაცვია ტანზე, ვინ მოსთვლის,  
რამდენჯერ არის გადაბრუნებულ-  
დაკერებული... სამაგიეროდ

მე ზნეობრივად ვარ მოკაზმული,  
კამეჩის ტყავში გამოხვეული:  
სული მაქვს როგორც მახვილი, სწორი  
და შემართული! და მე ამაყად  
თავაწეული დავალ მიწაზე,  
თვალს არ ვარიდებ კაციშვილს, რადგან  
შეურაცხყოფა ჩემი ამქვეყნად  
არ შერჩენია არავის...

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
მაგრამ...

ს ი რ ა ნ ო:  
თქვენ მგონი კიდევ რაღაცა ბრძანეთ.  
ხელთათმანების შესახებ! რა ვქნა?  
საუბედუროდ, ცალილა შემრჩა,  
მეორე, ვიღაც თქვენსავით უზრდელს  
სახეში ვთხლიშე, ვიდრე წესიერ  
სიტყვა-პასუხის შესწავლის მიზნით  
საიქიოში მივაბრძანებდი!

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
(გაცოფებული) ბრიყვი! თავხედი! თაღლითი! შტერი!

ს ი რ ა ნ ო:  
(ქუდს იხდის და თავს უკრავს)  
კმაყოფილი ვარ თქვენი გაცნობით...  
დე ბერჟერაკი გახლავართ!

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
გიჟი!

ს ი რ ა ნ ო:  
(უცებ სახე დაედმიკვება) აუჰ!

ვ ა ლ ვ ე რ ი:  
რა მოგივიდათ?



ს ი რ ა ნ ო:

უცებ შეტოკდა ქარქაშში დაშნა! (დაშნას)  
ჰო, კარგი ახლა, დამშვიდდი! გეყო! (ვალვერს)  
რა ვუყო? ალბათ თქვენც კარგად ხედავთ,  
როგორ ცახცახებს საბრალო?..

ვ ა ლ ვ ე რ ი:

კმარა!  
მორჩით ყბედობას... (ზიზლით) პოეტო!..  
(იშიშვლებს დაშნას) გიცდიო!

ს ი რ ა ნ ო:

მადლობელი ვარ ყურადღებისთვის...  
დუელში მიწვევთ?.. რაკი თქვენ გნებავთ...  
(ხელებს გაშლის)  
ერთი პირობით მხოლოდ: ამ დუელს  
ექსპრომტად შეთხზულ ბალადას ვუძღვნი.

ვ ა ლ ვ ე რ ი:

(გაკვირვებული) რას?

ს ი რ ა ნ ო:

ერთ ბალადას.. აჰ, თქვენ არ იცით,  
რას ნიშნავს სიტყვა „ბალადა“? ახლავ  
აგიხსნით: მასში სამი სტროფია...  
თითო სტროფში კი რვა-რვა სტრიქონი...

ვ ა ლ ვ ე რ ი:

(მოუთმენლად) დასწყევლოს ღმერთმა!

ს ი რ ა ნ ო:

(მშვიდად განაგრძობს) მესამე სტროფის  
ბოლოში ჩემს თავს უფლებას მივცემ  
აი, ამ კალმით (დაშნაზე მიუთითებს) დავსვა  
წერტილი...

მაშ ასე, ვიწყებთ: „აქა ამბავი

ხელჩართულ ბრძოლის, რომელიც მოხდა

პოეტ სირანო დე ბერჟერაკსა  
და ერთ უტვინო აზნაურს შორის!“...

(ვალვერი გაიწვევს მისკენ)

ნუ ხართ სულსწრაფი... ეს მხოლოდ ლექსის  
სათაურია... აი, თვით ლექსიც:

სირანო აკეთებს იმას, რაზედაც ლექსში ლაპარაკობს.

„დროა! მე ვიხდი ქუდს და ლაბადას...

ვიმარჯვებ კალამს... (ხალხს) გაიწიეთ განზე!

ასე იწყება ჩემი ბალადა

და ჩემი ბრძოლა იწყება ასე:

მე უკვე მზად ვარ... შეიშრეთ ოფლი,

დინჯად, ყვინჩილავ, ნუ ხტით ცეტივით!

რა გეჩქარებათ: მესამე სტროფის

ბოლოში უნდა დავსვა წერტილი!

(აღტაცებული შეძახილები)

მომწონს ეგ დარტყმა... თამამად უფრო!

თავდასხმა კარგი ხერხია დაცვის...

ოჰო, გეთაყვა!.. თქვენ აღარ ხუმრობთ!

განაგრძეთ... კიდევ ცოტა ხანს გაცლით!

ხომ არ დაგღალეთ? თქვენ უკვე ხვნეშით,

ვით დედაკაცი წელმოწყვეტილი...

მითხარით ახლა: ფეხში თუ მკერდში?

სად გირჩევნიათ დავსვა წერტილი?

(აღტაცებული შეძახილები)

ნუ ცხარობთ! მესმის, ო, კარგად მესმის,

რომ თქვენი რისხვა უნაპიროა...

რა გაეწყობა? თავდება ლექსი...

სიტყვა-სიტყვაა, გახსოვთ პირობა?

გნებავთ ზედ შუბლზე დავაწერთ სტრიქონს,

მტკიცე მაქვს მკლავი, გამობრძმედილი...

გამაგრდით! ეს თქვენ! ეს ერთიც იყოს!

ვალვერი წაბარბაცდება და ეცემა. მარკიზებს გაჰყავთ დაჭრილი.  
მაყურებლები ხმამაღლა გამოთქვამენ აღტაცებას. სირანო განზე  
გაღდება, დაშნას ქარქაშში ჩააგებს და ლაბადას წამოიხურავს.



გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი:  
ნუ გერიდებათ... აიღეთ რამე,  
მიირთვით...

ს ი რ ა ნ ო:  
არა. თუ გემეტება,  
ხელზე გაკოცებ.

გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი:  
(დარცხვენილი) რას ბრძანებთ... გმადლობთ!

ს ი რ ა ნ ო:  
(ლე-ბრეს)  
მგონი, რალაცის თქმას აპირებდი?

ლ ე - ბ რ ე:  
რამ გადაგორია?

ს ი რ ა ნ ო:  
დაიწყე ისევ?  
რა დავაშავე?

ლ ე - ბ რ ე:  
კარდინალს ჰკითხე.

ს ი რ ა ნ ო:  
(გაკვირვებული) აქ ბრძანდებოდა?

ლ ე - ბ რ ე:  
დიახ, აქ იყო...  
როგორ გგონია, რისთვის მოვიდა?

ს ი რ ა ნ ო:  
(მხრებს აიჩეჩავს) ალბათ მონფლერის  
მოსმენა სურდა.

ლ ე - ბ რ ე:  
არა, შენმა მზემ, შენი დანახვა!  
განრისხებული საშინლად...

ს ი რ ა ნ ო :

მართლა?

რაზე გაბრაზდა? ნუთუ ეწყინა  
ის, რომ ვაგინე ბაროს ლექსები?

მიკვირს, ღმერთმანი... ჩვენი მოძღვარი  
თვითონაც მწერლობს... სად გაგონილა,  
ჩვენს ღროში მწერალს სწყენოდეს თვისი  
თანამოკალმის ლახმღვა-გინება?!

ლ ე - ბ რ ე :

ყოველდღე თითო მოსისხლეს იძენ!..

არ დაგრჩენია გაუკილავი  
არც ერთი ჩვენი წარჩინებული,  
გადაიკიდე მეცნიერები,  
მწერლები... მთელი აკადემია!

ს ი რ ა ნ ო :

ჰმ... დავრდომილთა თავშესაფარი!...

ლ ე - ბ რ ე :

კარგი... მონღღერის რაღას ერჩოდნი?

ს ი რ ა ნ ო :

(იფეთქებს) არ გამაგონო მისი სახელი!..

იცი თუ არა, რომ ის გომბეშო  
ჩვენს ლამაზ ქალებს ეკურკურება?!

ჰო, ნუ იცინი... სცენიდან მუდამ  
ლოყებისაკენ გაურბის თვალი.  
ოხრავს, წითლდება შეყვარებული  
გიმნაზისტივით...

გასულ პარასკევს

თვალი დაადგა თვით...

ლ ე - ბ რ ე :

...რას გაჩუმიდი?!



ს ი რ ა ნ ო:

(ადღევებულის) თვით ულამაზესს ლამაზთა შორის!  
მოკლედ, კინაღამ ჭკუა დავკარგე!...

ასე მეგონა: უმანკო ყვავილს  
მატლი დორბლავდა ან ლოკოკინა!

ლ ე - ბ რ ე:

(გამომცდელად უყურებს)  
მოიცა, რა სთქვი?... „ულამაზესი  
ლამაზთა შორის?“... ერიჰა, ძმაო...  
შეყვარებული ხომ არ ხარ?

ს ი რ ა ნ ო:

(მწარე ღიმილით) გიკვირს?  
სასაცილოა, არა? ამხელა  
ცხვირის პატრონი მიჯნურის როლში?!  
საუბედუროდ, ასეა, მიყვარს...

ლ ე - ბ რ ე:

ვინ?

ს ი რ ა ნ ო:

როგორ ფიქრობ? მახინჯი თვითონ,  
ცხადია, ლამაზს შევიყვარებდი.  
ყველაზე კობტას, ყველაზე ტანადს,  
ცისფერთვალას და ოქროსთმებიანს...

ლ ე - ბ რ ე:

ოქროსთმებიანს?... დაიცა... მგონი,  
მივხვდი...

ს ი რ ა ნ ო:

მიხვედრა არ არის ძნელი:  
იგი ქალებში გამოირჩევა,  
ვით მნათობებში ცისკრის ვარსკვლავი...

ლ ე - ბ რ ე:

როქსანა!

ს ი რ ა ნ ო:

ღიახ, როქსანა!

ლ ე - ბ რ ე:

მერე?

რადას აყოვნებ?! მიდი, ეახლე  
და შენებური მჭევრმეტყველებით  
გადაუშალე გულისნადები!  
პოეტი არ ხარ?! რამ შეგაშინა?  
სხვა რომ არ იყოს, დღეს თვითონ ნახა  
შენი მკლავის და გონების ძალა!

ს ი რ ა ნ ო:

იტყვი რაღაცას!.. რა ადვილია?!  
ვთქვათ და მივედი? რა ვუთხრა მერე?  
ნუთუ ვიხუმრო, როგორც ყოველთვის:  
„ჩემო როქსანა... დიდი ბოდიში.  
შემაგვიანდა, რას იზამ... მე რომ  
ოდნავ დამესწრო ჩემი ცხვირისთვის,  
გნახავდით ერთი საათით ადრე?!“...  
არა, გეთაყვა!... მახინჯი კაცი  
ბრძოლის ველზე თუ ივარგებს, ისე  
არსად არ არის გამოსაჩენი!  
ამაში თვითონ დავრწმუნდი... ერთხელ  
ქალაქის ბაღში დავსეირნობდი.  
საღამო იყო. ყოველ ხის ძირას  
შეყვარებულნი ისხდნენ. უცრად  
მე თვით არ ვიცი, რა მომივიდა,  
თითქო მაცდურმა დამრია ხელი, —  
ტრფიალის უინმა წამომიარა,  
გადამავიწყდა ვინ ვარ და რა ვარ,  
მომინდა ხვევნა, კოცნა, ალერსი,  
თრობა, სიგიჟე, თავდავიწყება.  
ასე მეგონა, სიზმრად ვიყავი!..  
მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა



ჩემი სიზმარი, ღრუბლიდან მთვარემ  
გამოანათა, ბალის ბილიკზე  
გამოჩნდა ჩემი პროფილის ჩრდილი...  
და მეც გონს მოველ...

ლ ე - ბ რ ე:

(თავზარდაცემული) შენ ტირი?

ს ი რ ა ნ ო:

არა...

სიცილით ვკვდები... როცა ვიგონებ  
იმ ღამეს... (ხელს ჩაიქნევს) ეეჰ!..

ლ ე - ბ რ ე:

კი, მაგრამ ახლა...

ამ წუთს არ იყო... ის გამყიდველი  
გოგონა შენით რომ მოიხიბლა?

ს ი რ ა ნ ო:

არ გინდა, ლე-ბრე...

ლ ე - ბ რ ე:

ვფიცავ ყველაფერს! (პაუზის შემდეგ)

სუ, ახლა! სიტყვა არ გამაგონო!

გასწი, მონახე შენი როქსანა

და ისე, როგორც ვაუკაცს შეჰფერის,

უთხარი შენი გულისნადები!

მე დამავიწყდა მეტყვა: თქვენს ღუელს

იგი უცქერდა გაფითრებული

და თოფნაკრავი შველივით თრთოდა!

ს ი რ ა ნ ო:

არ დაუჯერო თვალებს!

ლ ე - ბ რ ე:

საკუთარ

თავს დაუჯერე, ის გირჩევნია!

წადი, რას დგახარ?

ს ი რ ა ნ ო:

(ყოყმანით) ჰმ... ერთიც ვნახოთ,  
დამცინოს?... არა! სასწაულების  
არ მჯერა, ძმაო!...

(სირანოს უახლოვდება კარისკაცი)

კ ა რ ი ს კ ა ც ი:

(მიუთითებს ვიღაცაზე) თქვენი ნახვა სურთ...

ს ი რ ა ნ ო:

ღმერთო ძლიერო! მისი მოახლე...  
რისთვის დავჭირდი?..

ლ ე - ბ რ ე:

მიღი და გეტყვის... (სირანო მიღის)  
უფალი იყოს შენი მფარველი!

**სირანო მალე ბრუნდება, ძალზე აღელვებულია.**

ს ი რ ა ნ ო:

ლე-ბრე!.. თუ მძინავს, დამკარი ხელი  
და გამაღვიძე...

ლ ე - ბ რ ე:

რა მოხდა?

ს ი რ ა ნ ო:

ლე-ბრე!...

როქსანა ჩემთან შეხვედრას ითხოვს!...  
ხვალ, შვიდ საათზე, რაგნოს დუქანში  
პაემანი მაქვს...

ლ ე - ბ რ ე:

(კმაყოფილი) დამშვიდდი ახლა?

ს ი რ ა ნ ო:

რა დამამშვიდებს, ადამიანო?!  
ფრთა გამომესხა და ავფრინდება  
საცაა ცაში! მოვიდეს ახლა,



რაც ბოროტება არსებობს ქვეყნად,  
ქვესკნელს გავარღვევ და თვით სატანას  
პირისპირ, მარტო შევეჭიდები!

შემოდინ კუიეი, ბრისალი, ოფიცრები. მათ შემოჰყავთ ძალზე  
მთვრალი ლინერი. ხმაურზე კულისებიდან მსახიობები გამოიხე-  
დავენ.

კ უ ი ე ი:

(სირანოს) ეი, სირანო!.. შენი კოლეგა  
მოგგვარეთ!.. ცოტა შეუძლოდ გახდა!  
დაუყინია, გინდა თუ არა,  
დე ბერყერაკთან მიმიყვანეთო!.. (ლინერს)  
ლინერ... გონს მოდით!.. აგერ სირანო.

ლინერი:

(სირანოს გაუწვდის დაჭმუჭნილ ქალაღდს)  
შეხედე, რას მწერს ძმაკაცი... თურმე,  
ამაღამ ასი მხედარი პოეტს  
შეხვედრას მიწყობს ნელის ციხესთან...  
ყელს გამომჭრიან წიწილასავით...  
და იცი... რისთვის? ერთი პატარა  
ლექის გულისთვის... მოკლედ, ამაღამ  
შენს ლინერს სახლში არ მიესვლება!

სირანო:

მაშ... ასი — ერთზე?! ასი ლაჩარი  
აპირებს ერთი პოეტის მოკვლას?  
(კედლიდან ფარანს ჩამოხსნის, ლინერს)  
მოჰკიდე ხელი ამას! ამაღამ  
შენ დაიძინებ საკუთარ სახლში!

კ უ ი ე ი:

(მრავალმნიშვნელოვნად) ასნი არიან!..

სირანო:

ათასიც იყოს!  
ნაკლებზე ახლა ხელს არ გავისვრი!

(ოფიცრებს)

თქვენც წამობრძანდით!.. მხოლოდ შევთანხმდეთ:  
გამოსარჩლება არა მჭირდება.  
თვითონ მოვუვლი იმ არამზადებს!

ბ რ ი ს ა ლ ი:

(გაოცებული) ას კაცს?

ს ი რ ა ნ ო:

ჰო, ას კაცს!

ბ რ ი ს ა ლ ი:

მარტო?

ს ი რ ა ნ ო:

კი, მარტო!

აბა, მომყევით!..

ყ ვ ე ლ ა ნ ი:

წავიდეთ!.. ვნახოთ!..

წინ! გაუმარჯოს სირანოს! ვაშა!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ ი ო ბ ი ქ ა ლ ი:

(სირანოს) თუ შეიძლება, ჩვენც გვინდა ნახვა.

ს ი რ ა ნ ო:

წამოდით ყველა!

მ ე ო რ ე მ ს ა ხ ი ო ბ ი ქ ა ლ ი:

(სირანოს) იქნება გვითხრათ,

(ლინერზე მიუთითებს)

რაშია მისი დანაშაული?

ლ ე - ბ რ ე:

(სირანო გაჰყავს განზე)

რად გინდა?.. ვილაც ლოთის გულისთვის

თავს რატომ იგდებ საფრთხეში?..



ს ი რ ა ნ ო:

როგორ?

ლინერი ჩემი მეგობარია!

ეგეც არ იყოს, პოეტი პოეტს

გაჭირვებაში დასტოვებს განა? (კარისკაცს)

გახსენით კარი!

კარისკაცი აღებს ალაყაფს. გამოჩნდება მთვარით განათებული  
პარიზის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. სირანო შეჩერდება მოხიბ-  
ლული ამ სილამაზით

ოჰ, რა ლამეა!...

შეხედე, ლინერ, რა ლამაზია

ჩვენი პარიზი მთვარიან ღამით!

მას უკვე სძინავს... დაღლილი თავი

ლურჯი ქედების კალთაში უდევს

და სძინავს ისე, როგორც ბრძოლის წინ

სძინავთ მეომრებს — ფხიზელი ძილით...

რა სიჩუმეა!.. რა გარინდება...

(მეორე მსახიობ ქალს)

თქვენ, ქალიშვილო, მგონი იკითხეთ:

რა დააშავა ამ კაცმა?.. გეტყვით:

ერთი პატარა ლექსი დაწერა,

რომელიც ზუსტად ნიშანში მოხვდა.

მეორე მსახიობი ქალი:

ამისთვის ჰკლავენ? ლექსის გულისთვის?

ს ი რ ა ნ ო:

ჰო, ჩემო კარგო! როდესაც ქვეყნად

სიცრუე მეფობს, მართალი სიტყვა --

ტყვიანზე უფრო საშიშარია!

## მეორე მოქმედება

რაგნოს სამიკიტნო. ფანჯრებში იჭვრიტება განთიადის მკრთალი ნათელი. დარბაზი ჯერ არ დაულაგებიათ, მაგიდებზე აყირავებული სკამები აწყვია. რაგნო დახლს მისჯდომია და წერს. შემოდის ლიზა, აღმაცერად გადახედავს ქმარს და იწყებს დარბაზის დალაგებას.

რ ა გ ნ ო:

(ბუტბუტებს)

... მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით...

გაშლილი ხელით... ჩემი სახელით...

სახელით... ყველა ფრანგის სახელით...

პათოსით წარმოთქვამს:

მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით,

გპატიყდებთ ყველა ფრანგის სახელით!

ჩინებულია! ამ ბოლო სტრიქონს

თვით დიდი ბაროც ხელს მოაწერდა!

ლიზა:

(გაბრაზებული)

ადამიანო! გათენდა უკვე!..

რ ა გ ნ ო:

(გამოერკვევა)

თქვი რამე?



ლიზა:

ხალხი საცაა მოვა!

ადე, გახედე სამზარეულოს!  
წლებელ სრულებით არ მიძინია,  
ფეხზე ძლივს ვდგავარ... ქვაბების ხეხვით  
გავთავდი ქალი!

რაგნო:

ჰმ, სამწუხაროდ,  
პოეზიის დროც გათავდა: დადგა  
ქვასანაყების, ცხელი ტაფების  
და მოთუხთუხე ქვაბების ჯერი!

აკრფს თავის ნაწერებს. შემოდის მზარეული  
ბიჭუნა ქვაბით ხელში.

ბიჭი:

ნახეთ, ოსტატო, აკლია რამე?

რაგნო:

(ჭაშნიკს იღებს)

ნუ გენანებათ, ბიჭო, მწვანილი!  
საჭმელს მწვანილი ანიჭებს გემოს  
ისე, ვით ლექსებს გამჭოლი რიტმი!  
(გასძახის სამზარეულოში მზარეულს),  
სოუზს ჩაურთეთ ქინძის სტრიქონი  
და დაფნის ფოთლით გარითმეთ სუპი!

ლიზა:

(ბუზღუნით)

მწვანილს ბაზარში ცეცხლის ფასი აქვს,  
რა ენაღვლება ამას!.. დამჯდარა,  
ჯღაბნის რაღაცა სისულელეებს!

რაგნო:

(კვლავ განკარგულებას იძლევა)  
მწვადის სონეტში არ დაგავიწყდეთ  
პამიდორის და ხახვის სტროფები!

ლიზა:

ა! მოუსმინეთ ერთი, რას ამბობს!  
გამოთაყვანდა ეგ უბედური!  
რაც იმ პოეტებს გადაეკიდა  
ადამიანურ სიტყვას არ იტყვის, —  
სულ ასე ბოდავს დასიცხულივით!

რაგნო:

ო, რა უხეში ენა გაქვს, ქალო!  
ხეპრე ხარ! ხეპრე!

ლიზა:

რაო, რა ბრძანე?  
გაიმეორე! (დღონჯს შემოირტყამს და გაიწევს  
რაგნოსაკენ. რაგნო უკან იხევს).  
ყბედო! უქნარავ!  
ჰა, გამომართვი ხელსახოცები!  
მოკეცე სამად, როგორც წესია,  
და მაგიდებზე დააწყვე... მალე!  
შვიდი დაიწყო, საცაა შენი  
მუქთახორები მოგადგებიან!

რაგნო:

(ათვალიერებს ხელსახოცებს, კითხულობს).  
„ძვირფასო, ოდეს მდინარის პირად“...  
„ედემის ვარდო, ვით დავიჯერო“...  
„სონეტი უცნობს“... „ჩემს მზეს“...  
მოიცა,

ეს რა გიქნია, შე უსირცხვილოვ, —  
ხელნაწერები დაგიხევია! (აღშფოთებული)  
ბალადა!.. ოდა!... ტრიოლეტები!  
ჩემი ძვირფასი ამხანაგების  
საუკეთესო ლექსები! ღმერთო!  
გაგიყდა ქალი!

ლიზა:

კარგი, ნუ ყვირი!



ხელნაწერია თუ რალაცაა,  
ქალღმერთი ხოა?! დაღე სუფრაზე,  
თუ წაიკითხავს ვინმე, ჯანდაბას,  
არა და ხელეებს შეიწმენდს კაცი!

რ ა გ ნ ო:

გაიგე, ქალო, ამ ქალღმერთებში  
პოეზიაა! გესმის, რას ვამბობ?!  
ადამიანის ტვინის ნაყოფი!

ლ ი ზ ა:

არ დამავიწყდეს... დღეს მენიუში  
საქონლის ტვინი არ გვიწერია!

რ ა გ ნ ო:

ქკუიდან შემშლის ეს დედაკაცი!  
აბა, რა უნდა გელაპარაკო:  
მღილი ხარ! მტვერი! არარაობა! (გრძნობით  
კითხულობს):  
„პოი, მშვენიერებავ ცით მოვლენილო,  
ვით ავიტანო მე უშენობა!“...  
გესმის, უგნურო, რა სიტყვებია?!

ლ ი ზ ა:

ოდესღაც შენთვის ცოლი ვიყავი,  
ახლა მღილი ვარ?... გმადლობთ, ბატონო!  
კიდევ კარგი, რომ ყველა შენსავით  
არ ფიქრობს... დიახ, ზოგიერთისთვის  
ისევ ქალი ვარ... არ დაგავიწყდეს!

სწრაფად შემოდის სირანო.

ს ი რ ა ნ ო:

ეი, ძმობილო! რა დროა ახლა?

რ ა გ ნ ო:

შვიდი დაიწყო... მობრძანდით...

ს ი რ ა ნ ო:

აბა,

საწერკალამი!.. სწრაფად!

რ ა გ ნ ო:

ამ წუთში!..

ლიზა! გაინძერ, რამ გაგაშტერა...

სკამი მიაართვი სტუმარს... ბატონო,

დაბრძანდით... თქვენთვის... რაც გნებავთ...

მე გუშინ ვნახე...

მზად ვარ...

ს ი რ ა ნ ო:

რა?

რ ა გ ნ ო:

ის ბრწყინვალე

დუელი — ლექსად!.. თქვენი ბალადა!

„ახლა კი დროა დავსვა წერტილი!“

(კალამი ხელში უჭირავს. აკეთებს ისეთ მოძრაობას, თითქოს დაუნას ატაკებს მოწინააღმდეგეს)

ო, რა უზომოდ მასიამოვნეთ!

რა იქნებოდა ასეთი ლექსი

მეც დამეწერა!..

(შემოდის ახოვანი ტანის მუშკეტერი).

მ უ შ კ ე ტ ე რ ი:

(რიხიანად)

სალამი ყველას!

ს ი რ ა ნ ო:

ვინ არის?

რ ა გ ნ ო:

ცოლის მეგობარია...

ხშირი სტუმარი ჩვენი სახლისა:

ძალზე გულადი და უშიშარი

მუშკეტერია...



ს ი რ ა ნ ო.  
რაგნო!

რ ა გ ნ ო!  
ბატონო?!

ს ი რ ა ნ ო:  
ხელი არავინ არ შემეშალოს...  
გესმის?! (თავისთვის) მე მხოლოდ გადავცემ წერილს  
და გავეცლები... (უყურებს მუშკეტერს,  
რომელიც ლიზას ხმადაბლა ელაპარაკება)  
ეს ვაჟბატონი  
მართლა გულადი ვინმე ყოფილა...  
რაგნო, რა დროა?

რ ა გ ნ ო:  
შვიდს ოცდახუთი  
აკლია...

ლ ი ზ ა:  
(სირანოს)  
ხელზე რა მოგივიდათ?

ს ი რ ა ნ ო:  
გამკაწრეს...

ლ ი ზ ა:  
რადაც გაკაწრულს არ ჰგავს...

ს ი რ ა ნ ო:  
(რაგნოს)  
როცა განიშნებ, გადით ყველანი!

რ ა გ ნ ო:  
კი, მაგრამ... ჩემთან უნდა მოვიდნენ....



ს ი რ ა ნ ო:  
ვინ?

რ ა გ ნ ო:  
პოეტები.

ლ ი ზ ა:  
მუქთახორები!  
ნისიად ჭამას შემოჩვეულნი!

რ ა გ ნ ო:  
გაჩერდი, ქალო!

ს ი რ ა ნ ო:  
(რაგნოს) გაიყვან გარეთ!

რ ა გ ნ ო:  
ღიახ, ბატონო.

ს ი რ ა ნ ო:  
საათს შეხედე.

რ ა გ ნ ო:  
შვიდი სრულდება!

ს ი რ ა ნ ო:  
(თავისთვის, თან წერს)  
სად ხართ, სიტყვებო?!  
დამუნჯდა ენა! რაც სათქმელია  
დიდი ხანია წარმოთქვეს სხვებმა!  
სად გამოვნახო ისეთი სიტყვა,  
რომ იყოს არა მარტოდენ საგნის  
იეროგლიფი, არამედ თვითონ  
საგნად გადიქცეს: ღრუბლად, ყვავილად,  
ადამიანად... თვით იყოს სახე  
და არა სახის ნიღაბი მხოლოდ,  
თვით იყოს სული და არა სულის  
ფერმკრთალი ასლი!.. ო, რა ტანჯვაა!..

შემოდინ პოეტები.

ლიზა:

(რაგნოს)

მოვიდნენ შენი დამთხვეულები!  
მიხედე!..

პირველი პოეტი:

(რაგნოს)

ჰოი, კერძების ღმერთო!

მეორე პოეტი:

მწვადების დანტევ!

მესამე პოეტი:

ხაჭაპურების

ლუკრეციუსო, სალამი შენდა.

რაგნო:

თქვენი დანახვა სიცოცხლეს მმატებს...

მობრძანდით, გელით...

სირანო:

(თავისთვის წერს)

ძვირფასო ჩემო!

მე თვით არ ვიცი: ვფხიზლობ თუ მძინავს?

შენთან — ცოცხალი, უშენოდ — მკვდარი,

ვარ და ამქვეყნად არცა ვარ თითქოს...

მიყვარხარ...

პირველი პოეტი:

გზაზე, ნელის ციხესთან

გვამები ყრია! წუხელ სასტიკი

ჩხუბი ყოფილა... ამბობენ, ვილაც

ვაყვაცი მარტოდმარტო შებმია

ასამდე მხედარს!

რაგნო:

ოჰო!



მეორე პოეტი:  
თერთმეტი  
კაცია მკვდარი!

სირანო:  
(თავისთვის) ჟჟურე შენა,  
ათი დავთვალე!

რაგნო:  
(სირანოს) ბატონო ჩემო!  
გმირის სახელი თუ იცით?

სირანო:  
არა.

რაგნო:  
(მუშკეტერს) თქვენ?

მუშკეტერი:  
(თავმომწონე ღიმილით უღვამს იგრებს):  
შესაძლოა ვიცოდე... მაგრამ  
არ მიყვარს კვენა!

სირანო:  
(თავისთვის)  
ო, ჩემო სიტყვავ,  
ცეცხლად მოედე ქაღალდს! სტროფებო,  
დაუსრულებელ კოცნად იქეცით!..

პირველი პოეტი:  
წარმოიდგინეთ, ერთი ვაჟკაცი  
ასს გაუმკლავდა! სასწაულია!

მეორე პოეტი:  
მაგას არ ვამბობ!

სირანო:  
ო, როგორ მიჭირს  
გრძნობის გამხელა... როქსანა!...



რ ა გ ნ ო:

(პოეტებს) ძმებო!

სასიხარულო რამ უნდა გითხრათ:

ახალი ლექსი დავწერე!

მ ე ო რ ე პ ო ე ტ ი:

აუჰ,

რა გაგვახარე!

მ ე ს ა მ ე პ ო ე ტ ი:

რაზეა ლექსი?

რ ა გ ნ ო:

მწვადზე... თუ გნებავთ, მოგასმენინებთ.

მ ე ს ა მ ე პ ო ე ტ ი:

აბა, ჰე! მიდი!

პ ი რ ვ ე ლ ი პ ო ე ტ ი:

მისცხე, პოეტო!

მ ე ს ა მ ე პ ო ე ტ ი:

გვარქვი... გვადირსე ბედნიერება!

მ ე ო რ ე პ ო ე ტ ი:

კი, მაგრამ... ლექსის ასე მოსმენა...

ხომ არ აჯობებს, სუფრასთან დავსხდეთ?!..

პ ი რ ვ ე ლ ი პ ო ე ტ ი:

კარგი აზრია! მით უმეტეს, რომ

არ გვეჩქარება არსად...

რ ა გ ნ ო:

კეთილი...

დაბრძანდით! ღიზა, მოემსახურე...

მაშ, ასე... (ქალაღდებს იღებს).

ს ი რ ა ნ ო:

(წერს) როგორც უხილავ ვარსკვლავს,

გონების თვალთ გეაღერსები...  
გნატრობ და ვუცდი გულის ფანცქალით,  
როდის მოადწევს ჩემამდე შუქი  
შენი სახისა...

რ ა გ ნ ო:  
(პოზას იღებს)  
ვიწყებ!

პ ი რ ვ ე ლ ი პ ო ე ტ ი:  
მოიცა!  
ჯერ ერთი ჭიქა დაგვაღევიწე!

ს ი რ ა ნ ო:  
(წერს)  
ვამთავრებ წერილს... არ ვუწყი თავად  
დასასრულია თუ დასაწყისი!  
ვინ იცის, იქნებ... ერთი მაქვს გული,  
მაგრამ ათასი გულივით მიძგერს!

პ ი რ ვ ე ლ ი პ ო ე ტ ი:  
(რაგნოს)  
აბა, დაიწყე!

მ ე ო რ ე პ ო ე ტ ი:  
ჰო, მიდი! მიდი!

რ ა გ ნ ო:  
(კითხულობს)  
ცოლი თუ არ გყავთ, —  
დადიხართ ცალად,  
თუ ღვინის სმაზეც  
არა ხართ მწყრალად,  
ამასთან პირის  
გემოც გაქვთ თუკი, —  
ბაზარში წადით,  
იყიდეთ სუკი!

საერთო სიცილი, შეძახილები: ყოჩაღ! კარგია!



და ნუ დაიწყებთ  
უაზრო ყანყალს:  
სული შთაბერეთ  
გაყინულ მაცალს,  
შამფურზე ხორცი  
ააგეთ პეწით  
და გაღვივებულ  
ლადარზე შეწვით!  
შემწვარი მწვადი  
ჩათაღეთ თეფშში,  
მერე კი — ხახვი  
აიღეთ პეშვით,  
ზედ მოაყარეთ...  
სიამის მჩენი  
არ დაგავიწყდეთ  
ალუბლის წვენი!  
შემდეგ კი ფართოდ  
გააღეთ პირი,  
და თუნდაც სუფრა  
დაგიჭდეთ ძვირი,  
დალიეთ ღვინო,  
მიირთვით მწვადი,  
მერე კი... გულის  
სატრფოსთან წადით!

პოეტები:

(მადიანად ილუკმებიან)

გადასარევი ლექსია!

ყოჩაღ!

ნერწყვი მომადგა!

უჰ, როგორ მშია!

რაგნო:

(აღელვებული)

მადლობელი ვარ...

ს ი რ ა ნ ო:

(რაგნოს)

გონს მოდი... სანამ

შენ ერთი ლექსის თქმა მოასწარი,  
ამათ სამ-სამი მწვადი შესანსლეს.

რ ა გ ნ ო:

ღმერთმა შეარგოთ!.. არ მენანება,

პოეტი არ ვარ, მაგრამ ლექსები

მიყვარს და ფრანგულ პოეზიაში

მეც შემაქვს წვლილი, თუნდაც იმით, რომ  
მშიერ პოეტებს ვუმასპინძლები!

ს ი რ ა ნ ო:

კარგი კაცი ხარ, რაგნო!.. მომწონხარ! (ლიზას)

შენ ეი, ლიზა! ეგ ვაჟბატონი

ხომ არ გაწუხებს?

ლ ი ზ ა:

სრულებით არა!

ს ი რ ა ნ ო:

ისე, ყოველი შემთხვევისათვის,

თუ გაგიჭირდეს, მითხარი... თვალი

დაგლოურჯებია!

ლ ი ზ ა:

(გაბრაზებული) ეგ თქვენი საქმე

არ არი!

ს ი რ ა ნ ო:

მოკლედ... ლიზა, შენი ქმრის

შეურაცხყოფას არ ვაპატიებ

არავის. გესმის?



ლიზა:  
კი, მაგრამ...

სირანო:  
მოვრჩეთ!  
ვისაც ჭკუა აქვს, მიხვდება თვითონ!

ლიზა:  
(მუშკეტერს) შენზე თქვა, შტერო! ხმა ამოიღე!  
რას ჩაგივარდა ენა!.. ო, ღმერთო,  
რა მხდალები ხართ! თქვი რამე მაგის  
ცხვირის შესახებ... შეხედე, რას ჰგავს!

მუშკეტერი:  
მაცალე, ქალო, ჯერ მოვიფიქრო! (გადის.  
სირანო რაგნოს ნიშანს აძლევს).

რაგნო:  
(პოეტებს) პატივცემულნო! გავიღეთ იქით...

პოეტები:  
სუფრას რა ვუყოთ?

რაგნო:  
თუ გნებავთ, ბაღში  
გავაწყოთ. იქ ხელს არავინ შეგვიშლის.  
ყველანი გადიან. შემოდის როქსანა.

სირანო:  
რა ბედნიერი დღე გამითენდა!  
თქვენ აქ მოხვედით, რომ თვითონ მითხრათ...

როქსანა:  
გითხრათ მადლობა! ალბათ, არც იცით,  
რა დიდ განსაცდელს გადამარჩინეთ!  
ის გუშინდელი თქვენი მეტოქე...  
ვიკონტი, დიახ... და კიდევ ერთი  
გავლენიანი პირი...

ს ი რ ა ნ ო:

დე გიში?

რ ო ქ ს ა ნ ა:

ღიახ, დე გიში... არ მასვენებდნენ.  
გრაფმა საქმარო გამომიძებნა  
და გათხოვებას მაიძულებდა!

ს ი რ ა ნ ო:

იგი თავისთვის ზრუნავდა... საქმაროს  
ჰქონდა, ასე ვთქვათ, დეკორაციის  
დანიშნულება!

რ ო ქ ს ა ნ ა:

მაგრამ, სირანო!

შე სულ სხვა რამე მინდოდა შეთქვა...  
ო, როგორ ვღელავ! მსურს შეგახსენოთ  
ის შორეული დრო, ოდეს ერთად  
ჩვენ ვიზრდებოდით! მაშინ თქვენ ჩემთვის  
ტოლ-ამხანაგებს შორის იყავით  
უახლოესი ადამიანი...  
იქ, ბერჟერაკში, თუ გახსოვთ!

ს ი რ ა ნ ო:

მახსოვს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

ჩვენ ყოველ ზაფხულს ვხვდებოდით...  
გახსოვთ?

ბურთის თამაში. დაჭერობანა...

ს ი რ ა ნ ო:

რა დამავიწყებს, როქსანა...

რ ო ქ ს ა ნ ა:

ისიც გემახსოვრებათ, — რა უსაშველოდ  
ცელქი იყავით, რა მოჩხუბარი.  
არ გავიღოდა დღე, რომ ვინმესთან



შეტაკება არ მოგსვლოდათ... ჩხუბში  
ტოლი არ გყავდათ! დიდს თუ პატარას,  
ყველას თანაბრად იწვევდით ხმალში  
და სულ ადვილად უმკლავდებოდით  
შვინდის ტოტისგან გათლილი დაშნით!  
რა გული გქონდათ! მთელ ბერყერაკში  
თქვენებრ მამაცი არავინ იყო!

(პაუზის შემდეგ)

ო, უღარდელი ბავშვობის წლები!  
რა მალე გადის დრო! გაიხსენეთ  
ოჯახობანა! მე — დედის როლში!  
თქვენ... ვითომ ჩემი შვილი ხართ... გახსოვთ,  
როგორ გტუქსავდით: „შე უსირცხვილო!  
აღარ გელირსა დაჭკვიანება!  
სისხლი გამიშრო ამ ბავშვმა...“  
(დახედავს ხელზე) სისხლი!  
რა მოგივიდათ?

ს ი რ ა ნ ო:

გამიფხაჭუნეს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

ისევ?

ახლაც არ იშლით? თქვენი ხნის კაცი...

ს ი რ ა ნ ო:

ჩემი ხნის კაცსაც ზოგჯერ უხდება  
სამართლიანი საქმისთვის ბრძოლა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

სად და რა მოხდა?

ს ი რ ა ნ ო:

ო, არაფერი

ისეთი...

რ ო ქ ს ა ნ ა:

მაინც?

ს ი რ ა ნ ო :  
აქვე, მეზობლად...  
ნელის ციხესთან...

რ ო ქ ს ა ნ ა :  
მაშ, წუხანდელი  
გმირი თქვენა ხართ? (ცხვირსახოცს იღებს)  
მოიტათ ხელი,  
შეგიხვევით... აბა, მოჰყევით ახლა  
ვისთან იჩხუბეთ? (ხელს უხვევს).

ს ი რ ა ნ ო :  
იყვნენ...

რ ო ქ ს ა ნ ა :  
რამდენი?

ს ი რ ა ნ ო :  
ასამდე.

რ ო ქ ს ა ნ ა :  
(გაკვირვებული) როგორ? ასს გაუმკლავდით?  
მარტო?

ს ი რ ა ნ ო :  
ჰო, მარტო...

რ ო ქ ს ა ნ ა :  
მერე? განაგრძეთ,  
მაინტერესებს, რა მოხდა?

ს ი რ ა ნ ო :  
სხვა დროს...  
როქსანა! ახლა გთხოვთ, თუ ღმერთი გწამთ...  
ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებ,  
რად დამიბარეთ?!

რ ო ქ ს ა ნ ა :  
(პაუზის შემდეგ) მსურს საიდუმლო  
გაგანდოთ... ღმერთო! რა მემართება!



ს ი რ ა ნ ო:

(მოუთმენლად) თქვით!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ჩემო კარგო! თუ ყველაფერი,  
რაც ჩვენში ითქვა, რაც გავიხსენეთ, —  
თუ ოდნავ მაინც გექვირფასებათ,  
თუ გულში დაგრჩათ იმ წარსულიდან  
გამოყოლილი სითბო, — თქვენ, ალბათ,  
გამიგებთ და არ დამძრახავთ, ვიცი...  
აბა, როგორ ვთქვა! მე ერთი კაცი...  
მიყვარს...

ს ი რ ა ნ ო:

(სასოწარკვეთილი) ო!

რ ო ქ ს ა ნ ა:

მაგრამ მან ეს არ იცის!

ს ი რ ა ნ ო:

ო!

რ ო ქ ს ა ნ ა:

უკეთ რომ ვთქვა, ვერ ხვდება!

ს ი რ ა ნ ო:

(საშინლად დელავს) და თქვენ  
ეტყვით?..

რ ო ქ ს ა ნ ა:

კი, ვეტყვი... რა გაეწყობა,  
რაკი ვერ ბედავს თვითონ...

ს ი რ ა ნ ო:

საიდან  
მიხვდით, რომ იმ კაცს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

ამის მიხვედრა  
არ იყო ძნელი. შორიდან მეტრფის,  
წვალობს, საწყალი და იტანჯება...  
რად გიკანკალებთ ხელი?

ს ი რ ა ნ ო:

(მოუთმენლად) ვინ არის?

რ ო ქ ს ა ნ ა:

გვარდიელების პოლკში მსახურობს.

ახალგაზრდაა, ბრგე და ტანადი.

როგორც ეტყობა, ამაყიც არის,

ჭკვიანიც, ზრდილიც... რაც მთავარია.

ულამაზესი სახე აქვს! რაღაც

გასაოცარი...

ს ი რ ა ნ ო:

(შეჰყვირებს) სახე?!

რ ო ქ ს ა ნ ა:

სირანო,

რა მოგივიდათ?

ს ი რ ა ნ ო:

არაფერია,

ხელი მატკინეთ.

რ ო ქ ს ა ნ ა:

(ამთავრებს შეხვევას) მოვრჩები ახლა...

წუხელ თეატრში იყო. გეთაყვა,

რატომ გაფითრდით ასე?

ს ი რ ა ნ ო:

(ყრუად) რა ჰქვია?

რ ო ქ ს ა ნ ა:

ბარონ კრისტიან დე ნევილეტი.

ს ი რ ა ნ ო:

ჰმ, პოლკში არ გვყავს ასეთი.

რ ო ქ ს ა ნ ა:

ალბათ



არ შეგხვედრიათ ჯერ... ის ყმაწვილო  
ახლა ჩარიცხეს...

ს ი რ ა ნ ო:

მაგრამ, როქსანა...

თქვენ მას არ იცნობთ... ხომ შესაძლოა  
აღმოჩნდეს, რომ ის...

რ ო ქ ს ა ნ ა:

დე ნევილეტი...

ს ი რ ა ნ ო:

ჰო, ერთიც ვნახოთ, ბრიყვია ვილაც!

რ ო ქ ს ა ნ ა:

რას ბრძანებთ?! მისი ლურჯი თვალების  
მზერა ისეთი საზრიანია!

თვითონ პარისიც ვერ შეედრება  
მას სილამაზით!

ს ი რ ა ნ ო:

იქნებ მხდალია?

რ ო ქ ს ა ნ ა:

გმირის სახე აქვს!

ს ი რ ა ნ ო:

თქვენი პარისი....

რ ო ქ ს ა ნ ა:

ქანდაკებას ჰგავს!

ს ი რ ა ნ ო:

ეგ მჯერა, მაგრამ

მუნჯი რომ იყოს, ვით ქანდაკება?

რ ო ქ ს ა ნ ა:

(გულმოსული) არა, სირანო!

ს ი რ ა ნ ო:

საოცარია!

მხოლოდ შორიდან გინახავთ კაცი,  
კარგად არ იცნობთ და შეგიყვარდათ  
მხოლოდ იმისთვის, რომ მისი სახის  
ნაკვთები მოგწონთ!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ის არა მხოლოდ  
მშვენიერია და გონიერი,  
მე ვფიქრობ, იგი პოეტიც არის.  
სულით, ცხადია... ო, უსათუოდ  
პოეტი უნდა იყოს!

ს ი რ ა ნ ო:

კი, მაგრამ  
ჩემგან რა გინდათ? ნუთუ ამისთვის  
მიხმეთ?

რ ო ქ ს ა ნ ა:

ო, არა! სირანო, თქვენთან  
სათხოვარი მაქვს. თქვენს პოლკში ყველა  
გასკონელია?

ს ი რ ა ნ ო:

დიახ.

რ ო ქ ს ა ნ ა:

გეთაყვა,  
მე ასე მითხრეს, რომ გასკონელებს  
არ გიყვართ, როცა სხვა კუთხის კაცი  
შემოერევა თქვენს რიგებს!

ს ი რ ა ნ ო:

დიახ!

რ ო ქ ს ა ნ ა:

რომ ახალბედა მეომრებს, თურმე,  
სასტიკად ცდიან გვარდიელები.



ს ი რ ა ნ ო:

კი. ამოწმებენ მათ ვაჟკაცობას...  
მაგრამ, არ მესმის, — გვარდიელების  
ამბავი რაში გაინტერესებთ?

რ ო ქ ს ა ნ ა:

მე კრისტიანის ბედი მაწუხებს!

ს ი რ ა ნ ო:

(დამცინავი ღიმილით) აჰ, გეშინიათ, რომ ლამაზ  
ყმაწვილს

არა ავნონ რა ჩვენმა ბიჭებმა?  
ჰმ, უსაფუძვლო არ არის თქვენი  
იჭვი...

რ ო ქ ს ა ნ ა:

სირანო! შიშისაგან ლამის  
გული გამისკდეს! არ ვიცი, რა ვქნა!  
სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან.  
გულში იმ კაცთან ორთაბრძოლაში  
თქვენ... მე გიცქერდით... გამოიჩინეთ  
იმდენი ძალა, გამბედაობა,  
რომ მე ვიფიქრე: კრისტიანს თქვენებრ  
ვაჟკაცი მხარში თუ ამოუდგა,  
მაშინ...

ს ი რ ა ნ ო:

როქსანა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ვფიცავ ყველაფერს,  
კრისტიანს რამე რომ მოუვიდეს,  
მე თავს მოვიკლავ!

ს ი რ ა ნ ო:

თქვენი გულისთვის  
მზად ვარ!..

როქსანა:

ო, გმადლობთ! მაშ, შემიძლია,  
თქვენი იმედით ვიყო?

სირანო:

პირობას

გაძლევთ, არავის დავაჩაგვრინებ!

როქსანა:

(აღფრთოვანებით)

გაუფრთხილდებით? დაიცავთ ყველა

განსაცდელისგან?

სირანო:

მე შევეცდები,

მისი როქსანა არ დავაღონო!

როქსანა:

მეგობრობასაც გაუწევთ?

(სირანო თავს უქნევს) გმადლობთ!

ო, რა კარგი ხართ! გმადლობთ, სირანო...

სირანო:

(ყრუდ) არაფერს!

როქსანა:

მაგრამ, რა ვქნა! მე უნდა

წავიდე! სახლში მკერავი მიცდის!

ნახვამდის! სხვა დროს ალბათ მიამბობთ

ყველაფერს, რაც თავს გადაგხდათ წუხელ...

საბრალო ხელი!

(სურს მოეფეროს, მაგრამ სირანო

გამოსტაცებს ხელს) ო, რომ იცოდეთ,

რა გამახარეთ! მაშ, მეგობარო,

არ დაგავიწყდეთ პირობა! კარგი? (სირანო

თავს უქნევს).



თქვენ ალბათ ნახავთ კრისტიანს! სთხოვეთ,  
მომწეროს რამე. ეტყვით?

ს ი რ ა ნ ო:

(ნაღვლიანად) კი, ვეტყვი...

რ ო ქ ს ა ნ ა:

არ დაგავიწყდეთ! გაწუხებთ ხელი?  
ნეტა შემეძლოს დარჩენა! რა ვქნა,  
მკერავი მიცდის, მაშ ეტყვი, არა?

ს ი რ ა ნ ო:

ვეტყვი.

რ ო ქ ს ა ნ ა:

ო, ღმერთო! დრო მაინც მქონდეს,  
წუხანდელ ამბავს მოგაყოლებდით.  
მაშ, მარტოდმარტო ასს ვაუმკლავდით?  
გმირი ყოფილხართ!

ს ი რ ა ნ ო:

ეგ რაა...

რ ო ქ ს ა ნ ა:

როგორ?

ს ი რ ა ნ ო:

(პაუზის შემდეგ) დღეს ბევრად უფრო მეტი შევქელი!  
(როქსანა მიდის... სირანო დგას ჩაფიქრებული).

რ ა გ ნ ო:

(თავს შემოყოფს) თუ შეიძლება?

ს ი რ ა ნ ო:

(არ შერხეულა) მოდი.

შემოდის რაგნო პოეტების თანხლებით. მას მოჰყვებაკარბონი —  
გვარდიელების კაპიტანი.

კ ა რ ბ ო ნ ი:

ბიჭებო! აქა ყოფილა!  
(სირანოს) სად ხარ, სირანო?  
მთელი ქალაქი შენზე ყაყანებს.  
ეს რა გიქნია ნელის ციხესთან?

ს ი რ ა ნ ო:

კაპიტან...

კ ა რ ბ ო ნ ი:

უნდა დავლიოთ შენი  
გამარჯვებისა! ჩვენი ბიჭები  
ამ წუთში მოვლენ!

ს ი რ ა ნ ო:

არ შემიძლია!

კ ა რ ბ ო ნ ი:

უგუნებოდ ხარ? აპა-პა-პა-პა!  
არ გამაგონო! დღეს უნდა დავთვრეთ!  
ხმაურით შემოდინ გვარდიელები,  
ლე-ბრე, მარკიზები, მოქალაქენი,  
მსახიობები, ჟურნალისტი.

გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი:

(შემოსვლისთანავე) ჯანდაბას ყველა და ყველაფერი!  
ოო, სირანო! უყურეთ ერთი,  
სად დამალულა ეს ოჯახქორი!  
თავს იკატუნებს, საწყალი, თითქოს  
მამა აბრამის ბატკანიაო!

რ ა გ ო ნ ო:

(გვარდიელებს შემკრთალი)  
გასკონელები ბრძანდებით ყველა?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

(რიხიანად) მაშ, რა გეგონა?...



მეორე გვარდიელი:  
(სირანოს) უშიშარ მებრძოლს  
ჩემი სალამი!

მესამე გვარდიელი:  
ყოჩაღ, სირანო!

პირველი გვარდიელი:  
მოდის, გაკოცო!

გვარდიელები:  
(ერთად) ვაკოცოთ ყველამ!

სირანო:  
მადლობელი ვარ! დიდი მადლობა!

ლე-ბრე:  
(სირანოს)  
ესენი ახლა სულს ამოგხდიან.  
ეგ არაფერი, ის ხალხიც მოდის,  
წუხებელ რომ გახლდა ნელის ციხესთან!

სირანო:  
შენ მოასწავლე ჩემი გზა, ლე-ბრე?

ლე-ბრე:  
კი.

სირანო:  
(საყვედურით) მეგობრობაც ამასა ჰქვია!

ლე-ბრე:  
(გააღებს კარს) მობრძანდით!

ხალხი:  
ვაშა! სირანოს ვაშა!  
გმირს გაუმარჯოს! ვაჟკაცს დიდება!

მარკიზები:  
რა სასწაული ჩაგიდენიათ!

ას კაცთან ბრძოლა! პირისპირ! მარტო!

პირველი მარკიზი:  
მსურს მოგილოცოთ და ჩამოგართვათ  
ხელი...

სირანო:  
(გაოცებული) კი, მაგრამ თქვენ არ იყავით,  
გუშინ რომ სალამს არ კადრულობდით?  
(ზურგს შეაქცევს).

მეორე მარკიზი:  
ო, ჩემო ძმაო!..

სირანო:  
რის აქეთია  
შენი ძმა გავხდი? (ზურგს შეაქცევს).

მესამე მარკიზი:  
ყოჩაღ, სირანო!  
მოიტა ხელი!

სირანო:  
შენობით ტოლებს  
ელაპარაკე!

ლე-ბრე:  
რა ხდება, ხედავ?

ჟურნალისტი:  
(სირანოს) ერთ წუთს, ბატონო! გაზეთისათვის  
მსურს ინტერვიუ მივიღო თქვენგან.  
ზოგი წვრილმანი მაინტერესებს.

სირანო:  
მომწყდით თავიდან!

ჟურნალისტი:  
მსურს დავაზუსტო,



რომელ საათზე...

ს ი რ ა ნ ო:

(მრისხანედ) არ გესმის, რა ვთქვი?

ლ ე - ბ რ ე:

(სირანოს) მთელი ქვეყანა გაიგებს შენ:  
გმირობის ამბავს!

ს ი რ ა ნ ო:

დამეხსენ, ლე-ბრე!

სავსე ვარ შენი პატივისცემით:

ყელამდე!..

პ ო ე ტ ი:

(სირანოს) ერთ წუთს...

ს ი რ ა ნ ო:

ჯანდაბას თქვენნი

თავი და ტანი! შენ რაღა გინდა?

პ ო ე ტ ი:

ნება მიბოძეთ...

ს ი რ ა ნ ო:

არ გაძლევ ნებას!

პ ო ე ტ ი:

მე მინდა, ჩემი აღფრთოვანება

ლექსად გამოვთქვა!

ს ი რ ა ნ ო:

წადი, თუ ძმა ხარ!

მომწყდი თავიდან! ნუ გამომიყვან

მოთმინებიდან, თორემ, ღმერთმანი,

მოგკლავ ვილაცას!

ხ მ ე ბ ი:

ლე გიში მოდის!

ხალხი გზას აძლევს გრაფს. იგი

უახლოვდება სირანოს.

დე გიში.

(სირანოს) ჩვენს მთავარსარდალს მარშალ გასიონს  
ეს წუთი არის შეატყობინეს  
თქვენი გმირობის შესახებ.

ს ი რ ა ნ ო:

(ცივად) დიდად  
მოხარული ვარ.

დე გიში:

მან დამავალა  
გადმოგცეთ ჯილდო — მისი მოლოცვა  
იმ იშვიათი ვაჟკაცობისთვის,  
რაც თქვენ გუშინ გამოიჩინეთ  
უთანასწორო ბრძოლაში. (ხალხს) აბა!  
რას ვიფიქრებდით, პატივცემულნო,  
ასეთი გმირი თუ გვყავდა ფრანგებს!  
წუხანდელ ბრძოლას რომ წარმოვიდგენ,  
ასე მგონია, თვით აქილევსი  
აღსდგა მკვდრეთით და გამოგვეცხადა  
მტრებზე მომავალ გამარჯვებათა  
საწინდრად! მაგრამ, სამწუხაროა,  
რომ აქილევსი ამ ყაჩაღების  
პოლკში მსახურობს.

ს ი რ ა ნ ო:

ამ „ყოჩაღების!“  
გინდოდათ გეთქვათ?

კ ა რ ბ ო ნ ი:

(სირანოს) როგორც ეტყობა,  
გრაფი არ გვიცნობს. გავაცნოთ თავი!

ს ი რ ა ნ ო:

• (დეკლამაციას იწყებს, მას აჰყვებიან



გვარდიელები)

ეს გასკონელი გვარდიელები  
არიან კარბონ კასტელ ჟალუსი!  
მათი სიმდიდრე ბასრი დაშნაა  
და შეურყვნელი სინდის-ნამუსი.  
მამაცებს ომი ესახელებათ,  
მტრებისთვის ტყვია არ დაეღვეათ,  
ეს გასკონელი გვარდიელები  
არიან კარბონ კასტელ ჟალუსი!  
ულვაშები აქვთ ანგორის კატის,  
წეროს ფეხები და მგლის კბილები,  
ქალებს აურჯოლებს შეხედვა მათი,  
თვალებს ნაბავენ მიბნედილები...  
ულვაშები აქვთ ანგორის კატის,  
წეროს ფეხები და მგლის კბილები!  
თუმცა „ყაჩაღებს“ ეძახით ყველა,  
თავგატეხილიც ხშირად არიან,  
თავისი თავი მოსწონთ ძალიან,  
არად ავდებენ ლორდებს გვარიანს, —  
საკადროს პასუხს ვასცემენ ხელად...  
თუმცა „ყაჩაღებს“ ეძახით ყველა,  
თავისი თავი მოსწონთ ძალიან!  
თუნდ ასი კაცი მოვიდეს ერთზე,  
უკან არასდროს არ დაიხევენ,  
სიკვდილს ხვდებიან დამდგარი ფეხზე,  
ჭრილობებს ღრუბლის ბანდით იხვევენ  
და არ ჰკარგავენ ომში სიმხნევეს!..  
თუნდ ასი კაცი მოვიდეს ერთზე,  
უკან არასდროს არ დაიხევენ,  
ეს გასკონელი გვარდიელები  
არიან კარბონ კასტელ ჟალუსი!  
მათი სიმდიდრე ბასრი დაშნაა  
და შეურყვნელი სინდის-ნამუსი...  
მამაცებს ომი ესახელებათ,

მტრებისთვის ტყვია არ დაეღევათ,  
ეს გასკონელი გვარდიელები  
არიან კარბონ კასტელ ქალუსი!

დ ე გ ი შ ი:

კარგი ლექსია!.. დაშნა ბასრი გაქვთ  
და არა ნაკლებ გიჭრით კალამიც!  
ვის კარზე იღვწით და მოღვაწეობთ?

ს ი რ ა ნ ო:

საკუთარ სურვილს ვემსახურები.

დ ე გ ი შ ი:

ჩემს სამსახურზე რას იტყვით?

ს ი რ ა ნ ო:

(ცივად) რა ვთქვა?

დ ე გ ი შ ი:

თქვენი ნიჭი და გამბედაობა  
დაამწვენებდა ჩემს ასაბიას.  
გარდა ამისა, მე ვფიქრობ, დროა  
გამოაქვეყნოთ ლექსები! ალბათ  
გაგონილი გაქვთ, რომ კარდინალი  
ნათესავია ჩემი. ამჟამად  
იგი განაგებს ბეჭდვის საქმეებს  
და თან მთავარი ცენზორიც გახლავთ.  
თუ გნებავთ, ვეტყვი.

ლ ე - ბ რ ე:

სირანო, გესმის?

შენ შეგიძლია წიგნი გამოსცე,  
ან „ავრაპინა“ დადგა თეატრში! (ჩუმად)  
ნუ ხარ ასეთი უკმეხი, კაცო,  
ზრდილობიანად ელაპარაკე!

ს ი რ ა ნ ო:

(ყოყმანით) კარგი, ვიფიქრებ



დ ე გ ი შ ი :

მხოლოდ წინასწარ

გაფრთხილებთ: მისი უწმინდესობა

ლექსებს წერს თვითონ და მეტად მკაცრი

კრიტიკოსია! მან, შესაძლოა,

აქა-იქ ზოგი რამ ჩაგისწოროთ.

ს ი რ ა ნ ო :

(იფეთქებს) თვით მამა ღმერთსაც არ აქვს უფლება, —

ჩემს დაწერილში შეცვალოს რამე.

რიშელიე კი კარდინალია

მხოლოდ!

დ ე გ ი შ ი :

ენდეთ მის გამოცდილებას!

თუ მოეწონა ნაწარმოები,

მან იცის უხვად დასაჩუქრება.

ს ი რ ა ნ ო :

იმაზე მეტი რა უნდა მომცეს,

რასაც მე ვხარჯავ?

დ ე გ ი შ ი :

მაინც?

ს ი რ ა ნ ო :

სიცოცხლის

ფასად მიჯდება ყოველი სიტყვა!

დ ე გ ი შ ი :

ოჰო! რამხელა წარმოდგენა გაქვთ

საკუთარ თავზე!

ს ი რ ა ნ ო :

(დამცინავად) კარგია, მიხვდით.

შემოდის გვარდიელი დაწით ხელში, რომელზედაც ნაირ-ნაირი  
ქულებია წამოცმული.

გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
(სირანოს) მიიღე შენი ნაალაფევი!  
ნელის ციხესთან გამოფენაა  
ქულების!

კ ა რ ბ ო ნ ი:  
ხა-ხა! ლაჩრების ხროვა!  
მაგათაც უნდა თქვან: „კაცნი ვართ და  
ქუდი გვხურავსო!“

გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი:  
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

კ უ ი ჟ ი:  
ნეტა, ვიცოდე, ვისმა ბრძანებამ  
გააფულისა ის მათხოვრები?

ლ ე - ბ რ ე:  
ო, იმ თავდასხმის მომწყობი ახლა  
აღბათ თმებს იგლეჯს სიმწარისაგან!  
(ღე გიშს)  
თქვენ ხომ არ იცით მისი სახელი?

ღ ე გ ი შ ი:  
ღე გიში.

ყ ვ ე ლ ა ნ ი:  
როგორ?

ღ ე გ ი შ ი:  
ღიახ, ეს მე ვარ. (ჩამოვარდება სიჩუმე)  
ერთი მასხარა გაკადნიერდა  
და შეურაცხველი ჩემი ღირსება.  
რა უნდა მექნა? მე თვითონ მასზე,  
ბუნებრივია, ვერ გავისვრიდი  
ხელს...

გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
(სირანოს) მეგობარო, რა ვუყოლ ამას?



ს ი რ ა ნ ო:

მომეცი. (დე გიშს) ვწუხვარ, ბატონო, მაგრამ  
თქვენ ხელის გასვრა მაინც მოგიწევთ...  
(ფერხთით დაუყრის ქუდებს)  
გთხოვთ დაუბრუნოთ თქვენს ამხანაგებს  
მათი ღირსების ეს უტყუარი  
საბუთი!.. ვფიქრობ, თქვენს გარდა ალბათ  
მათი გზა-კვალი და მისამართი  
აქ მყოფთა შორის არავინ იცის!

დ ე გ ი შ ი:

(გაცოფებულად) ეი, ვინა ხართ მანდ?! ტახტრევანი!

ხ მ ა:

(სცენის უკანიდან) გრაფის მზიდველებს უხმეთ!

დ ე გ ი შ ი:

(სირანოს) თქვენ ალბათ  
იცნობთ „დონ-კიხოტს“?

ს ი რ ა ნ ო:

ღიას.

დ ე გ ი შ ი:

და ალბათ  
მოგწონთ ამ წიგნის გმირი?

ს ი რ ა ნ ო:

ცხადია.

მასზე სპეტაკი და უანგარო  
ამქვეყნად კაცი არ შემხვედრია!

დ ე გ ი შ ი:

მაშ...

ხ მ ა

(სცენის უკან) ტახტრევანი მზად არის!

დ ე გ ი შ ი :

სახლში,

როდესაც მიხვალთ, გადაიკითხეთ  
ის თავი, სადაც რაინდი ქარის  
წისქვილებს ებრძვის.

ს ი რ ა ნ ო :

მეთე თავი?

დ ე გ ი შ ი :

ღიას. იმ თავში აღწერილია,  
რა დაემართა ლამანჩელ რაინდს,  
როცა წისქვილის ფრთებმა უეცრად  
იგი შეაგდო ზევით, ღრუბლების  
მიღმა. თუ გახსოვთ, (დამცინავად) იგი სხეულის  
რბილი ნაწილით დაასკდა მიწას!

ს ი რ ა ნ ო :

(გაცხარებით) სცდებით, ბატონო! გრძნეულ თითებით  
შეეხო მთვარეს და შთაგონებულ  
მზერით შორეულ ვარსკვლავებს მისწვდა!

დ ე გ ი შ ი სწრაფად გადის. მარკიზები მას მიჰყვებიან. არც ერთი  
მათგანი სირანოს არ ემშვიდობება, ყველა პირს არიდებს.

ს ი რ ა ნ ო :

(მარკიზებს დამცინავად)

ნახვამდის! კარგად მენახეთ! (ერთ-ერთ  
მარკიზს) ოჰო,

თქვენც მიბრძანდებით? იჩქარეთ, თორემ  
გრაფის ტახტრევანს ვერ დაეწევით!

ლ ე - ბ რ ე :

(გაოცებული), გაგიყდი! ბედი კარზე მოგადგა,  
შენ კი ხელსა ჰკრავ! ერთი მითხარი:  
რა ბუზანკალმა გიკბინა? რაზე



გადაიკიდე ის კაცი? გრაფი  
შეურაცხყოფას არ გაპატიებს!

ს ი რ ა ნ ო:  
ჯანდაბას!

ლ ე - ბ რ ე:  
შენი თავის მტერი ხარ!

ს ი რ ა ნ ო:  
აბა, რა მექნა? გულში ჩამეკრა  
ის არამზადა, ვინც არ დამინდო  
და გამიმეტა დასაღუბავად?!  
რას მირჩევ, ბარემ სთქვი ყველაფერი!  
ვიყო უენო და უწყინარი,  
ვისწავლო ხობვა, ქლესვა, ლაქუცი,  
ქუდის მოხდა და კუდის ქიციანი,  
ფეხქვეშ გავეგო იმას, ვინც ჩემზე  
მალლა დგას თავის თანამდებობით,  
ვისაც ხელმწიფე ან კარდინალი  
წყალობს. ო, არა! უმორჩილესად  
გმადლობთ!

ლ ე - ბ რ ე:  
სხვაგვარად ვერ ეღირსები  
ვერაფერს!

ს ი რ ა ნ ო:  
ვიცი!

ლ ე - ბ რ ე:  
ჩვენს წყვეულ დროში  
თუ კაცს მაგარი ზურგი არა აქვს...  
მოკლედ, შენც იცი, რაა საქირო,  
რომ მიაღწიო დასახულ მიზანს:  
ან უნდა გყავდეს წარჩინებული  
ნათესავები იქ, მალლა, ზევით,  
ან კარგა ბლომად ფულები გქონდეს!

ს ი რ ა ნ ო :

(ყვირის) მე კი არა მყავს ნათესავები!  
რა ვუყო ახლა?! ფულიც არა მაქვს!  
(ცოტა მშვიდდება) ამიტომ ვიცი, წინასწარ

ვიცი,

ვერ ველირსები სახელს და პატივს!  
რა მენადვლება, დე, იყოს ასე!  
თავს არ ვიწუხებ ყოფაქცევაზე  
ზედმეტი ზრუნვით: დიპლომატიით,  
სიფრთხილით, მოკლედ... (პაუზის შემდეგ)  
რა გინდა ჩემგან?

ვცხოვრობ, როგორც მსურს, და რასაც მინდა,  
იმას ვაკეთებ! სინდისზე ხელი  
არ შემიძლია ავიღო! თანაც  
რისთვის? იმისთვის, რომ ვინმემ ჩემზე,  
მას შემდეგ, როცა გარდავიცვლები,  
ბრძანოს: „სირანო დე ბერჟერაკი  
პოეტი იყო ეპოქალური!“  
ო, არა, ძმაო! უმორჩილესად  
გმადლობთ! რაცა მაქვს, იმას ვკვრადები!

ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა:

მე თვითონ ვიცი, ვინცა ვარ!

ლ ე - ბ რ ე :

მაინც?

ს ი რ ა ნ ო :

(უფრო ხმადაბლა) ვარსკვლავთმრიცხველი!

ჰო, ნუ იცინი!

ვარსკვლავთმრიცხველი გახლავარ, კაცი,  
რომელსაც უყვარს მიღწევდომელი,  
რომელიც სულით ამალღდა ისე,  
რომ ღრუბლის ბაღში მოსწყვიტა მთვარე!  
და მე, ასეთ კაცს, აბა დაფიქრდი,



რას მირჩევ: ვილაც მიწაზე მხოხავთ  
სამოთხის ხილით ჩაფუტკბარუნო  
მყრალი სიცრუის ნფრქვეველი პირი?!  
არა, გეთაყვა, უმორჩილესად  
გმადლობთ!

ლ ე - ბ რ ე:  
კი, მაგრამ...

ს ი რ ა ნ ო:

არ შემიძლია

დაკვეთით ფიქრი, ოცნება... კმარა!

ბაღლი არა ვარ, გადავაბიჯე  
ოცდაათს... სული თავისუფლებას  
ითხოვს, უგუნურ თავისუფლებას!  
ჩიტივით მინდა ლალად ვიფრინო  
და ვწერო, რაც კი მომესურვება,  
როგორც მინდა და რაზედაც მინდა!

გაიგე, ლე-ბრე... დედამიწაზე

სიახლეს მუდამ ვილაცა იწყებს.

ადამიანით იწყება დრო და

ენოქა! კაცი — აი მთავარი!

სუყველაფერში, ყველგან და მუდამ

ის უნდა იყო, რაც ხარ ნამდვილად;

არა ზოგადად ადამიანი,

არამედ შენი სახელი გერქვას:

ქრისტე, ესქილე, ლუკრეციუსი,

დემოსთენე თუ... დე ბერუერაკი!

გესმის, რას ვამბობ?

ლ ე - ბ რ ე:

მერე, ვინ გართმევს

ამის უფლებას? ა, მესმის! შენი

გაბოროტების მიზეზი სხვაა. (პაუზის შემდეგ)  
რა ჰქენი ბოლოს, შეხვდი როქსანას?

ს ი რ ა ნ ო:

(თვალებს დაუბრიალებს)

სუ! არ ახსენო მისი სახელი!

მათ უახლოვდებიან:

კარბონი, კრისტიანი, რაგნო, გვარდიელები.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

ეი, სირანო! მოჰყევი ახლა

რა იგაჟკაცე წუხელ?!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

ჰო, მიდი! (კრისტიანზე ანიშნებს)

პროვინციიდან ჩამოსულ კაცსაც

მოვასმენინოთ შენი ამბავი!

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

ამ ახალბედა, ცხვირმოუხოცავს.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

(მესამე გვარდიელს პირზე ხელს ააფარებს)

შენ ეი, ფრთხილად!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

რაშია საქმე?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

ზოგიერთ სიტყვას ჩვენში ხმამაღლა

არ წარმოთქვამენ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ვითომდა, რატომ?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

დაიმახსოვრეთ: დე ბერჟერაკის

თანდასწრებით ამ (ცხვირზე ანიშნებს)

ნაკვთის ხსენება

აკრძალული აქვს ყველას!



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
გეთაყვათ,  
რა შუაშია საწყალი...

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :  
(მკაცრად) მაგის  
სახელწოდება სჯობს სამუდამოდ  
გადაივიწყოთ!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :  
(კრისტიანს) გუშინ ქუჩაში  
ვიღაც თქვენსავით პროვინციელი  
ლაპარაკობდა სურდოზე! ამ დროს  
ჩვენმა სირანომ გამოიარა.  
მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ,  
ახლა ის კაცი ლაზარეთშია!

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :  
ერთმა კი, მახსოვს, დააცემინა.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :  
სუ, არ წამოგცდეს! (კრისტიანს) მოკლედ,  
იცოდე:

დე ბერყერაყთან როცა ხარ, ძმაო,  
გინდ ცხვირსახოცი ამოგიღია,  
გინდ საკუთარი თეთრი სუდარა!

ზურგს შეაქცევს კრისტიანს.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
(კარბონს) ჰეი, კაპიტანო!

კ ა რ ბ ო ნ ი :  
გისმენთ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
მასწავლეთ:  
როგორ მოგიქცე იმ შემთხვევაში,

როს გასკონელთა ტრაბახი საზღვარს  
გადასცილდება?



კ ა რ ბ ო ნ ი:

თქვენს დაშნას ჰკითხეთ.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

(სირანოს) ლომო! ველით შენს

თავგადასავალს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი:

ჰო, მიდი! მიდი!

ს ი რ ა ნ ო:

მაშ, ასე, ძმებო...

იმ ღამით მთვარე ვეებერთელა  
ბაჯაღლო ოქროს საათსა ჰგავდა.

მე მივდიოდი ნაცნობი ქუჩით.

ქალაქს ეძინა. სრულ სიჩუმეში

ჩემი ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ:

უცებ მთებიდან დაჰქროლა ქარმა,

იელვა, სადღაც გავარდა მეხი

და ღამემ, ფრთხილმა, ვით მესაათემ,

ღრუბლის ბამბებში შეფუთნა მთვარე —

ყვითლად მბზინავი... დაბნელდა ირგვლივ

ისე, რომ...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(ხმამაღლა, დაცინვით) ცხვირთან მიტანილ.

თითსაც:

ვერ გაარჩევდი!

ს ი რ ა ნ ო:

(კარგა ხნის შემდეგ) დასწყევლოს ღმერთმა!

კარბონ! ვინ არის ეს დამთხვეული?

კ ა რ ბ ო ნ ი:

დე ნევილეტი გახლავთ. ახლახან



ჩავრიცხეთ პოლკში.

ს ი რ ა ნ ო:

(ამოიოხრებს, თავისთვის) ისა ყოფილა...  
(თავს ძალას ატანს და განაგრძობს)  
ჰო, რას ვამბობდი? დაბნელდა-მეთქი...  
მე შეუპოვრად წინ მივიწევდი,  
თან მივაპობდი სიბნელეს...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
ცხვირით!

ს ი რ ა ნ ო:

(ხმას აუწევს) წინ მივიწევდი-მეთქი! ქალაქის  
გარეუბანში, ნელის ციხესთან,  
იქ, სად გალავნის მთავარი კოშკი  
ცად აზიდულა ვით გასკონური...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
ცხვირი!

ს ი რ ა ნ ო:

(მოთმინებიდან გამოსული ყვირის)  
ხმა! კრინტი! დასწყევლოს ღმერთმა!  
წადით ყველანი! დაგვტოვეთ მარტო!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
გაცოფდა ლომი!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
მაშ, რა ეგონა  
მაგ ღლაპს?!

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
საწყალი დე ნევილეტი!  
რა ბიჭი იყო!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
წავიდეთ, ძმებო,



ს ი რ ა ნ ო:

(კრისტინას) მოდი, ჩამიკარ გულში! მე მისი  
ნათესავი ვარ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ვისი?

ს ი რ ა ნ ო:

როქსანამ

გამიზიარა გულისნადები:

შენ მას მოსწონხარ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ო!

ს ი რ ა ნ ო:

სატრფიალო

წერილს მოელის შენგან... დაწერე,

გადავცემ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

გმადლობთ! გმადლობთ, სირანო!

ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდი

სიყვარულითა და სიმპატიით

ვარ განწყობილი თქვენდამი. გმადლობთ!

ამიერიდან ძმები ვართ! კარგი!

მომეცით ხელი!

ს ი რ ა ნ ო:

კი, მაგრამ... ცხვირი?

ცხვირს რაღა ვუყოთ?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

გულწრფელად ვნანობ,

რაც მოხდა!



ს ი რ ა ნ ო :

კმარა! მოვრჩეთ ამაზე,  
მე წერილს ველი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(შეწუხებული სახით) ახლავე... ღმერთო,  
რა მეშველება! ჩემო სირანო...  
წერა, საერთოდ, არ მესხერხება!  
ჩემი საქმეა ფარეკაობა,  
სროლა, ჯირითი, ცეცვა-სიმღერა.  
რაც შეეხება, წერილს... ორ სიტყვას  
თავს ვერ მოვუყრი!

ს ი რ ა ნ ო :

(ღამუცინავად) ასეა საქმე?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

გამოგიტყდები, როგორც მეგობარს:  
ბავშვობიდანვე მძულდა წიგნები.  
აბა, რა გითხრა: ჩემი ნაჯღაბნი  
რომ წაიკითხოს როქსანამ, გული  
შეულონდება! ჰო, ნუ იცინი!  
არც გარეგნობა მიშველის მაშინ,  
არც წარჩინება, არც ფული... ჰოდა,  
ეს ქალი ჩემკენ არ მოიხედავს  
არასდროს!

ს ი რ ა ნ ო :

ცუდად გქონია საქმე!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(შეწუხებული) მირჩიე რაზე!

ს ი რ ა ნ ო :

(დაფიქრების შემდეგ) მე დავწერ წერილს!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

შენ? ჩემ მაგივრად?

ს ი რ ა ნ ო :

ჰო, შენი ხელით

იმ წერილს დაწერს ჩემი გონება  
და ჩემი გული! მე მოგცემ სიტყვებს...

(თავისთვის)

შენგან კი... შენგან იმას ვისესხებ,  
რაც არ მაქვს: ლამაზ გარეგნობას და  
ახალგაზრდობას!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

რა განგიზრახავს?

ს ი რ ა ნ ო :

თავშესაქცევი ამბავი მინდა  
გავითამაშო: ჩემი სიტყვებით  
აგამეტყველო შენი ტუჩები!  
მიმიხვდი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(დაბნეულია) თითქმის. მაგრამ წერილი?  
წერილს რა ვუყოთ? ის ქალი იცდის!

ს ი რ ა ნ ო :

სწორედ მაგაზე მოგახსენებდი.

წერილი აქ მაქვს, აი, ინებე! (ჯიბიდან  
წერილს იღებს!)

პოეტს ჯიბეში რა გამოუღევეს  
სატრფიალო და გრძნეულ სტრიქონებს!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ახლა კი, ძმაო, მთლად დავიბენი!  
ეს ლექსი ალბათ სხვაზეა!

ს ი რ ა ნ ო :

სხვაზე?

დავუშვათ... თუმცა ისე დავწერე,  
სტრიქონის შეცვლა არ დაგჭირდება!



ყველაფერია შიგ: სიყვარული,  
ქება-დიდება, გუნდრუკის კმევა,  
მოკლედ, იმდენი ტკბილი სიტყვაა,  
რომ ყველა ქალი თუ იგი ოდნავ  
თავმოყვარეა, წამსვე იფიქრებს:  
„ჩემზე ყოფილა დაწერაღლიო!“

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ო, გმადლობთ, გმადლობთ, უერთგულესო  
მეგობართ შორის! (კოცნის სირანოს).

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

(თავს შემოყოფს კარში) ბიჭოს, ეს რაა?!

ამ მოღუღლუნე წყვილს დამიხედეთ!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

(პირველ გვარდიელს)

თუ ძმა ხარ, მგონი, თვალი მატყუებს,

ის, მარჯვნივ რომ დგას, მკვდარია, არა?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

პირველად ვხედავ ჩემს სიცოცხლეში,

მკვდარი კოცნიდეს ცოცხალს!

შემოდიან გვარდიელები, კარბონი, რაგნო, მუშკეტერი.

კ ა რ ბ ო ნ ი:

(სირანო ვაჰყავს განზე) სირანო!

რა მოგივიდა? ნუთუ, ამ დღაშმა...

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

ჩვენი სირანო წმინდანად იქცა:

მარჯვენა ყბაში გააწნეს სილა

და შეუშვირა მარცხენა ლოყა!

მ უ შ კ ე ტ ე რ ი:

ლოყა თუ ნესტო? შენ ეი, ლიზა! (შემოდის

ლიზა)

მიყურე ახლა, რა დღეს დავაყრი

მაგ შენს სირანოს. (ლარნაკიდან ყვავილს

ამორღებს და მიუახლოვდება სირანოს)  
ბატონო ჩემო!

შევხელა ცხვირის პატრონს უთუოდ  
კარგი ყნოსვა გაქვთ. გნებავთ ყვავილი?

ს ი რ ა ნ ო :

ერთ ყვავილს ახლავ გასუნთქებინებ!

მუშტს ცხვირში ატაკებს, მოაბრუნებს და წიხლის კვრით გააჯ-  
დებს. გვარდიელები ხარხარებენ.

ფ ა რ დ ა



## მესამე მოქმედება

შუაღღე. პარიზის ერთ-ერთი მყუდრო ქუჩა. როქსანას სახლი. სა-  
დარბაზო კარის ზემოთ აივანია და ფანჯარა. კართან მაღალი ხე-  
დგას, იქვეა მერხი. გალავნის იქით მოჩანს დაბურული ბაღი. როქ-  
სანა ფანჯარაში იხედება. შემოდის სირანო.

ს ი რ ა ნ ო:

როქსანა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ვწუხვარ, მაგრამ ამყამად  
თქვენთვის, ძვირფასო, არა მცალია:  
კრისტიანს ველი!

ს ი რ ა ნ ო:

კვლავინდებურად

გიყვართ?

რ ო ქ ს ა ნ ა:

საოცრად!

ს ი რ ა ნ ო:

გამაგებინეთ,

რით შეგაყვარათ თავი?

როქსანა:

თავისი

ლამაზი სულით. მისგან ყოველდღე  
წერილებს ვიღებ. რომ წაგაკითხათ,  
რას მწერს, ნამდვილად გაკვირდებოდით!

ამ წერილებში მე დავინახე

თანამედროვე იდეალური

ვაჟკაცის სახე! ვერ წარმოიდგენთ,

რა პოეტური სული ჰქონია!

რა ჰკვიანია! ღმერთო! პირდაპირ

გადასარევი ჰკუა აქვს!

სირანო:

(ირონიულად) ნუთუ?

მე კი მეგონა, მხოლოდ ტანი და

ფეხები ჰქონდა გადასარევი!

როქსანა:

(წყენით) ნუ იკბინებით! თქვენზე ათასჯერ  
გონიერია!

სირანო:

(თავისთვის, მწარედ) ასე გამოდის...

როქსანა:

რაო, რა ბრძანეთ?

სირანო:

ასეა-მეთქი.

რაკი თქვენ ამბობთ, ასე ყოფილა!

როქსანა:

რომ წაგაკითხათ მისი ლექსები,

დარწმუნდებოდით...

სირანო:

ჰმ, ლექსებსაც წერს?



როქსანა:

აბა, უსმინეთ: (გრძნობით კითხულობს)

...„სატროფო კი არა,

ბედისწერა ხარ ჩემი! სტროფებო,

დაუსრულებელ კოცნად იქეციო,

რომ მისა ბაგე შეეხოს ნაწერს.“

მოგწონთ?

სირანო:

მე ვფიქრობ, სისულელეა!

სად გაგონილა, სტროფები კოცნად

გადაიქცნენ?..

როქსანა:

ღმერთო! რა უხეში ხართ!

აბა, ამაზე რას იტყვით: „...როგორც

მიუწვდომელ და უხილავ ვარსკვლავს,

გონების თვალით გეაღერსები,

გნატრობ და ვუცდი გულისფანცქალით,

როდის მოაღწევს ჩემამდე შუქი

შენი სახისა!“

სირანო:

(ფიქრებიდან გამოერკვევა) კი, მაგრამ...

ნუთუ

ზეპირად გახსოვთ ყველა სტრიქონი?

როქსანა:

მახსოვს? ვამაყობ იმით, რომ ღირსი

გავხდი ასეთი სიყვარულისა!

თქვენ კი, ძვირფასო, როგორც გეტყობათ,

შურისგან სკდებით! ო, რა ხალხი ხართ

ეს პოეტები! ბარემ გამოტყდით,

რომ კრისტიანი თქვენზე უკეთ წერს!

სირანო:

(ირონიულად) რატომ, გეთაყვა! რაც წამიკითხეთ,

იმის მიხედვით ჩვენს შორის თითქოს  
მსგავსებაც არის.

როქსანა:

არავითარი!

ჩუ, ვილაც მოდის! კრისტიანია!

თუმცა არა... ღმერთო! გრაფი დე გიში!

წადით, სირანო, ან დაიძალეთ!

მან იცის, რომ თქვენ დე ნევილეტის

მეგობარი ხართ! ნუ ეჩვენებით!

(სირანო იძალება. შემოდის გრაფი).

როქსანა:

გრაფო!

დე გიში:

მოველ, რომ დაგემშვიდობოთ!

როქსანა:

(გახარებული) მიდიხართ სადმე?

დე გიში:

საუბედუროდ,

უნდა დაგტოვოთ, ჩემო ძვირფასო:

გვარდიელები მიმყავს არრასის

ციხე-სიმაგრის დასალაშქრავად.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიკვდება

გული! ვინ იცის, როდის შევხვდებით!

როქსანა:

(შემკრთალი) გვარდიელები?

დე გიში:

კი. თუმცა ჩემი

ამბავი სულ არ გაინტერესებთ,

მე მაინც გეტყვით: ამჟამად მათი

მეთაური ვარ!



როქსანა:

(ძალზე აღელვებულია) მაშ, ომში მიიყავით  
გვარდიელები?! (თავისთვის) ვაიმე, დედა!  
კრისტიან... ღმერთო!

დეგიში:

ხვალ ამ დროს უკვე  
ბრძოლა გვექნება... და პირველ რიგში,  
იმ თქვენ დიდცხვირა თაყვანისმცემლის.  
დე ბერყერაკის ჯავრს ამოვიყრი!

როქსანა:

(ცხვირსახოცს აიფარებს თვალებზე)  
უბედური ვარ, გრაფო, ნამდვილად:  
როგორც კი ვინმე მომეწონება,  
მაშინვე რაღაც უნდა გამოტყვერეს:  
ან მეთაურად ნიშნავენ იმ კაცს  
და ბრძოლის ველზე მიჰყავს ლაშქარი,  
ან კიდევ რაღაც უბედურება.

დეგიში:

(გაკვირვებული და დაბნეული) როქსანა, ნუთუ?

როქსანა:

მაშ, ესპანეთში  
გაუსწორდებით სირანოს?

დეგიში:

მივხვდი:  
მისი ამბავი გაწუხებთ!

როქსანა:

(ირონიულად) სწორედ!

დეგიში:

გიყვართ?

როქსანა:  
დამცინით?

დეგიზი:  
აბა, სულ ერთად  
რომ ხართ?

როქსანა:  
გეშლებათ, გრაფო, იმ აშარს  
ქალები სულაც არ აინტერესებს,  
მამაკაცებში ტრიალებს მუდამ.  
ბოლო ხანს მაინც... ერთ გვარდიელთან  
მეგობრობს...

დეგიზი:  
მისი სახელი, მგონი,  
ნევილეტია! ო, ის ლამაზი  
ახალგაზრდაა, მაგრამ, ამბობენ,  
მასზე სულელი კაცი არ დადის  
მთელ პარიზშიო...

როქსანა:  
(გულმოსული, თავს იკავებს) ვინც მაგას ამბობს...  
(დუმილის შემდეგ)

თუ მართლა გინდათ შური იძიოთ  
დე ბერჟერაკზე, მე თქვენ გასწავლით  
საშუალებას: არამც და არამც  
არ წაიყვანოთ ის კაცი ომში!  
არც ის, არც მისი უახლოესი  
ამხანაგები! გესმით? სირანოს  
გული მიუწევს ბრძოლის ველისკენ,  
მას უნდა თავი გამოიჩინოს  
ესპანელებთან შეტაკებაში.  
თქვენ კი დასაჯეთ, დატოვეთ სახლში,  
არ მოაცილოთ პარიზის ქუჩებს!  
გვარდიელისთვის, თან თავმოყვარე



გასკონელითვის, ამაზე უფრო  
დაუნდობელი, მკაცრი სასჯელი  
ალარ არსებობს!

დე გიში:

(ღიმილით) რა ხართ ქალები!  
გამაგებინეთ ბოლოს და ბოლოს,  
ვინ გიყვართ?

როქსანა:

(მრავალმნიშვნელოვნად)  
გრაფო! ნუთუ ჩემს გრძობას  
სჭირდება კიდევ დადასტურება?!

დე გიში:

(აღტაცებული) ძლივს არ ვეღირსე! როქსანა!  
ნუთუ?!

რას ვიფიქრებდი?! მაშ ასე, ჩემო,  
გადაწყდა: მე იმ ლამანჩელ რაინდს,  
თავის განუყრელ სანჩოსთან ერთად,  
ვტოვებ პარიზში! რამდენიც უნდა,  
ჯღაბნოს ლექსები და ეჭიდაოს  
ქარის წისქვილებს! თქვენ კი, ძვირფასო,  
მეტად საშიში ქალი ყოფილხართ!

როქსანა:

ეჰ, რას არ იზამს ქალი, როდესაც  
თავდავიწყებით უყვარს...

დე გიში:

(თავისთვის) ღმერთმანი,  
მთლად დამაბნია ამ ქალიშვილმა!  
რა ვქნა? წავიდე? ვით შევაქციო  
ზურგი საკუთარ ბედნიერებას? (როქსანას)  
ვრჩები, როქსანა! აქ, შორიახლო,  
კაპუცინების მონასტერია...

ბერები უარს ჩვენ არ გვეტყვიან  
მასპინძლობაზე, — რაც უნდა იყოს,  
მე კარდინალის ნათესავი ვარ!  
წავიდეთ, ღამე იქ გავათიოთ!  
ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად  
ვხვდებით ერთმანეთს?! ომში წასვლის წინ  
მსურს თქვენთან ყოფნით ვიჯერო გული!  
(ცდილობს მოეხვიოს ქალს).

როქსანა:

(შეაჩერებს) გონს მოდით! ომი? არრასის  
ციხე?

ვინ გაუძღვება ჯარს ესპანეთში?  
გრაფო, მერწმუნეთ ამჟამად თქვენი  
ადგილი მხოლოდ ბრძოლის ველზეა!  
წადით, დალამქრეთ ესპანელები  
და ღამიბრუნდით გამარჯვებული!

დე გიში:

თქვენ დაგიბრუნდეთ?

როქსანა:

თუნდაც უფრო  
ძვირფას, სასურველ ადამიანად!

დე გიში:

მივდივარ. ო, რა ქალი ყოფილხართ! (მიდის)  
წერილს ელოდეთ ჩემგან!

როქსანა:

(თავისთვის) სირანო!

უნდა შემინდო დანაშაული,  
ცუდად მოვიქეცე, მაგრამ ეს ცოდვა  
შენს წინაშე რომ არ ჩამედინა,  
ომი კრისტიანს დამამოკრებდა!

იგივე დეკორაცია. საღამო ხანია. ბნელა. როქსანას სახლს უახლოვ-  
დებიან სირანო და კრისტიანი.



ს ი რ ა ნ ო :

მაშ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ:  
შენ აქ დადგები... მიესალმები...  
მერე კი ეტყვი იმ სიტყვებს, გახსოვს,  
რასაც გუშინდელ წერილში სწერდი?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

აღარ მჭირდება ჭკუის სწავლება!

ს ი რ ა ნ ო :

გაგიჟდი?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

კაცო, ბოლოს და ბოლოს,  
რაცა ვარ, ალბათ სწორედ ასეთი  
მოვწონვარ იმ ქალს! რაში მჭირდება  
შენი კარნახი?

ს ი რ ა ნ ო :

ინანებ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ვნახოთ!

რა გახდა მართლა შენი ლექსები?!  
ხომ არ გგონია, ცარიელ სიტყვას  
შეეძლოს რამე? შენ ნახავ ახლა:  
მოვა თუ არა როქსანა, სულაც  
არაფერს ვეტყვი, პირდაპირ მივალ  
და შიგ ტუჩებში ვაკოცებ...  
(შენიშნავს როქსანას).

მოდის!

ვაიმე რა ვქნა?! დარჩი, სირანო!

ს ი რ ა ნ ო :

შენ, მგონი, კოცნას აპირებ! მიდი!  
მაგ საქმეს ერთი კაციც ეყოფა!  
სირანო იმალება. გამოდის როქსანა.

როქსანა:

ადრე მოსულხართ, როგორც ჭეშმარიტ  
შეყვარებულთა წესია. აბა,  
რას მეტყვით? გისმენთ.

კრისტინა:

მე თქვენ მიყვარხართ!

როქსანა:

ჰმ, უცნაური დასაწყისია, —  
პირდაპირი და ერთობ მარტივი!  
აჰ, მესმის, მივხვდი, რაშია საქმე:  
თქვენ ალბათ განზრახ უბრალოდ იწყებთ,  
რომ მოახდინოთ შემდეგ ეფექტი  
მოულოდნელი შედარებით ან  
ეთილხმოვანი სიტყვის თამაშით!  
განაგრძეთ!

კრისტინა:

მე თქვენ... ისე მიყვარხართ...

როქსანა:

როგორ?

კრისტინა:

ძალიან! მე... (ენა ებმის).

როქსანა:

სულ ეგ არი?

კრისტინა:

მინდა გაკოცოთ! (გაიწევს ქალისაკენ).

როქსანა:

მომშორდით!

კრისტინა:

როგორ?! (თავისთვის)

რა უნდა ამ ქალს? (როქსანას) მე თქვენ....



(ხმა ჩაუწყდება).

როქსანა:

პოეტო!

ნუთუ სათქმელი გამოგელიათ?!

აბა, დამშვიდდით და თქვენთვის ჩვეულ

მჭევრმეტყველებით მითხარით: ჩემში

რა უფრო მოგწონთ?

კრისტიანი:

ბროლის კისერი!

როქსანა:

(სინანულით) უფრო ჭკვიანი მეგონეთ. მერე?

კრისტიანი:

და ეგ უუუუნა თვალები!

როქსანა:

კმარა!

გრცხვენოდეთ: ასეთ გაცვეთილ სიტყვებს,

თვით ახლანდელი მოწონებული

პოეტებიც კი არ კადრულობენ!

მითხარით რამე ამადლებული,

ჰაეროვანი და ზეციური.

კრისტიანი:

(წამოიყვირებს) მთვარე!

როქსანა:

ახალი...

კრისტიანი:

ახალი მთვარე!

როქსანა:

(სასოწარკვეთით) კრისტიან!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
რა ვქნა, ისე ვარ ლამის  
ჰკუა დაგვარგო სიყვარულისგან!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
მე როგორც ვატყობ, დასაკარგავი  
აღარაფერი დაგრჩათ! მშვიდობით! (წასვლას  
აპირებს).

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
მოიცათ ერთ წუთს! გამაგებინეთ,  
რა საჭიროა ლაყბობა?! განა  
ის არ აჯობებს, მერხზე ჩამოვსხდეთ  
და ერთმანეთის აღერსით დავტკბეთ?!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
(სინანულით) რამ გამოგცვალათ ასე,  
ყმაწვილო?!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(გაცხარებით) შენი ტუჩების კოცნის  
სურვილმა!  
მოდი აქ! მოდი! (ისევ გაიწევს მისკენ).

რ ო ქ ს ა ნ ა:  
არ მომეკაროთ!  
ო, რა სასტიკად მოვტყუედი თქვენში!  
ბრიყვი ყოფილხართ! (გამოაჯავრებს)  
„მოდი აქ! მოდი!“

როქსანა წევარდება სახლში. შემოდის სირანო.

ს ი რ ა ნ ო:  
რა მოხდა?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(გაცოფებული) ვფიცავ, მოვკლავ ვიღაცას!

ს ი რ ა ნ ო:  
რა მოგივიდა?



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
მასწავლე ჩქარა,  
რა ვუთხრა იმ ქალს, თორემ ჩიტივით  
გამიფრინდება!

ს ი რ ა ნ ო :  
მაშასადამე,  
ისევ მე უნდა გასესხო სული?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
სული კი არა, სალაპარაკო  
თემა მომეცი! ამალღებული,  
ჰაეროვანი და ზეციერი!  
ახალი თანაც. მოკლედ, ის შენი  
მამიდაშვილი თუ ბიძაშვილი  
ლექსების გიჟე ყოფილა! აბა,  
რას ვიფიქრებდი!

ს ი რ ა ნ ო :  
სად არის ახლა?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
სახლში შებრძანდა! ლაპარაკიც კი  
არ იკადრა და...

ს ი რ ა ნ ო :  
ჰო, კარგი... ჩუმად! (ფიქრის შემდეგ)  
შენ აქ დადექი, აივნის ჩრდილში.  
სხვა გზა არ არის, უნდა განვაგრძოთ  
დამალობანას თამაში. როცა  
გეტყვი, დაიწყებ... ნუ გეშინია,  
მე გოკარნახებ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :  
ვიღაცა მოდის!  
გამოჩნდებიან პაეები საკრავებით ხელში.

პირველი პაუზი:

(სირანოს მოწიწებით) ღამე მშვიდობის,  
ჩემო ბატონო!

მეორე პაუზი:

(ამხანაგს ჩურჩულვით) ეს ის ცნობილი  
ბერძენურაკია!

სირანო:

(პაუზებს) ეი, ბიჭებო! ერთი პატარა  
სათხოვარი მაქვს!

პაუზები:

(ერთხმად) ბრძანეთ, ბატონო!

სირანო:

აქ ახლომახლო ჩასაფრდით და თუ  
ვინმე გამოჩნდა, მანიშნეთ უმალ.  
ქალი თუ იქნა, სამხიარულო  
რამ დაუკარით, ხოლო თუ კაცმა  
გამოიარა — სამგლოვიარო...

პაუზები მიდიან. სირანო კენჭს ესვრის ფანჯარას, როქსანა გამოი-  
ხედავს.

კრისტიანო:

მე ვარ, როქსანა!

როქსანა:

თქვენა ბრძანდებით?  
რაზე დაბრუნდით? დაგრჩათ აქ რამე?

კრისტიანო:

აი, მოვედი რომ...

როქსანა:

თუ ღმერთი გწამთ,  
გაჩუმდით, სიტყვა არ გამაგონოთ!  
თქვენებრ უხეში, უზრდელი კაცი  
ჯერ არასოდეს არ შემხვედრია!



ს ი რ ა ნ ო:

(უკარნახებს კრისტიანს) უნდა გამოგოთ და  
მაპატიოთ:

ადამიანი მუნჯდება ზოგჯერ  
შიშისგან! (კრისტიანი იმეორებს ამ  
სიტყვებს).

რ ო ქ ს ა ნ ა:

ნუთუ? რამ შეგაშინათ?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(სირანო კარნახობს)

როცა პირველად პირისპირ შეგხვდით,  
ასე მეგონა, უძირო ზღვაში  
შევცურე. ირგვლივ გაათრებული  
ტალღები ყეფდნენ...

რ ო ქ ს ა ნ ა:

როგორც ირკვევა,  
ცურვა სრულებით არა გცოდნიათ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(ისევ სირანო კარნახობს!)

ზღვის სილამაზემ შემიტყუა და  
გამათამამა! (ჩუმად სირანოს)  
ნუ ჩქარობ, ნელა!  
ვერ ვასწრებ!

რ ო ქ ს ა ნ ა:

რატომ დაგებათ ენა?

ს ი რ ა ნ ო:

(კრისტიანს) გაიწი! (დაიკავებს მის ადგილს  
და განაგრძობს)

ჰოდა, იმას ვამბობდი,  
ზღვის სილამაზემ მომხიბლა-მეთქი,  
შემიტყუა და, ბოლოს, კინაღამ  
დამლუპა კიდევ!

როქსანა:

იცით, თქვენ თითქოს

ღმა შეგეცვალათ, ბუნდოვნად ისმის  
სიტყვები...

სირანო:

ლამე ბნელია, სიტყვა

გზას გაჭირვებით მოიკვლევს თქვენკენ...

გარდა ამისა, მაღლა ხართ, ბგერას  
უჭირს აღმართში ასვლა!

როქსანა:

ამ წუთში

ჩამოვალ ქვევით!

სირანო:

(შეშინებული) არ გინდათ... ასე

სჯობია!

როქსანა:

მაშინ მერხზე შედექით!

სირანო:

ო, არა!

როქსანა:

რატომ?

სირანო:

თავისებური

სილამაზეა: უყვარდე ვინმეს

და უხილავი დარჩე ბოლომდე.

როქსანა:

(განცვიფრებული) კრისტიან, ვერ გცნობთ!  
ნუთუ ეს თქვენ ხართ?

სირანო:

მე თვითონ ვერ ვცნობ საკუთარს თავს და



აღარა მყოფნის სიტყვები! ადრე  
ვტყუოდი თურმე, როდესაც გწერდით  
წერილებს... ახლა თვალნათლივ ვხედავ  
სასწაულს — თქვენი სახის მშვენიერებას  
და მეჩვენება წარმოუდგენელ  
სიცრუედ ჩემი ყოველი სიტყვა  
ქაღალდზე კალმით გამოყვანილი!

როქსანა:

ო, რა ლამაზად ამბობთ!

სირანო:

როქსანა,

მე ისევ შიში მალაპარაკებს!

მან დამამუნჯა და ისევ მანვე

ამიღვა ენა! თქვენ რომ იცოდეთ,

როგორ მაშინებს ამქვეყნად ვინმეს

სამასხარაო გავხდე!

როქსანა:

(შეშფოთებული) გეთაყვა,

რა გჭირთ ასეთი?

სირანო:

სიყვარული და...

თქვენს რისხვას ვუფრობი!

როქსანა:

ჰი, მაგრამ შემწედ

გონება ხომ გყავთ?

სირანო:

რაა გონება?

რა შეუძლია მას? არაფერი!

თამაში მხოლოდ, მსახიობობა

და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც

ადამიანის გრძნობები სდუმან!

როქსანა:

ნუ იტყვით, რატომ... გონება მაინც...

სირანო:

(შეაწყვეტინებს) სწორედ რომ „მაინც“...  
„მაინც“, არც მეტი

და არც ნაკლები! მე მიხარია,  
რომ პოეზიის ესოდენ დიდი  
დამფასებელი, თქვენ გრძნობით ცხოვრობთ!  
როქსანა! სიტყვა—უძვირფასესი,  
განძია სულის... ალერსიანი  
სიტყვა ორმაგად კარგია, მაგრამ...  
მერწმუნეთ: ყველა სიტყვას ამქვეყნად  
თვითონ ალერსი სჯობია! დიახ,  
როცა კაცს უყვარს, მაშინ გონება  
მხოლოდღა ნიღბად თუ გამოდგება  
ჭეშმარიტ გრძნობის დასაფარავად!  
მე მსურს მოვიძრო ნიღაბი! მინდა  
ხმამაღლა გითხრათ: „მიყვარხარ!“

როქსანა:

(მისუსტებული ხმით) როგორ?

სირანო:

როგორ მიყვარხართ? ო, ამას, ჩემო,  
ვერ გეტყვით, რადგან ვერ შეუარაცხვყოფ  
სიყვარულს ჩემსას ვერც რამე ფიქრით,  
ვერც შედარებით... როგორ მიყვარხართ?  
მე თვით არ ვიცი, ეს სიყვარული  
რას შევადარო! არის კი ღირსი  
რაიმე მასთან შედარებისა?

როქსანა:

ო, ღმერთო ჩემო! თითქოს მუსიკა  
მესმის!  
განაგრძეთ, კრისტიან! მაშ, თქვენ...



ს ი რ ა ნ ო :

როგორ მიყვარხართ? მე მახსოვს ყველა  
წვრილმანი თქვენი ცხოვრების. თორმეტ  
მაისს თქვენ გეცვათ ცისფერი კაბა...

ოცდაორ მაისს თეთრი გემოსათ...

ოცდაშვიდში კი ავდარი იყო,  
რუხი ლაბადა გეხურათ მხრებზე,  
თმა გქონდათ შუბლზე ჩამოვარცხნილი  
და ხელთ გეჭირათ პატარა წიგნი —  
მწვანეყდიანი... მე ახლაც მესმის  
კისკისი თქვენი იმ ბაღში, სადაც  
ჯერ კიდევ ბავშვი, ყვავილებს კრეფდით!

მე ყველაფერი მახსოვს, როქსანა!  
თქვენი ცხოვრების ყოველი წამი,  
წუთი, საათი თუ დღე—უკლებლივ  
აღბეჭდილია ჩემში... როქსანა,

ვინ იცის, იქნებ თვით სიყვარული  
ნხოლოდ ხსოვნაა, სხვა არაფერი?!

როგორ მიყვარხართ? ჩემთვის ეს ღამე,  
პარიზი, მთვარე და ვარსკვლავები,  
მთელი სამყარო არის მარტოდენ

დეკორაცია სპექტაკლის, სადაც  
მოქმედებს ერთი მთავარი გმირი,  
რომლის სახელი არის — „როქსანა!“

როგორ მიყვარხართ? თქვენი გულისთვის  
მზადა ვარ დავთმო რაც მაქვს, ყოველი,  
ოღონდ თქვენ იყოთ გაღიმებული

და ბედნიერი!.. როგორ მიყვარხართ?  
მიყვარხართ ისე, რომ მინდა თქვენთვის  
დავიწვა ცეცხლში და გაგინათოთ

გზა, ჩემო კარგო, დასაბამიდან  
დასასრულამდე!.. მაგრამ ამ სიტყვებს  
განა აქვს აზრი? ასეთ წუთებში

ყოველი სიტყვა, თუნდაც ჩურჩულით

თქმული, ან მხოლოდ გაფიქრებული,  
ხელის შეხებას უდრის!.. როქსანა,  
შე ვგრძნობ, როგორ თრთის თქვენი სხეული,  
რომლის გარშემო ღამის პეპლებად  
დაფარფატებენ ჩემი სიტყვები...  
მიტხარით რამე...

როქსანა:

სასწაულია!

რა მომდის, ვტირი, მუხლთ მეკვეთება  
ამ ჯადოსნური ხმის მოსმენაზე!..  
მიყვარხარ!

სირანო:

ნუთუ?

როქსანა:

ჰო, მთელი გულით,  
გატაცებით და თავდავიწყებით!  
მიბრძანე, რაც გსურს!

კრისტიანო:

(სირანოს განზე ეწევა, როქსანას) კოცნა!

სირანო:

(ჩურჩულთ კრისტიანს) მოიცა...  
ჩქარობ, ყმაწვილო!

კრისტიანო:

(როქსანას) გაკოცებ ერთხელ...  
(სირანოს ჩურჩულთ)  
არ შემიშალო ხელი! ეს ქალი  
ისეა შენი ტკბილი სიტყვებით  
გაბრუებული... გაიწი იქით!



როქსანა:

(შემკრთალი ხმით) მაშ, ჩემგან კოცნას,  
მოითხოვ?

სირანო:

არა... ო, მამატიეთ... (ხელსა ჰკრავს კრისტიანს)  
წამომცდა უცებ... თქვენი ხმის სითბომ  
გამათამამა და ანგარიში  
ვერ გავუწიე სიტყვებს... როქსანა...

როქსანა:

(თანაგრძნობით) მე მესმის შენი გულის  
წადილი...

სირანო:

თუ უარს მეტყვით...

როქსანა:

(სინანულით) უკან დაიხევ?

სირანო:

საკუთარ თავსაც აღარ გავუმხელ  
კაღნიერ სურვილს!

კრისტიანი:

(სირანოს აღშფოთებული ჩურჩულით)  
რატომ, სირანო?

გამიშვი, ერთხელ ვაკოცებ!

სირანო:

(კრისტიანს) ჩუმად!  
ხმა ჩაიწყვიტე!

როქსანა:

რადაცას ამბობ?

სირანო:

ჩემს თავს ვუთხარი: „ჩუმად, კრისტიან!“

დამშვიდდი-მეთქი! საიდუმლოთა  
გამხელის უამი ჯერ არ დამდგარა!“

ისმის მუსიკის ხმა, გაურკვეველია მოტივი —  
სევდიანიცაა, მხიარულიც.

აქეთ მოდიან. ჩემი სათქმელი  
შაინც ვერა ვთქვი...

როქსანა ოთახში შედის და ფანჯარას ხურავს.

ოჰო, ეს რაა?

თან მხიარული, თან სევდიანი  
მოტივი? ნეტა, ვინ მობრძანდება?

როგორ გავიგო: ქალი თუ კაცი?

ჰმ... საშუალო სქესისა ვინმე  
იქნება — ბერი ან მოლოზანი!

შემოდის მოხუცი კაპუცინი ფარნით ხელში.

კ ა პ უ ც ი ნ ი:

მადლენ რობენის სახლს ვეძებ...

ს ი რ ა ნ ო:

ყოვლად

უსარგებლო და ფუჭი საქმისთვის

მოგიკიდიათ ხელი, მამაო!

აქ არვინ ცხოვრობს მაგისმაგვარი!

კ ა პ უ ც ი ნ ი

საით წავიდე, შვილო?

ს ი რ ა ნ ო:

ხელმარჯვნივ!

მერე—პირდაპირ! მერე—კვლავ მარჯვნივ,

მერე კი—უკან, ზუსტად იმავე

მიმართულებით!

კ ა პ უ ც ი ნ ი:

ვიშველა ღმერთმა! (მიდის).



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(აღშფოთებული) გამაგებინე, რატომ არ

გინდა,

ვაკოცო იმ ქალს?

ს ი რ ა ნ ო:

მე ხომ გითხარი:

ადრეა-მეთქი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

რას ამბობ, რასა?!

კოცნა არასდროს არ არის ადრე!

ამგვარ საქმეში თუ ცოტა მაინც

დაიგვიანე, მორჩა! არც ერთი

ქალიშვილი არ გაგიჩერდება!

შენ რა? არ გესმის... მასხარად მიგდებ...

ან იქნებ ქალთან ჯერ არ გქონია

ურთიერთობა?

რ ო ქ ს ა ნ ა:

(აივანზე გამოჩნდება) ჩვენ ვსაუბრობდით...

ს ი რ ა ნ ო:

კოცნის შესახებ...

რ ო ქ ს ა ნ ა:

შევწყვიტოთ! კმარა!

უგუნებოდ ვარ, თავბრუ მესხმის და

ფეხზე ძლივს ვდგავარ!

ს ი რ ა ნ ო:

არა, როქსანა!

ვერსად წაუხვალთ ჩემს კოცნას!

რ ო ქ ს ა ნ ა:

კმარა,

გაჩუმდით!

ს ი რ ა ნ ო:

გახსოვთ... ეს საუბარი  
თამაშსა ჰგავდა თავიდან... მაშინ  
თქვენ იცინოდით... მერე მე უცებ  
გადაგიშალეთ გული... ამ გულში  
თქვენ დაინახეთ იმხელა გრძნობა,  
ზღვასავით მრუმე და ბობოქარი,  
რომ უღარდელი ღიმილი უმაღ  
კრემლმა შესცვალა! ნება მომეცით,  
კოცნით შეგიშროთ თვალებზე კრემლი!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ნუ მტანჯავ...

ს ი რ ა ნ ო:

ვიცი, თქვენ გაკრთობთ სიტყვა  
„კოცნა“... მერწმუნეთ, იგი მარტოდენ  
საიდუმლოა, რომელსაც ბაგე  
მეორე ბაგეს შეხებით ამცნობს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

(ღუმლის შემდეგ) მაშ, თუ ასეა... კრისტიანს  
მამცნეთ

ეს საიდუმლო...

ს ი რ ა ნ ო:

(კრისტიანს) აძვერი ზევით!  
გზა გახსნილია!

რ ო ქ ს ა ნ ა:

(გონიხდილივით იმეორებს)... „საიდუმლოა,  
რომელსაც ბაგე მეორე ბაგეს  
შეხებით ამცნობს...“

ს ი რ ა ნ ო:

(კრისტიანს) მოდი, რას უცდი?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი: დასწყევლოს ღმერთმა!  
სულ არ მინდოდა



მე მისი კოცნა!

ს ი რ ა ნ ო:

რაო?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

როქსანა

უბიწოდ მიყვარს! იცოდე, იგი  
პატიოსანი ქალიშვილია,  
მე იგი ცოლად უნდა ვითხოვო!  
ხომ არ გგონია...

ს ი რ ა ნ ო:

ნუ ალოდინებ!

რ ო ქ ს ა ნ ა:

კრისტიან, გიცდი...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(ადის აივანზე) აქ ვარ, როქსანა...

რ ო ქ ს ა ნ ა:

(ჩურჩულებს) ჩემო სიცოცხლე,  
მოდდი აქ, მოდი...

ს ი რ ა ნ ო:

(მარტო, თავისთვის) რა სიბნელეა...

ვარსკვლავნი ცაზე

ოდნავ ბეუტავენ... მათ მიმქრალ შუქზე

როქსანა ახლა ვერაფერს ხედავს...

და კოცნის... კოცნის თავდავიწყებით

სანატრელ ბაგეს... ო, იგი ვერც კი

ხვდება, რომ ამ დროს სხვა კაცის მიერ

წარმოთქმულ სიტყვებს ეამბორება!

ისევ მოისმის მუსიკის ხმა.

ისევ ის ბერი! თარსია ვილაც...

რას დაეთრევა? (ასძახებს აივანზე მყოფთ)

ეი!

როქსანა:  
(გადმოიხედავს) ვინ არის?

სირანო:  
მე ვარ, როქსანა, დე ბერუერაკი!

როქსანა:  
როგორ ბრძანდებით?

სირანო:  
„რა მიჭირს“ რომ ვთქვა  
მეთათხედოც კი არ იქნება,  
სინამდვილეში რაც არის, იმის!...  
კრისტიანს ვეძებ.

კრისტიანი:  
(გადმოეყუდება მოაჯირს) შენ ხარ, სირანო?  
საიდან გაჩნდი?!

სირანო:  
ჰმ... მომენატრე...  
დიდი ხანია არ მინახიხარ!

კრისტიანი:  
მარტო ხარ?

სირანო:  
არა. თან მახლავს მეტად  
პატივსაცემი პირობა...

კრისტიანი:  
ვინ არის?

სირანო:  
კაპუცინია.

როქსანა:  
რა უნდა, ნეტა? (კრისტიანს)  
ჩავიღეთ ქვევით (ორივენი შედიან ოთახში).



კ ა პ უ ც ი ნ ი:  
(სირანოს) ჩემო ბატონო,  
მთელი უბანი შემოვიარე,  
როგორც მასწავლეთ, სწორედ იმ გზით და  
მიმართულებით... ვისაც კი ვკითხე,  
ყველამ ასე თქვა: მადლენ რობენი  
აქეთ ცხოვრობსო, აი, ამ სახლში!

ს ი რ ა ნ ო:  
რობენი? აკი როლენს ეძებდით?

კ ა პ უ ც ი ნ ი:  
არა, ბატონო! მადლენ დე რობენს!

ს ი რ ა ნ ო:  
აუჰ! ბოდიში, სასტიკად შევცდი!  
მადლენ რობენი აქ ცხოვრობს... აგერ  
ისიც!  
როქსანა გამოდის სახლიდან, მას მოჰყვება კრისტიანი.

რ ო ქ ს ა ნ ა:  
რა გნებავთ, მამაო?

კ ა პ უ ც ი ნ ი:  
შვილო,  
ჩვენმა ბატონმა და მწყალობელმა,  
კაცმა, რომელიც ცნობილი არის  
თავის სიკეთით, პატიოსნებით,  
წარჩინებით და გვარიშვილობით,  
თქვენთან წერილი გამომატანა!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
მისი სახელი?

ს ი რ ა ნ ო:  
დე გიში ალბათ!

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(აღშფოთებული) როგორ გაბედა!

როქსანა:

(კრისტიანს) მშვიდად, ძვირფასო!

(კითხულობს წერილს)

„როქსანა! ვიდრე სალაშქროდ გავალთ,

გემუდარებით: მომეცით ნება,

წასვლის წინ კიდევ ერთხელ გიხილოთ:

ხომ შეიძლება, ბრძოლაში მომკლან?

თუ ასე მოხდა, სიკვდილმისჯილის

თხოვნად ჩასთვალეთ ჩემი სურვილი

უკანასკნელად თქვენი ნახვისა.

მსურს დაგიკოცნოთ თვალები, მინდა

წელზე მოგხვიოთ“... (კითხვას შესწყვეტს)

მაინც რა უნდა

იმ კაცს, არ მესმის!

ს ი რ ა ნ ო:

(დაცინვით) ერთობ ძნელია

მაგის მიხვედრა!

როქსანა:

(განაგრძობს კითხვას)... „პასუხს, ძვირფასო,

აღარ დავუცდი! წერილის კითხვა

არც კი გექნებათ დამთავრებული,

რომ უმალ თქვენთან გამოვცხადდები!“

(კაპუცინს)

მამაო, იცით, აქ რა წერია?

კ ა პ უ ც ი ნ ი:

არ ვიცი, შვილო!

როქსანა:

მაშ, მომისმინეთ:

„მადლენ დე რობენს საკუთარ ხელში...

ვალდებული ვარ შეგატყობინოთ,

რომ კარდინალი, ჩვენი მოძღვარი,



რომლის ზრუნვა და დიდი ამაგი  
არც ერთ ჩვენთაგანს არ მოჰკლებია,  
დაბეჯითებით ითხოვს ამჟამად  
თქვენს, ქალიშვილო, დაქორწინებას!  
სასიძო უკვე შერჩეულია  
თვით კარდინალის მიერ. ეს გახლავთ  
ბარონ კრისტიან დე ნევილეტი,  
შესანიშნავი ყმაწვილი კაცი,  
რომელიც ერთი საათის უკან  
გამოვაგზავნე თქვენთან... ამ ბარათს  
მე შეეგნებულად კაპუცინს ვატან;  
არაფრის ახსნა მას არ სჭირდება,  
დე-რიშელიეს ნება-სურვილი  
სუყველასათვის არის კანონი  
და რომ საქმე არ გაჭიანურდეს,  
მღვდელი ჩემს მიერ გამოგზავნილი,  
დღესვე ჯვარს დაგწერთ თქვენსავე სახლში!  
პატივისცემით, დე გიში“... (დაჭმუჭნის  
წერილს)

ღმერთო!  
რა დავაშავე ისეთი?! რატომ  
მაიძულეებენ გავთხოვდე?! (ტირის).

კაპუცინი:  
შვილო!  
გულს ნუ გაიტეხ... დამშვიდდი! (სირანოს)  
საქმრო

თქვენა ბრძანდებით?

სირანო:  
(კრისტიანზე აჩვენებს) ეგ არის...

კაპუცინი:  
(ეჭვით ათვალეირებს კრისტიანს) როგორ?  
ნუთუ ამ ყმაწვილს იწუნებს ვინმე?

როქსანა:

(უმალვე შეწყვეტს ტირილს. კაპუცინს)  
აქ კიდევ რაღაც მინაწერია... (კითხულობს)  
...„წერილის მომტანს, მოხუც კაპუცინს,  
საეკლესიო ხარჯებისათვის  
გთხოვთ, უწყალობოთ ას ოცი ოქრო“..

კაპუცინი:

დაემორჩილე განგებას, შვილო...  
რას იზამ, ბედი ყოფილა შენი!

როქსანა:

უბედური ვარ... (ამოთხვრით) სხვა გზა არ  
არის!

(ჩურჩულით სირანოს)

აქ დარჩით... გრაფი საცაა მოვა;  
კართან დადექით და შენობაში  
არ შემოუშვათ, სანამ ჯვრისწერა  
არ მოთავდება! (კაპუცინს) მზად ვარ, მამაო!  
(ყველანი წასვლას აპირებენ.)

სირანო:

(მღვდელს შეაჩერებს) რამდენ ხანს გასტანს  
ეგ საქმე?

კაპუცინი:

თხუთმეტ  
წუთში მოვრჩებით!

სირანო:

(თავისთვის) სასაცილოა!  
სულ რაღაც თხუთმეტ წუთში ყოფილა  
შესაძლებელი დაუკავშირდეს  
ერთმანეთს ორი ადამიანი,  
დამორებული ვით ცა და მიწა!..  
სირანოს გარდა ყველანი სახლში შედიან  
როგორ მოვიქცე ახლა? ის მელა



ყნოსვით მიხედება ყველაფერს... მოოდი,  
ამ ხეზე ავალ!

ლაბადას შემოიხვევს, ქუდს თვალებზე ჩამოიფხატავს და ხეზე ავა-

კვლავ სევედიანი  
მუსიკა ისმის... მამაკაცია!  
აბა, შენ იცი, სირანო, ფხიზლად!

სწრაფად შემოდის დე გიში, რომელსაც სახეზე შავი ნიღაბი  
აქვს გაკეთებული და მიემართება როქსანას სახლისკენ. ამ დროს  
სირანო ჩამოვარდება ხიდან და გრაფის ფეხით დაეცემა.

დე გიში:  
შენ ეი, ფრთხილად!

სირანო:  
(კენესის) ვაიმე, დედა!

დე გიში:  
გიჟია ვილაც ეს ოჯახქორი!  
კინალამ თავზე დამეცა. (სირანოს) თქვენ აქ  
საიდან გაჩნდით?

სირანო:  
(ცაზე მიუთითებს) იქიდან!

დე გიში:  
რაო?

სირანო:  
მთვარიდან-მეთქი! არ გესმის? ფეხი  
დამიცურდა და ძირს ჩამოვვარდი!  
სადა ვარ?

დე გიში:  
წადით, გამოიძინეთ!

სირანო:  
ო, რა სისწრაფით მოვექროდი! როგორ  
ჯოჯოხეთურად ყინავდა მაღლა!  
რა გაშმაგებით წიოდა ქარი!

დე გიში:

(წასვლა უნდა) თუ გამატარებთ, კარგს  
იზამთ...

სირანო:

(წელზე იტაცებს ხელს) წელი!  
ვაიმე, წელი! რა მემშველება,  
მუტელში, მგონი, რაღაცა ჩამწყდა!  
(დე გიშს)

აქაური ხარ? ძმობას გაფიცებ,  
მითხარი სად ვარ? დედამიწაზე?  
მე მეშინია, ვაითუ ჩემი  
ვეებერთელა საჯდომის წონამ  
შემაცვლევინა გეზი და სადღაც  
სხვა პლანეტაზე გადამისროლა?

დე გიში:

(მოთმინებიდან გამოსული)  
დედამიწაზე ბრძანდებით... ახლა  
გამიშვით...

სირანო:

იქნებ ქაიროში ვარ?

დე გიში:

რატომ გგონიათ?

სირანო:

აბა, ზანგებში  
საიდან მოვხვდი?

დე გიში:

ეს ნიღაბია.

სირანო:

მაშ, გენუაში ვყოფილვარ ანდა  
ფლორენციაში! როგორც ეტყობა,  
კარნავალია ამაღამ...



დე გიში:

მორჩით!

ხუმრობისათვის არა მცალია,  
მე ქალი მიცდის!

ს ი რ ა ნ ო:

თავიდან გეთქვა...

თუ ქალი გიცდის და პაემანზე  
მიგეჩქარება, მაშასადამე,  
პარიზს ვყოფილვარ! (ხითხითებს).

დე გიში:

გეთაყვა, სხვა დროს

მოვიცილი თქვენთვის... ახლა კი გზიდან  
ჩამომეცალეთ, მაგვიანდება!

ს ი რ ა ნ ო:

კარგი, ბატონო! მაგრამ ვიდრემდე  
წახვალთ... თუ გნებავთ, ერთ საიღუმლოს  
გაგანდობთ!

დე გიში:

(უნებლიეთ შეჩერდება) მაინც, რაა ისეთი?

ს ი რ ა ნ ო:

(ისარგებლებს გრაფის დაინტერესებით და  
კარის ზღურბლზე მოიკალათებს)  
ხუთი ხერხი და საშუალება  
არსებობს ზევით, (თითით ანიშნებს)  
მთვარეზე ასვლის!

დე გიში:

(თავისთვის) ეს გიჟი, ვატყობ, არ მომეშვება  
(სირანოს)

დაასახელეთ ერთი და მორჩით!

ს ი რ ა ნ ო :

მაშ, ასე: სულ მთლად უნდა გაშიშვლდეთ  
და დილით ადრე დასველდეთ ნამით...  
ნაშუადღევს კი, მზე დაგაცხუნებთ  
და ნამთან ერთად თქვენც აორთქლდებით!

დე გიში ცდილობს გაიაროს, მაგრამ სირანო არ უშვებს და  
განაგრძობს

არის მეორე საშუალება:

ქარის წისქვილის ფრთებს უნდა მაგრა  
ჩაებლაუჭოთ... როგორც კი ქარი  
ამოძრავებს ფრთებს, ზედ მთვარეზე  
აგისვრით ძალა ცენტრიდანული!  
დე გიში ნერვიულობს. სირანო კი მშვიდად განაგრძობს

მესამე ხერხი მთლად მარტივია.

წარმოიდგინეთ: ზარბაზანი ხართ  
ვითომ... სტომაქი გაივსეთ ღენტით...  
შემდეგ ამისა, გაჰკარით ასანთს  
და ხელი ნელა წაიღეთ უკან... (აკეთებთ  
სათანადო მოძრაობას)

ო, ნუ შეგაკროთობთ აფეთქების ხმა  
და ნურც ტკივილი! გახსოვდეთ: ვარდი  
უეკლოდ არავის მოუკრეფია!  
მეოთხე ხერხი...

დე გიში:

(გულმოსული თავისთვის) ეს დამთხვეული  
არ გამატარებს, სანამ ხუთივე  
ხერხს არ მასწავლის!

ს ი რ ა ნ ო :

(მშვიდად) მეოთხე ხერხი  
ყველას სჯობია, ჩემო ბატონო:  
რეზინის ბუმბი გაბერეთ, მერე...



დე გიში:

(შეაწყვეტინებს) მესხეთე უფრო  
მაინტერესებს!

სირანო:

მესხეთე ხერხი ფიზიკის ცოდნას  
მოითხოვს... რკინის ფურცელზე უნდა  
დაჯდეთ... მაგნიტი ააგდოთ ზევით...  
მაგნიტი რკინას მიიზიდავს და  
მიწას მოსწყიდებით! მერე, კვლავ ზევით  
ააგდებთ მაგნიტს... ასე მრავალჯერ  
გაიმეორებთ, სანამ მთვარეზე  
არ აღმოჩნდებით! გასაგებია?

დე გიში:

(ცოტა დაინტერესდა) თქვენ თვითონ რომელ  
საშუალებას მიმართეთ?

სირანო:

არც ერთს...

დე გიში:

აბა, მაშ...

სირანო:

მთვარის

შუქს, როგორც ბაწარს, ავყევი ზევით...

დე გიში:

ეგ როგორ?

სირანო:

ნუთუ ვერ ხვდებით? ნათელ  
მთვარიან ღამით ზღვისპირას გაველ  
და ამოვკრიფე წყლის ზედაპირზე  
მიმოზნეული სხივები... მერე  
ამ სხივებისგან თოკი დავგრიხე  
და ჯამბაზივით მარდად და სწრაფად

ავტოცდი ზევით! მთვარის სხივები  
ძალზე ცხელია... ხელისგულები  
მთლად დამწვარი მაქვს! მაგრამ, რას იზამ,  
მოგეხსენებათ: ვარდი უეკლოდ...  
(საათს დახედავს შეუმჩნევლად)  
თხუთმეტი წუთი გავიდა უკვე...

ქულს გადაიწვეს, სახეს გამოიჩენს და კვლავ განაგრძობს  
ჰო, რას ვამბობდი? უეკლოდ-მეთქი  
ვარდი არავის მოუკრეფია!

დე გ ი შ ი:  
(თავისთვის) როგორ მეცნობა ეს ხმა...  
(მიუახლოვდება სირანოს და დააკვირდება)  
ეს ცხვირი... (იცნობს)

სირანო?

ს ი რ ა ნ ო:  
ვწუხვარ, ჩემო ბატონო,  
მაგრამ სასტიკად, საბედისწეროდ  
დაგავგიანდათ: ის ქალი, რომლის  
ნახვასაც ასე ეშურებოდით,  
ეს წუთი არის, გათხოვდა... (სახლიდან  
გამოდის როქსანა, კრისტიანი და  
კაპუცინი)

ახლა ის დაგრჩენიათ, რომ მიულოცოთ  
ბედნიერება!

დე გ ი შ ი:  
(გამტერებული, როქსანას) მაშ თქვენ...  
(კრისტიანზე მიუთითებს) ამ ვაჟთან...

კ ა პ უ ც ი ნ ი:  
დავაქორწინე, როგორც მიბრძანეთ!

დე გ ი შ ი:  
მადლობელი ვარ, მამაო, ამავს



არ დაგიკარგავთ... ინებეთ! (ფულს აძლევს,  
მერე სირანოს მიუბრუნდება) თქვენ კი  
განსაკუთრებით გიმადლით! გირჩევთ,  
არ დაივიწყოთ ის, რაც მიამბეთ...  
გამოგადგებათ თქვენი ახალი  
კომედიისთვის! მე, ჩემდათავად,  
არ დავივიწყებ არასდროს... მაგის  
პირობას გაძლევთ!

ს ი რ ა ნ ო:

მადლობელი ვარ!  
არ მეპარება ეჭვი...

დ ე გ ი შ ი:

(როქსანას) ახლა კი,  
დამეშვიდობეთ ძვირფას მეუღლეს.

რ ო ქ ს ა ნ ა:

რატომ?

დ ე გ ი შ ი:

ბარონი ჯარისკაცია!  
როცა სამშობლო განსაცდელშია,  
მხედრის ადგილი, მოგეხსენებათ,  
ბრძოლის ველზეა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

(სასოწარკვეთილი) თქვენ ხომ უემპირდით?

დ ე გ ი შ ი:

(ცივად) გადავიფიქრე! (კრისტიანს,  
მკაცრად!) ბარონ, საჩქაროდ  
გაემგზავრებით ნაწილში!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

არის!

დე გიში:

(რალაცას წერს) აი, ბრძანება! ქალაქს  
გადასცემთ

კაპიტან კარბონს საკუთარ ხელში!  
იჩქარეთ!

როქსანა:

(კრისტიანს, სასოწარკვეთილი) ღმერთო...  
ნუთუ ვმორღებით?

კრისტიანი:

ასე გამოდის...

როქსანა:

რა მეშველება! (სირანოს)  
სირანო, იქნებ თქვენ იმოქმედოთ  
ამ კაცზე...

დე გიში:

(სირანოს) ვწუხვარ, მაგრამ ამაღამ  
ტოლ-ქმარს ცალ-ცალკე მოუწევს წოლა!

სირანო:

როგორ მეწყინა! თქვენი სიტყვები  
შოგ გულში მომხვდა!

დე გიში:

(ყველას) კარგად მენახეთ! (მიდის).

კრისტიანი:

(როქსანას) მოდი, გაკოცო...

სირანო:

(ხელს მოჰკიდებს და მიჰყავს)  
შე დალოცვილო,  
მაგის დრო არის ახლა?! სამშობლო  
ვასაჭირშია!



როქსანა:

კრისტიან, მტოვებ?

კრისტიანი:

(სირანოს) ერთხელ ვაკოცებ მხოლოდ...

სირანო:

აბა-ბა!

გვაგვიანდება!

კრისტიანი:

(კბილებს აკრაჭუნებს)

დასწყევლოს ღმერთმა! (სირანოს)

შენ ვერ გაიგებ, რა ხდება ახლა

ჩემს გულში...

სირანო:

აბა, სად შემიძლია!

კრისტიანი:

(როქსანას) მშვიდობით, ჩემო ბედნიერებავ!

როქსანა:

ნახვამდის, ჩემო სიცოცხლე... (სირანოს)  
თქვენი

იმედითა ვარ, დაიფიცეთ, რომ

იქ, ბრძოლის ველზე თვალისჩინივით

გაუფრთხილდებით კრისტიანს...

სირანო:

ვფიცავ!

როქსანა:

მაშ, უვნებელი დამიბრუნდება?

სირანო:

ვფიცავ, როქსანა... მაგრამ ბრძოლაში

ხომ იცით...

როქსანა:

(აწყვეტინებს) ვიცი ერთი რამ მხოლოდ:  
თქვენ გაბარიათ მისი სიცოცხლე!

სირანო:

ფიცხია ცოტა...

როქსანა:

შეაგნებინეთ,  
თავს გაუფრთხილდეს!

სირანო:

მე შევეცდები...

როქსანა:

არ გამიციფდეს.

სირანო:

ვეცდები, გამკრავ  
ქარს მოვარიდო...

როქსანა:

არ შეუყვარდეს  
სხვა ქალი!

სირანო:

ქალებს ზედ არ შეხედავს!

როქსანა:

კიდევ ერთსა ვთხოვთ: მისი საოცრად  
შთაგონებული სიტყვის მოსმენა,  
მე ვიცი, ხშირად მომენატრება —  
თითო წერილი მომწეროს ღღეში!

სირანო:

აუცილებლად! მაგის პირობას  
გაძლევთ, როქსანა! ყოველდღე მოგწერეთ



## მეოთხე მოქმედება

გვარდიელების ბანაკი არრასის მისადგომებთან. უკანა პლანზე გაწოლილა ხრიოკი მთის ფერდობი, რომელიც დიაგონალურად კვეთს სცენას. ფერდობზე მოჩანს ციხე-სიმაგრის სილუეტი, იმის იქით კი, ჰორიზონტზე, — შორეული ქალაქის ხედი. წინა პლანზე კოცონი ანთაა, მის ირგვლივ, მიწაზე დაგდებულან ლაბადაში გახვეული გვარდიელები და სძინავთ. კრისტიანიც აქ არის. ერთ-ერთ კარავთან თვლემს ლე-ბრე.

ყ ა რ ა უ ლ ი ს ხ მ ა :  
(სცენის უკან) შესდექ, ვინ მოდის?

ს ი რ ა ნ ო ს ხ მ ა :  
დე ბერეერაკი!  
(შემოდის სირანო, ცხვირსახოცით შეუხვევია ხელი).

ლ ე - ბ რ ე :  
რა მოგივიდა, დაგჭრეს? (სირანო თავს უქნევს)

თუ ძმა ხარ,  
სიცოცხლე ხომ არ მოგძულებია?!

ს ი რ ა ნ ო :  
დაიწყე ისევ?

ლ ე - ბ რ ე :

კაცო, ყოველდღე  
რომ დაატარებ იმ შენს წერილებს  
ესპანელების ზურგში... ხომ იცი,  
ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს!

ს ი რ ა ნ ო :

(მძინარე კრისტიანს [დასცქერის])  
უყურე, როგორ გახდა, საბრალო!  
რა ლამაზია! ეს სიფერმკრთალე  
უნდება კიდევ! ალბათ ამ წუთში  
ხიზმარში თავის როქსანას ხედავს!  
ნახვამდის, ლე-ბრე, გათენებამდე  
უნდა მოვასწრო.

ლ ე - ბ რ ე :

რა?

ს ი რ ა ნ ო :

კიდევ ერთი  
წერილის შეთხზვა! (წასვლას აპირებს)

ლ ე - ბ რ ე :

მოიცა ერთს წუთს...  
გამაგებიანე, რა ხდება? არაასს  
ხომ შემოვარტყით ალყა!

ს ი რ ა ნ ო :

აბა, რა!

ლ ე - ბ რ ე :

მაშ, რაღას ვუცდიოთ? მეოთხე დღეა,  
აირში ნამცეციც არ ჩაგვცდენია.  
ნუთუ შიმშილით უნდა ამოგვხდეს  
სული?



ს ი რ ა ნ ო :

ძმობილო, ამის შესახებ  
დე გიშსა ჰკითხე. ჩვენი უფროსი  
ისა ბრძანდება! აქ არის სადღაც...

კარავში გაუჩინარდება. შემოდის კარბონი.

კ ა რ ბ ო ნ ი :

მაძღარიო, ვინც სიზმარს ხედავს...  
ასე ამბობენ.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

(თავს წამოსწევს) მშია!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

ვაიმე,  
მიშველეთ, ვცვლები!

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

ე, ბიჭო, მგონი,  
ენა ჩავყლაპე ძილში!

კ ა რ ბ ო ნ ი :

ადექით!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

ადექი, თორემ, მე შენ გეტყვი და,  
წემწვარ წიწილას შეგთავაზებენ!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

ბარონის ტიტულს ვცვლი ერთ პატარა  
პურის ნატეხზე!

მ ე ს ა მ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

პური და წყალი!  
აღარ დავეძებ მწვადსა და ღვინოს!

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

აფსუსს, გეთყვა, რაგნოს კერძები!

პირველი გვარდიელი:  
კარბონ! აქ რისთვის გამოგვაგზავნეს?  
იქნება ვინმეს აინტერესებს,  
რამდენ ხანს გასძლებს უჭმელად კაცი?!

კარბონი:  
წყნარად, ბიჭებო, მეც თქვენთან ერთად  
ჩვენი სარდლობის ბრძანებას ვუცდი!

მეორე გვარდიელი:  
ამათი რა ვთქვი!.. ნეტა ვიცოდდე,  
რას ფიქრობს მისი უწმიდესობა?  
ცარიელ კუჭით სად გაგონილა  
ბრძოლა?

პირველი გვარდიელი:  
უფროსებს რა უჭირთ, ძმაო!

მესამე გვარდიელი:  
(კულისებისაკენ იხედება) დე გიში მოდის!

მეორე გვარდიელი:  
წავიდეს...

პირველი გვარდიელი:  
ეგ არ დაიკლებს არაფერს...

მეთხე გვარდიელი:  
აბა!  
მზარეულს მისთვის მუდამ ექნება  
გადანახული ლუკმა.

პირველი გვარდიელი:  
გეთაყვა,  
სად ჩვენ და სად ის — ხიზილალაზე  
გაზრდილი კაცი!

ყველანი:  
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!



პირველი გვარდიელი:  
უყურეთ, როგორ გამოწყობილა!

მეორე გვარდიელი:  
აღბათ ჰერცოგის ტიტულს მიიღებს,  
ნახავთ...

მესამე გვარდიელი:  
მაგარი ზურგი აქვს.

მეოთხე გვარდიელი:  
ვითომ  
გასკონელია ეგეც?

პირველი გვარდიელი:  
ქლესაა.

კარბონი:  
მორჩით ყბედობას!  
ვაუკაცობაზე თუ დაგიდვიათ  
თავი, აჰა, თქვენ, ინებეთ: ბურთი  
და მოედანი!

მეორე გასკონელი:  
(თავისთვის) ვერც ბურთსა ვხედავ  
და ვერც მოედანს!

კარბონი:  
თავს ნუ შევირცხვენთ,  
გვარდიელებო! მოდით, ვაჩვენოთ  
პოლკის მეთაურს, რომ არად ვაგდებთ  
შიმშილს, გასაჭირს... რომ ჭეშმარიტი  
გასკონელები ვართ! სათამაშო  
ქალაქი, ჩქარა! აბა, დასხედით  
და გაახურეთ ბანქოს თამაში!  
არ დავინახო არც ერთი სახე  
მოღუშული და ჩამომტირალი!



გვარდიელები სხდებიან ქალაქის სათამაშოდ. ზოგი მათგანი დაიძინა.  
ღის წმენდას იწყებს. ყველანი ხმამაღლა, უდარდელად იცინიან.  
შემოდის დე გიში.

დე გიში:  
სალამი, კარბონ! (თავისთვის) ნაშიმშილარი  
სახე აქვს ამ კაცს!

კარბონი:  
გრაფო! (თავისთვის) შეხედეთ,  
ფერი არ ადევს სახეზე... მაინც  
რა მედლიდურად უჭირავს თავი!

დე გიში:  
მოგესალმებით, გასკონელებო!  
(არავინ ყურადღებას არ აქცევს)  
კარბონ, როგორც ჩანს, თქვენი ბიჭები  
კარგ გუნებაზე არიან!

კარბონი:  
ღიახ...

დე გიში:  
ორას ნაბიჯზე მესმოდა მათი  
სიცილ-ხარხარი! საკმაოდ მკვანე  
სიტყვებს მოგვკარი ყური... კარდინალს  
ახსენებდნენ და მეც არ მზოგავდნენ!

კარბონი:  
არ გამიფია!

დე გიში:  
მე ვფიქრობ, კარბონ,  
სანიმუშოდ რომ დასჯიდეთ ვინმეს,  
არ იქნებოდა ლრიგო... ჯარში  
წესრიგი არის საჭირო!



კ ა რ ბ ო ნ ი:

მაინც,

რისთვის დავსაჯო?

დ ე გ ი შ ი:

უზრდელობისთვის!

კ ა რ ბ ო ნ ი:

ჩვენ აქ საომრად გამოგვაგზავნეს

და არა ნატიფ სიტყვა-პასუხის

და მიხრა-მოხრის გამოსაჩენად!

დ ე გ ი შ ი:

მე მაინც გირჩევთ...

კ ა რ ბ ო ნ ი:

გრაფო! უბრალო

ჯარისკაცი ვარ... ვემორჩილები

მხოლოდ სამხედრო ბრძანებას!

დ ე გ ი შ ი:

(გაბრაზებული) კარგი!

მაშ, თუ ასეა... ვნახოთ, ბატონო,

რა შეუძლია თქვენს გვარდიელებს

ტრაბახისა და ლაქლაქის გარდა!

ვნახოთ!

შემადლებულ ადგილზე შედგება, მოიხსნის ყელსახვევს და ნიშანს  
აძლევს ვილაცას.

კ ა რ ბ ო ნ ი:

ეგ რაა?

დ ე გ ი შ ი:

არრასის მცველებს

ბრძოლის დაწყების ნიშანი მივცე!

კ ა რ ბ ო ნ ი:

არ მესმის...

დ ე გ ი შ ი:

ახლავ გაიგებთ... მარშლის

ვანკარგულებით შუალამისას  
მუშკეტერების ერთი ნაწილი  
მოიხსნა ფრონტის მარცხენა ფრთიდან  
და საიდუმლოდ გაგზავნილ იქნა  
ზურგში სურსათის ჩამოსატანად...

კ ა რ ბ ო ნ ი:

(შეშფოთებული) ესპანელებმა ამის შესახებ  
იციან?

დ ე გ ი შ ი:

ღიახ... სალბედუროდ,  
გაიგეს უკვე!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:  
ვაი ჩვენს დღეს!

დ ე გ ი შ ი:

(განაგრძობს) მაგრამ  
ის არ იციან, კერძოდ, რომელი  
ფრთა გავაშიშვლეთ...

კ ა რ ბ ო ნ ი:

იქ თუ დაგვარტყეს,  
დავიღუპებით!

დ ე გ ი შ ი:

დამშვიდდით! მათი  
ჯაშუში ჩემი მოსყიდულია!  
ეს წუთი არის ნიშანი მივეც,  
რომ ესპანელთა მთავარი დარტყმა  
აქეთ მომართონ, თქვენს ფრთაზე, სადაც  
(ოდნავ დამცინავად)

სახელოვანთქმული და უძლეველი  
გვარდიელები დგანან! (აშკარა დაცინვით)  
ცხადია,

მათ არ იციან, რომ ჯოჯოხეთის



მოციქულებთან ექნებათ საქმე!  
(საათს დახედავს)  
ათ-თხუთმეტ წუთში თოფის გასროლა  
ბრძოლის დაწყებას გვაუწყებს!

ს ი რ ა ნ ო:  
(აქამდე ჩუმად უსმენდა) მე კი  
მეგონა უკვე დაიწყო-მეთქი...  
ამდენხანს კიდევ რა გვალოდინებს?  
თან მშიერ კუჭზე...

დ ე გ ი შ ი:  
კარბონ, იცოდეთ:  
მუშკეტერების დაბრუნებამდე,  
სათითაოდ რომ გაწყდეთ ყველანი,  
აქედან ფეხი არ მოიცვალთ!  
ეს ბრძანებაა! თქვენ ხომ ბრძანეთ, რომ  
მხოლოდ ბრძანებას ემორჩილებით?!

კ ა რ ბ ო ნ ი:  
(ჩაფიქრებული) უთანასწორო ომი  
მოგველის!

ს ი რ ა ნ ო:  
უთანასწორო? თვითეულ ჩვენგანს  
ას კაცთან მაინც მოუწევს ბრძოლა!

დ ე-გ ი შ ი:  
(სირანოს) რამ შეგაშინათ! თქვენ მუდამ  
მაინც

მარტო გჩვეოდათ უთვალავ მტერთან  
პირისპირ შებმა და გამკლავება!  
გახსოვთ, ის ღამე ნელის ციხესთან?

ს ი რ ა ნ ო:  
მახსოვს... ეს რაა? შურისძიება?

დ ე გ ი შ ი:  
(დამცინავად) ო, რასა ბრძანებთ?! ქვეყნის  
წინაშე

ვალის მოხდაა.

ს ი რ ა ნ ო:

მაშ, საიქიოს

როცა მოვხვდები, ნებას თუ მომცემთ,  
თქვენგან მოკითხვას გადავცემ იმათ,  
ვისაც იმ ღამით პატივი ვეცი!

ზურგს შეაქცევს და ჩაფიქრებული კრისტიანს უახლოვდება,  
რაო, ძმობილო?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ეჰ, ისე ვატყობ,

ვერ ველირსები როქსანას ნახვას  
ველარასოდეს... ის დროა ახლა,  
გამოსათხოვარ წერილსა ვწერდე!

ს ი რ ა ნ ო:

(ჯიბიდან იღებს წერილს) ინებე... შენი  
უკანასკნელი წერილი.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

უკვე დაწერე? როდის?

რად არ მითხარი?

ს ი რ ა ნ ო:

(ოდნავ შემცბარი) წინასწარ მქონდა  
გამზადებული. გული მიგრძნობდა,  
დაგვჭირდებოდა ადრე თუ გვიან,  
სიკვდილი ბრმაა. რა იცი კაცმა,  
სად დაგეწევა...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

მომეცი ჩქარა!

გამოსტაცებს წერილს და კითხულობს

ს ი რ ა ნ ო:

მხოლოდ თარიღი აკლია... თარიღს  
თვითონ ცხოვრება დააწერს...



კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(ხმამაღლა) კაცო!  
ეს რაა? ლაქა!.. ნუთუ შენ...

ს ი რ ა ნ ო:  
(შეცბუნებულ) მართლაც  
სასაცილოა, არა? წერის დროს  
რა მომივიდა, არ ვიცი... უცებ  
ცრემლი მომადგა თვალზე!.. რა გიკვირს?  
ჩვენ, პოეტები, მეტად გულჩვილი  
ხალხი ვართ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(თავზარდაცემული) მაშ, შენ... ტიროდი?

ს ი რ ა ნ ო:  
აბა!  
ასე გამოდის...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
შენ, ფოლადივით  
კაცი ტიროდი!

ს ი რ ა ნ ო:  
როლში შევედი!  
წარმოვიდგინე ვითომ ვკვდები და...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(ეჭვიანად) შენ კვდები?

ს ი რ ა ნ ო:  
(გამოერკვევა) არა, შენ კვდები თითქოს...  
და სიკვდილის წინ, უკანასკნელად,  
ვესაუბრები და ვეთხოვები...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(ხმამაღლა) გამაგებინე ვის ეთხოვები?  
ვის?!

ს ი რ ა ნ ო:

(მთლად დაბნეული) მე კი არა, შენ  
ეთხოვები  
როქსანას... მიხვდი? რას იბღვირები?  
აქ ხომ შენზეა სულ ლაპარაკი!  
მომე წერილი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

მე მქონდეს... მერე  
გადავიკითხავ (უბეში ჩაიდებს წერილს.  
მოისმის სროლა, შეძახილები)  
ოჰო, რა ხდება!  
დაიწყეს უკვე?

ს ი რ ა ნ ო:

ყარაულები  
ისვრიან...

ხმები კულისებიდან.

— შესდექ! ვინ მოდის?  
— მეფის დესპანი გახლავთ!  
— როგორ? თვით მეფის  
გამოგზავნილი კარეტა?  
— დიახ!

კ ა რ ბ ო ნ ი:

დასცხეთ დაფდაფებს! (გვარდიელებს)  
გვარდიელებო!  
რას დაგიღიათ პირი?! ქუდები  
მოიძვრეთ ჩქარა!

შემოდის კარეტა და ჩერდება. გვარდიელები ირგვლივ შემოეხვევიან  
ერთ-ერთმა მათგანმა კიბე გადმოხსნა.

დ ე გ ი შ ი:

სმენა! სწორება!



ჩვენი ძვირფასი ხელმწიფის დესპანს:  
„ვაშა!“

გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი:  
ვაშა-ა! ვაშა-ა! ვაშა!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
(გადმოხტება კარეტიდან) სალამი თქვენდა  
და გამარჯვება.

საერთო გაკვირვება. ხანგრძლივი პაუზა.

დ ე გ ი შ ი:  
როქსანა! თქვენ? აქ? აკი ხელმწიფის  
დესპანიაო?

რ ო ქ ს ა ნ ა:  
ღიახ, დესპანი!  
ამქვეყნად კიდევ არის სხვა მეფეც —  
მისი სახელი სიყვარულია!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
ჩემო ძვირფასო! გონს ვერ მოვსულვარ....  
აქ როგორ გაჩნდი?

რ ო ქ ს ა ნ ა:  
სტუმრის დახვედრა  
ასე იციან თქვენში? მარტოდენ  
გაკვირვებული შეძახილებით  
უმასპინძლებით? დამსვით, გეთაყვა;  
მომათქმევინეთ სული!

კ ა რ ბ ო ნ ი:  
(დაფდაფს მიართმევს) დაბრძანდით.

რ ო ქ ს ა ნ ა:  
გმადლობთ. ო, ღმერთო! რა შიში ვჭამეთ!  
ძლივს გადავურჩით სიკვდილს! თქვენს  
ბანაკს.

მოკუახლოვდით თუ არა, იმ წამს  
გაისმა: „ვინ ხარ? შესდევით!“...

კ ა რ ბ ო ნ ი:

აღბათ

ესპანელების საფარს წააწყდით?

რ ო ქ ს ა ნ ა:

ო, სულაც არა!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი:

მაშ, ვინ ისროდა?

რ ო ქ ს ა ნ ა:

თქვენმა ძვირფასმა ყარაულებმა  
დაგვინახეს და ატეხეს სროლა!  
რა მოელანდათ, არ ვიცი, ტყვიით  
დაცხრილულია მთელი კარეტა!  
შეხედეთ, რას ჰგავს?! დალოცვილებმა,  
ეს მაინც როგორ ვერ დაინახეს —  
სამეფო ღერბი! უნდა გენახათ,  
რა დღეში იყო მეეტლე! დამფრთხალ  
ვირთხასა ჰგავდა!

გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი:

ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

მე კი... მე წარბიც არ შემიხრია,  
დედოფალივით თავაწეული  
ვიჯექ მშვიდად და... თქვენზე ვფიქრობდი!  
მართალი გითხრათ, ძალზე გაგრძელდა  
ლაშქრობა! რაა, ბოლოს და ბოლოს,  
რა გახდა ერთი ციხის აღება?!

(სირანოს შეამჩნევს)

სირანო! (ხელს დაუქნევს, მერე  
კრისტიანისაკენ მიიხედავს)

ჩემო ძვირფასო, გკოცნი!



ს ი რ ა ნ ო:

როგორ მოგვაგნეთ?

რ ო ქ ს ა ნ ა:

მე ხომ ვიცოდი,

ომი აქ სადღაც ახლოა... გზაში

ვეკითხებოდი ხალხს, თანაც სოფლებს

ვხედავდი დამწვარს... მოკლედ,

დავრწმუნდი,

რომ სიყვარულის ხელმწიფე ბევრად

გულმოწყალეა, ვიდრე ის მეფე,

ვისაც თქვენ, ჩემო გვარდიელებო,

ასე ერთგულად ემსახურებით!

დ ე გ ი შ ი:

უნდა დაბრუნდეთ, როქსანა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

რატომ?

დ ე გ ი შ ი:

ომია...

რ ო ქ ს ა ნ ა:

მერე, რა მოხდა?

დ ე გ ი შ ი:

რა და...

მოგკლავენ.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

მართლა, ჩემო ძვირფასო.

შენი აქ ყოფნა არ შეიძლება.

სულ ცოტა ხანში, ეშმაკმა იცის,

რა დაიწყება!

რ ო ქ ს ა ნ ა:

მაინც?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
სასტიკი,  
უთანასწორო ბრძოლა!

ს ი რ ა ნ ო:  
ქვა ქვაზე  
აღარ დარჩება!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
გავწყდებით ყველა!

ს ი რ ა ნ ო:  
(დამცინავად, დე გიშის გასაგონად)  
ასეთი არის ჩვენი სარდლობის  
წინდახედულად მოფიქრებული  
სტრატეგიული გეგმა!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
ო, ღმერთო! (დე გიშს)  
ვერ მოისვენებთ, არა, გრაფ, სანამ  
არ დამაქვრივებთ? (გვარდიელებს) მე  
ერჩები! კარბონ,  
თქვენ უფროსი ხართ... მე თქვენი აზრი  
მაინტერესებს, ამ კაბით ომში  
თუ გაისვლება? რაც მთავარია,  
მიხდება?

კ ა რ ბ ო ნ ი:  
გხატავთ.

გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ი:  
— შენ გენაცვალე!  
— ყოჩაღ გოგონა!  
— ჭირიმე შენი!  
— ქალიც მაგასა ჰქვია.

კ ა რ ბ ო ნ ი:  
როქსანა,



ჩვენი საბრძოლო დროშა იქნებით!

პირველი გვარდიელი:  
ბიჭებო! მოდიეთ, ვაჩვენოთ ამ ქალს,  
რა შეუძლიათ ფრანგებს!

მეორე გვარდიელი:  
სწორია,  
თუ გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ,  
ლამაზად მაინც მოგკვდეთ!

კარბონი:  
კი, მაგრამ,  
რას გავხართ? თქვენს თავს შეხედეთ?!

პირველი გვარდიელი:  
მართლაც,  
უხერხულია...

მესამე გვარდიელი:  
ე, ბიჭო, პირი  
გამაპარსვინე! დრო კიდევ დარჩა!

მეორე გვარდიელი:  
სუფთა საყელო გექნება... ჩქარა!

მეთხე გვარდიელი:  
რა იქნა ჩემი ჯაგრისი? ჩექმებს  
გადავუსვამდი...

პირველი გვარდიელი:  
ფურთხით გაწმინდე!

მეთხე გვარდიელი:  
სადღაა ფურთხი? შიმშილისაგან  
ნერწყვი გამიშრა!

გვარდიელები:  
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

(გვარდიელები გარბიან და გამორბიან.)

დ ე გ ი შ ი :

(როქსანას მიუახლოვდება)

უნდა წახვიდეთ! აქ ყოფნა ძალზე  
სახიფათოა! ბოლოს და ბოლოს,  
გებრძანებთ, როგორც პოლკის უფროსი!

რ ო ქ ს ა ნ ა :

ჩემი საქმისა მე ვიცი, გრაფო...

თქვენ გაქვთ უფლება, მოჰკლათ, ვინც  
გნებავთ,

მე შემიძლია, მოგკვდე როცა მსურს!

ამას ვერავეინ დამიშლის...

დ ე გ ი შ ი :

მაგრამ...

რ ო ქ ს ა ნ ა :

შევწყვიტოთ დავა...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

(როქსანას) მეტყვი თუ არა,

რამ გაიძულა...

რ ო ქ ს ა ნ ა :

ამ წუთში... (გვარდიელებს) ძმებო!

არ იქნებოდა ურიგო სუფრის

გაშლა, საშინლად მომშვივდა პური!

პ ი რ ც ე ლ ი გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

(დამცინავი ღიმილით) რას მიირთმევდით?

რ ო ქ ს ა ნ ა :

სიამოვნებით

გეახლებოდით შემწვარ წიწილას,

სალათას, ჰაშტეტს...

მ ე ო რ ე გ ვ ა რ დ ი ე ლ ი :

სადაა, თორემ!



როქსანა:

ჩემს კარეტაში... რამდენიც ვნებავთ!

გვარდიელები:

როგორ?

როქსანა:

მიბრძანდით და გადმოტვირთეთ!

მეორე გვარდიელი:

გვარდიელებო, ვცოცხლობთ!

მესამე გვარდიელი:

(კარეტას ათვალიერებს) უყურეთ,  
ღვინოც ყოფილა!

პირველი გვარდიელი:

დალოცა ღმერთმა

ჩვენი ბიჭების მარჯვენა — ბოთლებს

არც ერთი ტყვია არ მოხვედრია! (ღე გიშს)

თუ დაგვეწვევით, გრაფო...

მეორე გვარდიელი:

მერწმუნეთ,

ბრძოლის წინ უნდა შენაყრდეს კაცი!

ღე გიშ:

(გორიზად) მაღლობელი ვარ! (გადის).

მეორე გვარდიელი:

რა ამაყია!

კარდინალივით უჭირავს თავი!

პირველი გვარდიელი:

ჯანდაბას მაგის თავიც და ტანიც...

მოდი, მიშველე — სუფრა გავაწყოთ!

გვარდიელები მიწაზე შლიან სუფრას.

ს ი რ ა ნ ო:

(კრისტიანს) ერთ წუთს, კრისტიან... (გაჰყავს  
განზე)

არ გაგიკვირდეს,

მაგრამ როქსანამ თუ გკითხა... მოკლედ,  
იცოდე: შენ მას ყოველდღე სწერდი  
წერილებს... გესმის?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

მოიცა, აკი...

დღეგამოშვებით ვგზავნიდით?

ს ი რ ა ნ ო:

(ოდნავ დაბნეულია) არა,

მე უფრო ხშირად ვწერდი... ცხადია,  
შენი სახელით...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(იჭვნეულად) და ყოველ ღამით  
დაგქონდა ჩუმად ეს წერილები  
ცეცხლის ხაზს იქით? რა ძალა გადგა?

ს ი რ ა ნ ო:

(ტუჩზე ხელს მიიდებს, როქსანაზე ანიშნებს)  
არ გააგონო, თორემ ყველაფერს  
დაღუბავ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(აღელვებული) მაინც მინდა ვიცოდე:  
რას სწერდი ჩემს ცოლს? (აჯავრებს)

„ჩემო როქსანა...“

მიყვარხარ... გკოცნი... მარად ერთგული  
შენი“...

ს ი რ ა ნ ო:

(ავრთქლებს მის ფრაზას) „კრისტიან ღე ნევილეტი!“

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

კიდევ კარგი, რომ...



ს ი რ ა ნ ო:  
რა?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
ჩემი გვარის  
მოწერა რომ არ გავიწყდებოდა!

კრისტიანი მოშორდება სირანოს და როქსანას.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(უკმაყოფილოდ) მოიცლი ჩემთვის?

რ ო ქ ს ა ნ ა:  
შენი ვარ მარად!  
მოდი, ჩაგიკრა გულში!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
(ცივად) მოიცა!  
რამ მოგიყვანა, იტყვი თუ არა,  
ჩვენ ხომ შევთანხმდით...

რ ო ქ ს ა ნ ა:  
„ძვირფასო ჩემო!  
შენთან — ცოცხალი, უშენოდ — მკვდარი,  
ვარ და ამქვეყნად არცა ვარ თითქოს“...  
გახსოვს? მე ყველა წერილს ვინახავ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:  
მაშ, იმ სულელურ წერილებს უნდა  
ვუმაღლოდე, რომ აქ ჩამოხვედი?  
(აღშფოთებული)  
სიტყვებს აპყევი, ცარიელ სიტყვებს?!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
ცარიელს? არა! ლამაზი სულის  
მგზნებარე ძახილს მოვყევი ისე,  
ვით სანთლის შუქზე მოეშურება  
ნაზი ფარვანა.... შენს წერილებში

ჩქედს სიყვარულის უშრეტი წყარო,  
მას დავეწაფე ხარბად და... აჰა,  
მთვრალი ვარ შენით!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(მწარე ღიმილით) ჩემით? კარგია,  
თუ ასე ფიქრობ...

რ ო ქ ს ა ნ ა:

მე უკვე ერთ დღეს  
ვეღარ ვძლებ შენი შთაგონებული  
სიტყვის გარეშე! გახსოვს, შენ მწერდი:  
„...როგორც შორეულ, უხილავ ვარსკვლავს  
გონების თვალით გეაღერსები,  
გნატრობ და ვუცდი გულისფანცქალით,  
როდის მოაღწევს ჩემამდე შუქი  
შენი სახისა...“ ო, მაბატიე,  
რომ ადრე შენში ვერა ვხედავდი  
ვერაფერს, გარდა იმ ხორციელი  
სილამაზისა, რომელსაც თურმე  
აცისკროვნებდა სულის ნათელი!  
იცი, რას გეტყვი, კრისტიან: ახლა...  
შეუხედავი რომ იყო, მაინც  
შეგიყვარებდი!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

(თავზარდაცემული) რა თქვი?

რ ო ქ ს ა ნ ა:

(ვერ ამჩნევს მის მღელვარებას) ეგ შენი  
ლამაზი სახე ხელს მიშლის კიდევ  
სულის სიღრმეში ჩაგწვდე...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

გაჩუმდი!

რ ო ქ ს ა ნ ა:

მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რა არის



მშვენიერება ნამდვილი...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

მოდი,

სხვა დროს განვაგრძოთ ეს საუბარი..

ჩვენი ბიჭები გიცდიან... ხედავ,

პურის საჭმელად არა სხდებიან...

კრისტიანი მიდის სირანოსთან.

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

მოდი აქ!

ს ი რ ა ნ ო :

ფერი რატომ წაგსვლია?

რა მოხდა?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

ჩუმად! (განზე გაჰყავს) მისმინე ახლა:

შენ მას უყვარხარ!

ს ი რ ა ნ ო :

სისულელეა!

სად გაგონილა ქალს ერთდროულად

ორი უყვარდეს?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

მან თვითონ მითხრა.

ს ი რ ა ნ ო :

რათ, სირანო მიყვარსო?

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი :

კმარა,

ნულარ თვალთმაქცობ! შენც კარგად იცი,

რა არის მისთვის ადამიანში

მთავარი. „მახინჯს შევიყვარებო“, —

ასე თქვა... მოკლედ, მე უმალ მივხვდი,

ვის გულისხმობდა!

ს ი რ ა ნ ო:

მადლობელი ვარ  
ასე მაღალი შეფასებისთვის,  
მაგრამ, კრისტიან...

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

რა, მაგრამ?

ს ი რ ა ნ ო:

აბა,  
წარმოიდგინე ეს საფრთხობელა  
მის გვერდით!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

იგი არაფრად აგდებს  
გარეგნობას და...

ს ი რ ა ნ ო:

რას ამბობ, ძმაო,  
ქალს მზე და მთვარე შენზე ამოდის!  
მას შენ მოსწონხარ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

მოფწონდი... ვიცი,  
მერე აღმოჩნდა, რომ ჩემი სახე  
მხოლოდ ნიღაბი ყოფილა იმის,  
ვინც მისთვის ქვეყნად ყველაზე უფრო  
სასურველია... ეს კაცი შენ ხარ!  
(პაუზის შემდეგ)

სხვა გზა არ არის, უნდა მივიდეთ  
და გამოვუტყდეთ... დაე, როქსანამ  
თვით გადაწყვიტოს, ვისკენ აქვს გული!

ს ი რ ა ნ ო:

ცხადია, შენკენ!

კ რ ი ს ტ ი ა ნ ი:

ვნახოთ... მე ახლა



წავალ, დავუვლი საგუშაგოებს,  
შენ კი მიდი და... (როქსანას) როქსანა, ამ კაცს  
სალაპარაკო აქვს შენთან... (კრისტიანი  
გადის).

როქსანა:  
გისმენთ.

სირანო:  
ერთი რამ უნდა გკითხოთ, როქსანა...  
ოღონდ გულახდილ პასუხს მოველი:  
შეიყვარებდით მახინჯ კაცს?

როქსანა:  
მახინჯს?..  
ისეთი ნაზი, ამალღებული  
სული რომ ჰქონდეს, როგორც კრისტიანს...

სირანო:  
ჩემსავით გონჯი რომ იყოს?

როქსანა:  
არად  
ჩავთვლიდი ამ ნაკლს... პირიქით, უფრო  
თავდავიწყებით შევიყვარებდი!

სირანო:  
(საშინლად ღელავს) ნამდვილად ამბობთ?

როქსანა:  
(სავსებით მშვიდად) ვფიცავ ყველაფერს.

სირანო:  
მაშ, თუ ასეა... რაღა აზრი აქვს  
დამალობანას... როქსანა, იცით...  
მე თქვენ... (კულისებიდან ისმის სროლა,  
სწრაფად შემოდის ლე-ბრე).

ლ ე - ბ რ ე :

სირანო! (განზე გაიყვანს და ყურში  
ეუბნება).

ს ი რ ა ნ ო :

(თავზარდაცემული) რას მეუბნები!

რ ო ქ ს ა ნ ა :

მანდ რას ჭორაობთ?

სირანო! ბოლოს

მეტყვით თუ არა, რად დამიძახეთ?

ს ი რ ა ნ ო :

(ძლივს ლაპარაკობს) მე მსურდა მეთქვა... რომ  
კრისტიანი

შესანიშნავი ვაჟკაცი იყო...

რომ ის...

რ ო ქ ს ა ნ ა :

როგორ თუ...

რას ნიშნავს, „იყო“?

გვარდიელებს შემოაქვთ კრისტიანის  
ცხედარი. როქსანა ყვირის  
კრისტიან!

ლ ე - ბ რ ე :

(სირანოს, ჩუმად) ბედი არა ჰქონია,

საცოდავს... წინა ხაზზე გავიდა...

არ მოერიდა სროლას... რატომღაც

ასე მგონია, სიკვდილს ეძებდა,

ეგ უბედური... (სირანო სდუმს).

რ ო ქ ს ა ნ ა :

(სასოწარკვეთილი დაემხობა კრისტიანს)

მიშველეთ! წყალი!

წყალი, საჩქაროდ! ჯერ კიდევ სუნთქავს!

(გარბის წყლის მოსატანად).



ს ი რ ა ნ ო :

(კრისტიანს) მე ყველაფერი ვუამბე, ძმაო:  
მას შენ უყვარხარ, ასე თქვა თვითონ:  
კრისტიანის მეტს ქვეყნად არავის  
შევიყვარებდი... გესმის? მარტო შენ  
უყვარხარ! (ისმის სროლა).

კ ა რ ბ ო ნ ი ს ხ მ ა :

(კულისებიდან) ცეცხლი!

გ ვ ა რ დ ი ე ლ ი ს ხ მ ა :

ჰე, კაპიტანო!

ყოველი მხრიდან გვიტევენ!

კ ა რ ბ ო ნ ი ს ხ მ ა :

ცეცხლი!

როქსანა შემოდის.

რ ო ქ ს ა ნ ა :

კრისტიან, ჩემო სიცოცხლე! ღმერთო!  
აღარა სუნთქავს... ო...

კ ა რ ბ ო ნ ი ს ხ მ ა :

მოემზადეთ

იერიშისთვის, გვარდიელებო!

ფხა მოვუსინჯოთ დაშნებს!

რ ო ქ ს ა ნ ა :

(კრისტიანის უბიდან წერილს იღებს)

წერილი...

უკანასკნელი წერილი... ნახეთ,

სირანო... ნახეთ, ქაღალდი სულ მთლად

სველია სისხლით!

ს ი რ ა ნ ო :

(თავისთვის) სწორედ მაგ სისხლმა

მორეცხა ჩემი ცრემლების კვალი...  
ბედი ყოფილა!

როქსანა:  
რა კაცი იყო!  
რა დიდი სულის პატრონი!

სირანო:  
(მწუხარედ) სული  
მართლაც ნათელი ჰქონდა კრისტიანს...

სცენის უკან ძლიერდება სროლა და საბრძოლო ყვირინა.

როქსანა:  
რა ნიჭიერი!.. ნუთუ ვერასდროს  
ველარ მოვისმენ მის ხმას?... იმ გრძნობით  
აღსავსე სიტყვებს?..

სირანო:  
(თავისთვის) ასე ლამაზად  
გამოტირებულს ახლა მხოლოდღა  
ის დამრჩენია, რომ ესპანელებს  
შევაკლა თავი!

შემოდის დე გიზი და მნით ხელში. იგი დაჭრილია.

დე გიზი:  
გავწყდეთ ყველანი,  
მაგრამ არც ერთი ნაბიჯი უკან!  
წინ!

სირანო:  
ქალს მიხედეთ, გრაფო! აქ ყოფნა  
არ შეიძლება მისი...

დე გიზი:  
წავიდე?  
ვინა გგონივართ?



ს ი რ ა ნ ო:

ვფიცავ ყველაფერს...

თქვენ გამოიჩინეთ მეტ ვაჟკაცობას,  
თუ სამშვიდობოს გაიყვანთ ამ ქალს!

(როქსანას)

მშვიდობით, ჩემო! თქვენს გვერდით სიკვდილს,

ზეცაა მოწმე, არრას ვარჩევდი,

მაგრამ... (კრისტიანზე მიუთითებს)

მეგობარს ვერ მივატოვებ,

მე ახლა მასთან მიმეშურება!

ღე ვის გაჰყავს როქსანა. სირანო ბრძოლაში გადაეშვება.

ფ ა რ დ ა

## შეხუთე მოქმედება

გადის 15 წელი... პარიზის ერთ-ერთი მონასტრის ბაღი. ასწლოვანი ხეები. მარცხნივ — ქვის შენობა, ღია ფართე აივნით. აივანზე გამოსულან ახალგაზრდა მონაზონი ბეატა და აბატისა — მონასტრის წინამძღვარი.

ა ბ ა ტ ი ს ა:

დაო, ბეატა! ფრიად საწყენი  
ამბავი მითხრეს: სენაკში თურმე  
ჯიბის პატარა სარკე გქონიათ  
გადამალული!

ბ ე ა ტ ა:

რას ბრძანებთ?!

ა ბ ა ტ ი ს ა:

დაო,  
არ დაგავიწყდეთ: აღთქმის დარღვევა  
მძიმე ცოდვაა!

ბ ე ა ტ ა:

კლარა კი გუშინ  
საკუჭნაოში ჩაკეტილიყო  
და ტკბილ ფუნთუშებს შეეჭცეოდა!  
მე თვითონ ვნახე!



ა ბ ა ტ ი ს ა:

შეუნდე, ღმერთო!

არა უწყიან, რას იქმნენ... შვილო,  
მეტი მოთმენა გმართებთ... (პაუზის შემდეგ)  
ხომ იცით...

ეს რომ სირანომ გაიგოს...

ბ ე ა ტ ა:

(შეშინებული) არა!

არ უთხრათ, თორემ ბატონ სირანოს  
დაცინვას ველარ გადავურჩებით!

ა ბ ა ტ ი ს ა:

უთუოდ ვეტყვი. დღეს შაბათია?  
საცაა მოვა.

ბ ე ა ტ ა:

დღეაო, მარტა!

ასე ამბობენ, თითქოს სირანო  
ათი წელია, ჩვენს მონასტერში  
დაიარება! მართლა?

ა ბ ა ტ ი ს ა:

თოთხმეტი...

მას შემდეგ, რაც ის ბეჩავი ქალი —  
მადლენ რობენი ქვეყნის სიამეს  
განერიდა და ჩვენთან დასახლდა,  
დე-ბერჟერაკი ყოველ შაბათდღეს  
მის სანახავად მოდის...

ბ ე ა ტ ა:

ო, ერთობ

ახირებული კაცია!

ა ბ ა ტ ი ს ა:

დიდად

განათლებული!

ბ ე ა ტ ა:

მერე, რა მწარე

ენა აქვს. ღმერთი არ სწამს სრულებით:

არც პირჯვარს იწერს და არც მარხულობს!

ა ბ ა ტ ი ს ა:

სამაგიეროდ შიმშილობს ხშირად...

ბ ე ა ტ ა:

ამასწინ მითხრა: „თქვენ, მონაზვნები,

უფრო მეტს ზრუნავთ ღმერთზე, ვიდრე ის

თქვენზე ფიქრობსო!“

ა ბ ა ტ ი ს ა:

ნუ სცოდავთ, შვილო!

ბალის სიღრმეში გამოჩნდებიან შავებში ჩაცმული როქსანა და  
დე გიში, ამჟამად ჰერცოგ დე გრამონი, გაჭალარავებული, მაგრამ  
კვლავინდებურად დიდებული და წარმოსადეგი.

ბ ე ა ტ ა:

ქალბატონ მადლენს ვილაც სტუმარი

ახლავს...

ა ბ ა ტ ი ს ა:

ჰერცოგი დე გრამონია,

დიდი ხანია არა ყოფილა

ჩვენთან... წავიდეთ, ხელს ნუ შეეკუშლით...

(მიდიან).

ჰ ე რ ც ო გ ი:

ისევ ის შავი მანდილი თავზე.

ისევ ის სევდა ლამაზ თვალებში...

როდემდის?

რ ო ქ ს ა ნ ა:

რა ვქნა? მის ნათელ ხსოვნას

ვერ ვუღალატებ!



ჰერცოგი:

უაზრობაა!

სად გაგონილა მკედრის ერთგულება?

როქსანა:

მე მხოლოდ ჩემი თავის ერთგული  
ვრჩები ბოლომდე!

ჰერცოგი:

მე კი, როქსანა...

აღბათ ვერასდროს ვერ ველირსები  
თქვენს პატიებას?

როქსანა:

ღმერთს ვევედრები,  
ვინც რა შესცოდა, შეუნდოს ყველას!

ჰერცოგი:

(პაუზის შემდეგ) მაშ, თქვენი აზრით,  
კრისტიანს მართლა  
ნიჭი გააჩნდა?

როქსანა:

(ამოოხვრით) გასაოცარი.  
აწ გვიანდაა ამაზე დავა...  
რომ ვასცნობოდით ადრე, თვითონვე  
ღარწმუნდებოდით...

ჰერცოგი:

მას შემდეგ დიდმა  
ღრომ გაიარა...

როქსანა:

მისი წერილი  
უკანასკნელი... (მკერდზე ხელს დაიდებს)  
აქ მაქვს...

ჰერცოგი:

(გაოცებული) როქსანა!

ნუთუ ამდენხანს ინახავთ?

როქსანა:

დიახ.

ვარსკვლავი ჩაქრა და დაიფერფლა,  
მისი შუქი კი სამყაროს ბნელი  
წიაღებიდან გზას იკვლევს ჩემკენ!

ჰერცოგი:

მიცვალებულის ასე ტრფიალი  
სად გაგონილა?

როქსანა:

(ცხარედ) ის არ მომკვდარა!

ის ჩემში ცოცხლობს... რაკი მე დავრჩი  
ამქვეყნად, ისიც არსებობს ჩემში!

ჰერცოგი:

სირანოს ხედვებით?

როქსანა:

კი, ყოველ შაბათს

მაკითხავს ხოლმე... ვსხდებით და წარსულს.

ვიგონებთ... მეტი რა დამრჩენია?!

მოგონებები! მათ მიმქრალ შუქზე,

როგორც ჩამავალ მზეზე, სულ ოდნავ

მითბება გული...

მოდის სირანო...

მე ხელსაქმით ვარ ვართული, ის კი

ათასგვარ ამბავს მიაშობს, ქვეყნის

ჭორები მოაქვს... იცინის, ხუმრობს,

მართობს და მალხენს, თუ შესაძლოა

ჩემი ვართობა... საათი რეკავს.

ამ წუთში მოვა. მე უკვე მესმის

მისი ფეხის ხმა...

(შემოდის ლე-ბრე) ლე-ბრე! გეთყვა,

რასა იქმს ჩვენი ძმობილი?



ლ ე-ბ რ ე:  
მტრისას,  
ისეთ დღეშია!

ჭ ე რ ც ო გ ი:  
თქვენ, როგორც მუდამ,  
აჭარბებთ!

ლ ე-ბ რ ე:  
არა, ჩემო ბატონო... (როქსანას)  
როქსანა! უნდა განახათ ერთი,  
რა პირობებში ცხოვრობს ის კაცი!  
რას ჭამს, რასა სვამს, როგორ აცვია!  
ძაღლის ხუხულას ჰგავს მისი ბინა,  
საოცრად ბნელი და ნესტიანი,  
არც ფანჯარა აქვს, არც კარი... ჭერი  
ჩამონგრევია... კედლები სულ მთლად  
დაბზარულია... მოკლედ, რა გითხრათ:  
პატიოსანი კაცი ამ „სახლში“  
პირუტყვსაც კი არ გააჩერებდა!  
ახლა კიდევ ეს ზამთარიც მოდის...

ჭ ე რ ც ო გ ი:  
ახია მასზე! გახსოვთ ანდაზა:  
რაც მოგივაო...

ლ ე-ბ რ ე:  
(განაგრძობს) ადრე დაკვეთებს  
მაინც აძლევდნენ... თარგმნიდა, მან ხომ  
ენები იცის... ახლა ამაზეც  
უარი უთხრეს: კარდინალს თურმე  
საღლაცა უთქვამს, რომ მისი აზრით,  
დე ბერეერაკი არ უნდა იყოს  
„ტახტის და რჯულის ერთგული კაცი...“  
და ეს ამბავი მიუტანიათ  
გამომცემლისთვის... მართალი გითხრათ,

რა ვშველება, არ ვიცი! შიმშილს  
თუ გადაურჩა, სიცივე მოკლავს!

რ ო ქ ს ა ნ ა:

დახმარებაზეც უარს რომ ამბობს...

ლ ე-ბ რ ე:

ძალზე ამაყი კაცია!

ჰ ე რ ც ო გ ი:

ჰოდა,

სწორედ ამიტომ თქვენი ძმობილი  
არ არის ღირსი შეცოდებისა.

ქარის წისქვილებს ებრძოდა მუდამ  
და მიაღწია კიდევ საწადელს:

წისქვილის ფრთებმა შეაგდო ზევით,

იქ, სადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ,

მას შეუძლია გრძნეულ თითებით

შეეხოს მთვარეს და შთაგონებულ

მზერით შორეულ ვარსკვლავებს მისწვდეს!

ლ ე-ბ რ ე:

(საყვედურით!) დასცინით ვითომ?

ჰ ე რ ც ო გ ი:

პირიქით... მე მას

პატივს ვცემ, თუმცა არ ვეთანხმები.

ყველას თავისი გზა აქვს...

ლ ე-ბ რ ე:

სირანო

მარტოსულია!

ჰ ე რ ც ო გ ი:

რჩეულთა ხვედრი

სიმარტოვეა!



ლ ე-ბ რ ე:  
გარდა ამისა,  
მტერიც ბევრი ჰყავს...

რ ო ქ ს ა ნ ა:  
ო, ლე-ბრე! მტრები  
რას დააკლებენ პარიზის პირველ  
მოფარეკავებს?!

ლ ე -ბ რ ე:  
ნუ იტყვიით... გუშინ  
ვიღაცეები მიუხტნენ სახლში,  
დაქირავებულ მკვლელებსა ჰგავდნენ!  
უხილავ მტერთან, როცა არ იცი,  
რომელ კუთხიდან მოგელის დარტყმა,  
ძნელია ბრძოლა!

ჰ ე რ ც ო გ ი:  
(როქსანას) ბოდიში... (ლე-ბრეს) ლე-ბრე,  
ერთ წუთს... (გაიყვანს განზე)  
ამასწინ ერთ-ერთ სუფრაზე  
ითქვა... არ მიხდა დავასახელო,  
სად მოხდა... თქვეს, რომ დე ბერჟერაკი  
რაღაც სულელურ შემთხვევის გამო  
დაიღუპება...

ლ ე-ბ რ ე:  
(თავზარდაცემული) რაო?

ჰ ე რ ც ო გ ი:  
სულ მალე  
რაღაც შემთხვევას შეეწირება  
თქვენი ძმობილი... მე ვფიქრობ, ახლა  
არ იქნებოდა ურიგო, ცოტა  
მეტი სიფრთხილე გამოეჩინა...  
ოღონდ, გეთაყვა, ნუ ეტყვიით ვისგან  
შეიტყვეთ ის, რაც გითხარით...

ლ ე - ბ რ ე :  
კარგი.

ჭ ე რ ც ო გ ი :  
(როქსანას) ნახვამდის! (ლე-ბრეს) ლე-ბრე,  
არ დაგავიწყდეთ!..

რ ო ქ ს ა ნ ა :  
(ჭერცოგს) მე გაგაცილებთ...  
(შემოდის ბეატა).

ბ ე ა ტ ა :  
რავნო მოვიდა.

რ ო ქ ს ა ნ ა :  
სთხოვეთ. (ჭერცოგს) ამ კაცსაც ბედი არ წყალობს!

ჭ ე რ ც ო გ ი :  
მიკიტანია, მგონი...

რ ო ქ ს ა ნ ა :  
კი, იყო...  
მაგ ჩემი ცოდვით სავსეს, შარშანწინ,  
ცოლი გაექცა... მერე გაკოტრდა,  
მერე დაიწყო მსახიობობა,  
მაგრამ დასიდან გამოაძევეს,  
რადგან უნიჭო გამოდგა... მერე...  
მერე, ვინ მოსთვლის, რას არ მოჰკიდა  
ხელი: ერთხანად იყო მეეტლე,  
ფეხსაცმელების მწმენდავი, ახლა...

ჩქარი ნაბიჯით შემოდის რავნო.

ახლა კი, მგონი, მეკუბოვეა!

რ ა გ ნ ო :  
უბედურება მოხდა!



როქსანა:

საცოდავს,  
კიდევ რაღაც მოსვლია! რაგნო,  
მე მალე მოვალ, აქ დამელოდეთ!

როქსანა და ჰერცოგი გადიან.

რაგნო:

ეჰ, იქნებ ასე აჯობოს კიდევ, —  
ყველაზე გვიან მაგან შეიტყოს,  
რაც მოხდა...

ლე-ბრე:

რაგნო! გამაგებინეთ...  
ფერი არ გადევთ სახეზე!

რაგნო:

მოკლედ,  
ჩვენი სირანო... არა, თავიდან  
მოვყვები... ახლა ვიყავი მასთან...  
მივუახლოვდი სახლს: ვხედავ, თვითონ  
გამოდის... მან მე ვერ დამინახა...  
გამოვეკიდე... ვეძახდი, ნეტა,  
დავწეოდი და არსად გამეშვა!  
მაგრამ გამასწრო! სადღაც შუკაში  
შეუხვია და თვალს მიეფარა...

(პაუზის შემდეგ)

უცებ ყვირილის ხმა შემომესმა:  
მივვარდი... ვხედავ, რას ვხედავ: გდია  
ფილაქანზე მთლად სისხლში მოსვრილი  
და გმინავს! თურმე სახურავიდან  
ვეება მორი გადმოვარდნილა  
და დასცემია თავზე!

ლ ე-ბ რ ე:  
მხეცები!  
არამზადები! არ მოისვენეს,  
სანამ არ მოკლეს.

რ ა გ ნ ო:  
ავწიე...

ლ ე-ბ რ ე:  
მერე,  
თუ ცოცხალია?

რ ა გ ნ ო:  
ძლივსლა სუნთქავდა.  
შინ ავიტანეთ...

ლ ე-ბ რ ე:  
ექიმი იყო?

რ ა გ ნ ო:  
იყო... სამადლოდ მოვიდა, ფული  
არც გამომართვა...

ლ ე-ბ რ ე:  
რა თქვა?

რ ა გ ნ ო:  
რალაცას  
ამბობდა... ტვინის შერყევას,  
ერთი თვე უნდა იწვეს უძრავად...  
უიმედოა თითქმის...

ლ ე-ბ რ ე:  
წავიდეთ!

რ ა გ ნ ო:  
კი, კი, ვიჩქაროთ! ო, რომ გენახათ,  
რა დღეში იყო!  
ლე-ბრე და რაგნო გარბიან. შემოდის როქსანა.



როქსანა:

ლე-ბრე, მოიცათ.

რაგნო! ნეტავი, რამ გადარიათ?!

ქუდმოგლეჯილი გარბიან სადღაც.

ეტყობა, რაგნოს ამყამად მართლა

გასჭირვებია... საწყალი რაგნო!

(მარტო, პაუზის შემდეგ)

~~ჰერცოგის ნახვამ კვლავ განმიახლა~~

~~ძველი ტკივილი... ჩემო კრისტინ,~~

~~ეს მერამდენე შემოდგომაა,~~

~~ბუნების ლამაზ ფერისცვალებას~~

~~უშენოდ ვხვდები! (ხელსაქმეს იღებს)~~

~~საკვირველია,~~

~~რად იგვიანებს სირანო? (რეკავს საათი)~~

~~როგორ?~~

~~ექვსია უკვე?! რა მოუვიდა?~~

~~იქნებ... სად არის სათითე? იქნებ~~

~~შეუძლოდ გახდა? (ქარგავს) ამ ნაქარგს ალბათ~~

~~ყვითელი ძაფი მოუხდებოდა...~~

~~რატომ არ მოდის?~~

შემოდის სირანო. ქუდის ფარფლები სახეს უფარავს. მძიმედ ადგამს ფეხს. უსიტყვოდ უახლოვდება როქსანას და სავარძელში ეშვება.

ძლივს, მეგობარო!

სასტიკად უნდა გისაყვედუროთ:

რად მალოდინებთ?!

სირანო:

(ყრუად) დიდ ბოდის ვიხდი...

ვეშურებოდი თქვენს ნახვას, მაგრამ

გზაში...

როქსანა:

რა, გზაში?

ს ი რ ა ნ ო:  
მოულოდნელად  
ძველი ნაცნობი შემხვდა...

რ ო ქ ს ა ნ ა:  
ვინ იყო?

ს ი რ ა ნ ო:  
თქვენ მას არ იცნობთ... ერთი ახმახი  
ვინმეა, მხარზე გადებულ ცელით...  
თავის სოროებს უგავს თვალები!

რ ო ქ ს ა ნ ა:  
რა უცნაური ნაცნობები გყავთ!  
ხომ მოიშორეთ ის აბეზარი?

ს ი რ ა ნ ო:  
კი... მაგრამ მითხრა: ერთ-ორ საათში  
მოგაკითხავო... ასე თქვა, დიახ...

რ ო ქ ს ა ნ ა:  
კარში მოიცდის! აქედან ვერსად  
ვერ წახვალთ, სანამ არ დაღამდება.

ს ი რ ა ნ ო:  
ჰმ, თუ დამაცლის, მე თვითონ მისი  
ნახვა სრულებით არ მეჩქარება.

რ ო ქ ს ა ნ ა:  
მოჰყევით ახლა, რა ხდება ქვეყნად?

ს ი რ ა ნ ო:  
მაშ ასე... გასულ შაბათს, ხელმწიფე  
პაშტეტის ჭამას გადაჰყვა! მუცლის  
გვრემა აუტყდა... თორმეტი ოყნა  
დასჭირდა მეფეს, რომ საბოლოოდ  
ცოდვებისაგან განწმენდილიყო  
და შეხვედროდა ინგლისის დესპანს,



რომელიც უკვე თვეზე მეტია  
აუღენციკის ითხოვს... ამრიგად,  
თორმეტმა ოცნამ ჩვენი ქვეყანა  
ომს და სისხლისღვრას გადაარჩინა!  
კვირას... კარდინალს ესტუმრა ბარო —  
სახელგანთქმული ჩვენი მწერალი,  
მათ ქალაქგარეთ გაისეირნეს,  
ერთად ივანშემეს, ვახშამზე შეჰყვენენ  
გულთბილ საუბარს... ამის შედეგად  
ორი მინისტრი დილეგში ჩასვეს,  
ხოლო ერთ პოეტს — ბაროს მეგობარს —  
წუხელ საჯაროდ მოკვეთეს თავი.  
ორშაბათს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

სანთელს მოვიტან... ბნელა.

ს ი რ ა ნ ო:

არ გინდათ... ვიყოთ ასე... მოიცათ...  
ორშაბათს... ველარ გამხსენებია,  
რა მოხდა, (შუბლს ისრესს)

იმ დღეს... ჰო, ქალბატონი  
დაგმარა იმ დღეს ქმარს გაეყარა!  
სამშაბათს... (თავს ძალას ატანს)

ლორამ ჰერცოგს სასტიკი  
უარი სტკიცა... ამაზე მთელი  
პარიზი ერთხმად ალაპარაკდა!  
ოთხშაბათს ლუვრში დიდი მეჯლისი  
გამართა მეფემ. ხუთშაბათს ლორა  
ჰერცოგს კვლავ შეხვდა და ახლა უკვე  
ვნახოთო, — უთხრა, — მოვიფიქრებო...  
მეორე დღეს კი, პარასკევს... ლორა  
ჰერცოგს დასთანხმდა...

რ ო ქ ს ა ნ ა:

ჰმ, უსირცხვილო!

ს ი რ ა ნ ო:

დღეს... ესე იგი, შაბათს... დასწყევლოს...  
(უჭირს ლაპარაკი)

დღეს რაღაც მოხდა... დღეს... ვერ ვიხსენებ...  
მოიცათ... დღეს ხომ... დღეს...  
(თავი ჩამოუვარდა).

რ ო ქ ს ა ნ ა:

მეგობარო,  
ცუდად ხართ?

ს ი რ ა ნ ო:

თავბრუ მესხმის, ახლავე  
გამივლის... (აბოდებს) მისი სახელი  
მხოლოდ...

მხოლოდ სახელი უყვარდა... სულს კი  
ვერა ხედავდა. შეიკრა რკალი!

რ ო ქ ს ა ნ ა:

(შეშინებული) ვაიმე, ბოდავს!

ს ი რ ა ნ ო:

(გონს მოდის) ნუ შეწუხდებით,  
როქსანა, ძველი ნაჭრილობევი  
მიხსენებს ხოლმე...

(თავისთვის), ო, ეს სახელი!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ვისი სახელი?

ს ი რ ა ნ ო:

(ძლივს იღიმება) აი, მე ისევ  
კარგად ვარ....

რ ო ქ ს ა ნ ა:

ხშირად გაწუხებთ თქვენი  
იარა?



ს ი რ ა ნ ო :

ღღემღე მე მაწუხებდა  
მხოლოდ, რაკილა თქვენც შეგაწუხათ,  
პირობას გაძღევთ, ამიერიდან  
არასდროს არავის არ შეაწუხებს!

რ ო ქ ს ა ნ ა :

(ამოიოხრებს) განუკურნელი ჩემი გული კო  
არრასის ბნელი მოგონებების  
კვამლშია... ჩემო კრისტიან!..

ს ი რ ა ნ ო :

მისი

წერილი თან გაქვთ?

რ ო ქ ს ა ნ ა :

ამ ყელსაკიდში  
ვინახავ, როგორც ნუგეშს....

ს ი რ ა ნ ო :

თუ გახსოვთ,  
თქვენ მე შემპირდით...

რ ო ქ ს ა ნ ა :

გსურთ წაიკითხოთ?

ს ი რ ა ნ ო :

კი, მინდა... ახლა განსაკუთრებით...  
(როქსანა აწვდის ყელსაკიდს)  
გავხსნა?

რ ო ქ ს ა ნ ა :

გახსენით. ადრე მის ლექსებს  
თქვენი დაცინვა არ მოჰკლებია,  
ახლა ბარათმა — სისხლით მოსვრილმა —  
იქნებ შენდობა დაიმსახუროს!

სცენაზე უკვე საკმაოდ ბნელა. სირანო ვახსნის ყელსაკიდს და  
ამოიღებს ბარათს.



ს ი რ ა ნ ო:

(კითხულობს)... „გემშვიდობებით! ვატყობ, დასასრულს უახლოვდება ჩემი ცხოვრება... და მაინც ჩემს გულს...“

რ ო ქ ს ა ნ ა:

ამ სიბნელეში რას არჩევთ?

ს ი რ ა ნ ო:

(განაგრძობს)... ჩემს გულს მაინც არ ძალუძს თქვენთან, როქსანა, გამოთხოვება! გემშვიდობებით! მე უკვე ვატყობ, მალე ჩაქრება თვალებში შუქი და მაინც თქვენ არ დარჩებით მარტო, ჩემი სიმღერა იცოცხლებს თუკი... გემშვიდობებით...

რ ო ქ ს ა ნ ა:

(თავისთვის აღელვებული) სადღაც მსმენია ეს ხმა...

ს ი რ ა ნ ო:

(განაგრძობს ისე, რომ წერილში არ იხედება) ...მე ფეხი სიკვდილში შევდგი. ამქვეყნად ვალი თუ დამრჩენია, სიტყვის წინაშე, რომელიც ვერ ვთქვი — თქვენთვის, როქსანა, მარტოდენ თქვენთვის, თქვენთვის მინდოდა ის სიტყვა მეთქვა და, ვაგლახ... გულმა შეწყვიტა ფეთქვა! თუმც რაა სიტყვა? მთელი არსება გაჩუქოთ მინდა, რომ ჩემი თვალით სამყაროს კვრეტდეთ, რომ ჩემი სული ცოცხლობდეს თქვენში, როგორც ზარის ხმა ლითონში ბუდობს...



როქსანა:

(ძალზე აღელვებული) როგორ მეცნობა  
ეს ხმა...

სირანო:

(განაგრძობს)... მშვიდობით! მადლობელი ვარ  
სიყვარულისთვის, რომელიც თქვენდა  
დაუკითხავად ვახარე ჩემში,  
ვით სიხარულის პატარა ნერვი!  
ამ წერილს როცა გადაიკითხავთ,  
მე, შესაძლოა, არ ვიყო ქვეყნად,  
მაგრამ ამაზე ნუ დაღონდებით,  
გახედეთ ზეცას და თუ უეცრად  
შეგაჟრიალათ ტანში და უცებ  
სურვილი გაჩნდა მოულოდნელი,  
გადასარევი სურვილი: მთვარის  
წკრიალა ნამგლით ვარსკვლავებს მკიდეთ,  
ან მზის ნათელი დალიოთ პეშვით,  
მაშასადამე, მეც დავრჩი კიდევ,  
მაშასადამე, მეც ვცოცხლობ თქვენში!“

როქსანა შეუმჩნევლად მიუახლოვდება სირანოს და მხარზე დაადებს  
ხელს. სირანო შეკრთება და თავს დახრის.

როქსანა:

მაშასადამე... (ხანგრძლივი პაუზა) სირანო! ნუთუ  
ეს თქვენ იყავით? თოთხმეტი წელი  
თქვენ თამაშობდით ძველი მეგობრის  
როლს... მეგობრისას, რომელიც მოდის  
და მხოლოდ მართობს... ის წერილებიც...

სირანო:

ო, არა!

როქსანა:

თქვენი დაწერილია...

ს ი რ ა ნ ო:

არა, ღმერთმანი!

რ ო ქ ს ა ნ ა:

ის საოცარი,  
გრძნობით აღსავსე სიტყვებიც...

ს ი რ ა ნ ო:

არა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

თქვენ გეკუთვნოდათ? სირანო... რატომ...  
რად არ მითხარით მაშინ?

ს ი რ ა ნ ო:

როქსანა...

რ ო ქ ს ა ნ ა:

რად მიმალავდით სიყვარულს? თქვენ ხომ  
გიყვარდით!

ს ი რ ა ნ ო:

არა! არა და არა!

რ ო ქ ს ა ნ ა:

სტრუობთ!

ს ი რ ა ნ ო:

კრისტიანს უყვარდით მხოლოდ!

რ ო ქ ს ა ნ ა:

სტრუობთ! აწ წარსულს აეხსნა ფარდა,  
თვით ამ წერილშიც მისი არც ერთი  
სიტყვა არ არის! და ეს ცრემლებიც,  
ზედ რომ აჩნია ფურცელს — თქვენია!

ს ი რ ა ნ ო:

(აღღეღებით) სამაგიეროდ სისხლია მისი!  
(ხანგრძლივი პაუზა).



როქსანა:

სისხლი! ამდენ ხანს სდუმდით... მე მინდა...  
მინდა ვიცოდე... თქვენ უნდა მითხრათ,  
რამ გათქმევინათ დღეს ყველაფერი?

სირანო:

რამ და...

(შემორბიან ლე-ბრე და რაგნო)

ლე-ბრე:

ჯყურეთ, აქა ყოფილა!

რაგნო:

(სირანოს) როგორ იქნება, ბატონო... თქვენ ხომ  
ეჭიმმა...

ლე-ბრე:

თვითონ მოიკლა თავი!

სირანოს ქული გადაუვარდება. გამოჩნდება გასისხლიანებული ბანდი.

როქსანა:

ვაიმე, სისხლი... (მივარდება სირანოს) ვინ გაგიმეტათ  
ასე?

სირანო:

(მწარე ღიმილით) იღბალი უნდა ყველაფერს...

ცხოვრებამ ახლაც მწარედ დამცინა:

ვკვდები, ვით ქურდი ან მოარშიყე,

რომელსაც ქმარმა ცოლთან მიუსწრო,

დაქირავებულ ლაქის ხელით

თავგატეხილი... (რაგნოს) ნუ სტირი, რაგნო!

სად მოღვაწეობ ახლა?

რაგნო:

(ცრემლებს ყლაპავს) ბაროსთან...

მზარეულად ვარ... დიდხანს მე მასთან

ვერ გავჩერდები...

ს ი რ ა ნ ო:

ცუდად გაქცევა?

რ ა გ ნ ო:

ლექსების ქურდი ყოფილა! წუხელ

ნისი პიესის პრემიერაზე

გახლდით... სირცხვილით ლამის დავიწვი:

იმ უნამუსოს, მთელი ფინალი

თქვენგან ჰქონია გადაწერილი!

ს ი რ ა ნ ო:

როგორ მიიღო ხალხმა პიესა?

რ ა გ ნ ო:

არ შეწყვეტილა დარბაზში ტაში.

ს ი რ ა ნ ო:

ესეც ბედი! მე მოკარნახის

~~როლში ვიყავი მუდამ... ანია~~

~~ჩემზე... ო, ბარო, ბარო! კრისტიან....~~

~~თქვენ გაიმარჯვეთ: ერთს წილად ჩემი~~

~~ტრფიალი ერგო, მეორეს — ჩემი~~

~~დაფნის გვირგვინი. ზარის ხმა მესმის...~~

~~თვალთ მიბნეულდება...~~

რ ო ქ ს ა ნ ა:

(სასოწარკვეთილი) ექიმი, ჩქარა (გაქცევას  
აპირებს).

ს ი რ ა ნ ო:

(გააჩერებს) არსად წახვიდეთ, როქსანა, თორემ  
ველარ მომისწრებთ...

რ ო ქ ს ა ნ ა:

სირანო, ჩემო

სიცოცხლე... მე შენ მიყვარხარ, გესმის,

მიყვარხარ!

ს ი რ ა ნ ო:

კიდევ გაიმეორეთ,

ერთხელაც... მთელი ცხოვრება თქვენგან



ამას ველოდი... ძლივს...

რ ო ქ ს ა ნ ა:

მუდამ! მუდამ!

მუდამ მიყვარდი მხოლოდ შენ, გესმის?!

ო, უბედობავ! დღე და მოსწრება  
თურმე ეს კაცი მიყვარდა მხოლოდ  
და მასაც ბედი მეორედ მართმევს!

ლ ე-ბ რ ე:

ასეთი კაცი... ასე უაზროდ  
უნდა გათავდეს...

ს ი რ ა ნ ო:

რატომ უაზროდ?

მე ვკვდები ისე, როგორც შეჭფერის  
ჭეშმარიტ პოეტს. ნუ გავიწყდება,  
მე მომკლეს, ლე-ბრე. მაშასადამე,  
ვერ დამამარცხეს. ეს იმას ნიშნავს,  
მაინც მე დავრჩი გამარჯვებული! (სახე  
ემღვრევა, ერთ წერტილს მიაშტერდება)  
აა, მობრძანდი?! ვერ ეღირსები  
დაჩაგვრას ჩემსას... ფეხზე დამდგარი  
დავხვდები... (გაჭირვებით წამოდგება და  
დაუნას ამოიღებს)

მოდო, თუ გული გერჩის!

მოდო! გაიწით იქით, დაგვტოვეთ  
მარტო. რას მიცქერ, რას? ჩემი ცხვირი  
არ მოგწონს? ჰაიტ, შე უცხვირპიროვ!  
(დაუნას იქნევს)

მიიღე! ესეც შენ, კიდეც ერთი!  
ეს რაა? მარტო არა ყოფილხარ?  
მაშ, ათნი ერთზე მოდიხართ? კარგი...  
მომხდარა — ასსაც გავმკლავებივარ!  
ვნახოთ... რამხელა ამაღა გახლავს!  
(დაუნას იქნევს)

7321/3

ეს შენ — სიცრუევ! შენ — პირფერობავ!

შენც საკადრისი ძიიდე, შურო!

შენც — ანგარებავ! შენც — დიდკაცურო  
გაბღენძილობავ, გაუმაძღარო!

ჯერ არ მოგმკვდარვარ... ხომ ხედავთ, ვიბრძვი,

ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი და არ გნებღებით

და ამ ბრძოლაში ამომღის სული! (ეცემა)

მორჩა... გათავდა... თუმც, არა... (როქსანას) წედან,

როქსანა... ახალ ამბებს ვყვებოდი,

ვერ დავამთავრე, ვერ გავიხსენე,

რა მოხდა შაბათს... ჩვენ პარასკევზე

შევეჩერდით..

რ ო ქ ს ა ნ ა:

(ტირის) ჩემო სიცოცხლევ!

ს ი რ ა ნ ო:

ახლა

მსურს დავამთავრო, დავიწყე რაკი...

მაშ, ასე... შაბათს... შაბათ საღამოს

მოჰკლეს პოეტი დე ბერჟერაკი!

ფ ა რ დ ა



Эдмон Ростан  
СИРАНО ДЕ БЕРЖЕРАК  
(На грузинском языке)  
Детюниздат Грузинской ССР  
«Накадули»  
Тбилиси  
1970

რედაქტორი ნ. ჩირაძე  
მხატვარი დ. ზარაფიშვილი  
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნიკური რედაქტორი ო. პირველი  
კორექტორები: ი. უშვერიძე, თ. ინჯია  
გამომცემი ვ. პირველი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/1-70 წ.  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 11,5  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,57  
ტირაჟი 3.000 ფასი 81 კპ. შეკვ. № 562

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5  
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-  
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვე-  
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5  
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома  
Государственного Комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5

